

რომან ზუკაკიშვილი

ფუძის ანგელოზი

თბილისი
2012

პოეტის ახალი წიგნი

რომან ზუკაკიშვილი რამდენიმე პოეტური კრებულის ავტორია: მისი მრავალი ლექსი უკვე სიმღერად იქცა; ეს კი იმას ნიშნავს, რომ პოეტი წერს იმ თემებზე, იმ განწყობილებაზე, რომელიც ადამიანის გულსა და გონებას ესაღბუნება, მათ დარდსა და სიხარულს გამოხატავს. რომან ზუკაკიშვილის ლექსები, ძირითადად, ტრადიციული ფორმებიდან, კლასიკური ლექსის ფესვებიდან იღებენ საზრდოს და საკუთარი ხმის დამკვიდრებას ცდილობენ.

სამშობლოსა და წინაპრების სიყვარულით, მისი ადგილ-მამულის მოფერებით გაჯერებული სტრიქონები მრავლად შეგვხვდება პოეტის ამ ახალ წიგნშიც:

რა გითხრა, რით მოგეფერო?

ტკივილიც შენ ხარ, მაღამიც,

ამ გულის მაცოცხლებელო,

შენ, სისხლო, დაუღალავო!..

რომან ზუკაკიშვილი საქართველოს უმშვენიერესი კუთხის, კახეთის, კერძოდ კი პატარძელის მკვიდრია, ამიტომაც მის ლექსებში მშობლიური მიწის, ვაზის და მზის საგალობელი ხშირად ისმის:

მზე შენს ძარღვებში გამოიზამთრებს,

გაზაფხულზე კი ცრემლად წაგსკდება,

კვირტში იგროვებ მიწის სინათლეს,

ცის თბილი სიზმრის შენ ხარ ახდენა...


მჯერა, რომ რომანის ახალი წიგნიც საზოგადოების ინტერესს დაიმსახურებს, რადგანაც ამ კრებულში არაერთი საგულისხმო ლექსია შესული, პოეტისთვის ხომ არასოდეს “არ თავდება ის, რაც გულში იწყება”...

ბადათერ არაბული
პოეტი, საქართველოს მწერალთა
კავშირის თავმჯდომარის მოადგილე

წყაროსთან

ნათქვამი

სიზმრები



ციკლიდან:
“წყაროსთან
ნათქვამი
სიზმრები”

ჩურჩულით თქმული მამულს

რა გითხრა, რით მოგეფერო?
ტკივილიც შენ ხარ, მალამოც,
ამ გულის მაცოცხლებლო,
შენ, სისხლო დაუდალაავო!
ბედმა ეკლებზე გატარა
და თითქოს სისხლად წვეთავს დროც,
რაც მეტად გებრძვის სატანა,
ანგელოზს ჰგავხარ მეტადო.
ერთი ნუგეში კმარა და
ათას ჭირსა სძლევ მაშინვე,
გვსურს აგეფაროთ ფარადა,
თუმცა შენ აქეთ გვამშვიდებ.
მოხატული ხარ სხვაფერად
და გვაზიარებ სხვა წყურვილს,
კაცს სულთან ერთად შთაბერა
უფალმა ეს სიყვარული.
რა გითხრა, ისე მართალი,
რაც შენ მომმადლე სხვა ძალით,
თვითონ ხარ უკვე ნათქვამი:
ლოცვაც შენ ხარ და ტამარიც!

ღმერთი, სამშობლო, დედა...

გახსოვდეს, მარტო რომ არ ხარ არსად,
რომ სულით დაგაქვს სხვათა ცისკრები,
ზოგჯერ ივიწყებ საკუთარ თავსაც,
ღმერთს კი არასდროს არ ავიწყდები.
ზოგჯერ სხვა ქვეყნის ეშხითაც მღერი,
ვერ გაექცევი თავს (თუმც ბევრს ივლი),

ბოლოს ყველასთვის ხარ მხოლოდ გერი,
სამშობლოსთვის კი ხარ ღვიძლი შვილი.
სულში ჩაგხედეს ბევრჯერ დარებმა
და შენი ფიქრი მოსდეს ცის ტატნობს,
ზოგჯერ მზე ღრუბელს მიეფარება,
დედაშენი კი ყოველთვის გათბობს.
თუმც ვერ გადიხდი ამ ვალს, სიცოცხლე
უკმარისობის გრძნობით სრულჰყავი,
მარად გახსოვდეს და წინ გიძღვოდეს
ღმერთის, სამშობლოს და დედის ვალი!

* * *

ჩემო მამულო, აღსარებისთვის დიდი ბოდიში,
მაგრამ რა ვუყო, რომ მიყვარხარ მეც გაგიჟებით?
ოქროს თევზივით გახლართულხარ შურის ბადეში,
შენ თუ არ გასხლტი, მას ნატვრასაც აუხდენ, მაგრამ
ისე კარგი ხარ, ვაიმე, რომ არც გაგიშვებენ...

* * *

ნეტავ, არ გატყდეს გული, ფიცი და სახელი,
გატყდეს სიკეთის წინაშე ყველა სიავის მზრახველი.
თუ არა თავდავიწყებით, რა არის სხვა სიყვარული?
გვახსოვდეს, არ დაგვავიწყდეს რწმენა, ენა და მამული!
გვახსოვდეს, ერთი სისხლის ვართ: ღვთისშვილები ვართ ყველანი,
ცოდოა, მოკლე სოფელში ვინც კი სულგრძელი ვერ არი.
ერთურთის სულს რომ დავშორდეთ, ეს ისევ ღმერთმა გვაშოროს,
მას უცოცხლია ამ ქვეყნად, ვინაც მოუკვდა სამშობლოს!

გაზაფხულთან

სული როგორ დიადდება, გული როგორ მიაძდება,
კვლავ ცივ ღამეს მომაცილებს და ცისკრამდე მომაცილებს
ნაბიჯ-ნაბიჯ მე ამ მთებმა.

აქ კი დამხვდა ფერთა კდემა და სურნელთა დიადემა,
თავიც კი დამავიწყდება, როცა თითქოს ცას მისწვდება
მყვირალობა ნუშებისა...

ნუ გამკილავთ, ნურც შემრისხავთ,
თუ ძარღვებში ვერ დავტყე ნაზამთრალი ქუჩების ხმა.
ზეცის სიღრმეს დაიტყვს და ნამი _ ვარდთა ნაზი სევდა
ახლაც ამხელს ჩემს საფიქრალს,
იგი ბრწყინვით უკეთ იტყვის, თუ სიცოცხლე როგორ მიყვარს.
და თითქოს ტვირთს ვიგრძნობ მხრებზე,

ჩემში სულ სხვა ძალას ვეძებ
მათთვის, ვინც ვერ მოგვყვა დღემდე,
მათთვის, ვინც ჩვენ გვაიმედებს,
რომ ყოველი გაზაფხულით მონატრება ხალასობდეს,
და არ ჰქონდეს დასასრული ჩემს სიყვარულს არასოდეს!
მერცხლის ფრთების მესმის ხმები,
მოკამკამე ლექსით ვტკბები,
ბევრჯერ დავზამთრდები და კვლავ
გაზაფხულად შევიცვლები.

თუკი წლებს არ ვამახინჯებ და მამშვენებს მე ის წლები,
წლები, როცა ჩვენ ერთმანეთს ამ გაზაფხულს ვეფიცებით.
სიყვარულის ამინდები კვლავ ნუგეშად ამინთებენ,
ბევრჯერ წინაპართა თვალზე
ობოლ ცრემლად მომდგარ ამ მზეს,
მეტს რას ვიტყვი, მხოლოდ ვიცი,

რომ დღეს ყველგან მიმელიან
და ზღაპრული გაზაფხული ჩემი ქვეყნის ღიმილია,
და რომ დარობს ქუჩაც, წყაროც, ჭალაკებიც და მინდვრები,
რომ ფრთებია გაზაფხული და საცაა გავფრინდები.

დღეა სუფთა, შენი სუნთქვა
ნიავეს ცისკრის ხატთან მიაქვს.
ამ შეხვედრებს გაზაფხულთან ჯერ ვერთქმული ნატვრა ჰქვია.
და შენ სდუმხარ, რადგან გრძნობ, რომ
ყველაფერი ნათქვამია...

დაბრუნდა დარი

დროის სიღრმიდან დაბრუნდა დარი,
დარეკეს ზარი...
სიმაღლეებთან ჩრდილები იხმეს
და უნებლიედ, წინაპრის თვალით,
შეხედეს კრძალვით
თვალსაწიერში ჩატეულ სივრცეს.
მერე კი ატმის ყვავილი თოვდა,
ვით სევდა რტოთა
და როგორც თითქოს ბევრჯერ ნანახი
ბედად შერჩენილ წყურვილთან ერთად
გაცდენილ დღეთა
ასდევნებოდა ბილიკს ბალახი.
ფერთა ხანძარშიც ვინმეს ახსოვხარ,
რადგან ახლოს ხარ
დღემდე მოღწეულ ყველა ნუგეშთან.
თოვლჩამდნარ სულში იების კვალით
დაბრუნდა დარი.
დაბრუნდა დარი
შორი ტკივილის მოსაშუშებლად...

ამქვეყნად...

დროს ვინც კლავს მხოლოდ, იგი, მართლაც, უდროოდ კვდება.
იცოდე: არცოდნა არცოდვას არ ნიშნავს მუდამ.
გული მაშინ გაქვს, როცა მიგაქვს ტკივილი გულთან,
ჭკუა მაშინ გაქვს, როცა ჭკუა სხვის აზრსაც წვდება...
უღირსს ღირსება ჰგონია მხოლოდ ნაკლი,
დაბრკოლება და სხვა არაფერი მეტი.
იშვიათად აქვს კაცს ერთად: ჭკუაც, ბედიც,
მაგრამ ღირსება ფარ-ხმალს არასდროს არ ჰყრის.
წარსულის ბაღში შენზე ფიქრებიც ჰყვავის,
ყოველ წამში კი არის შვებაც და ნაღმიც,
და გინდ თვალეები გეხუჭებოდეს დაღლილს,
უნდა როგორმე შესძლო სიკეთე მაინც.
ორში არჩევანს თუ აკეთებენ ზოგნი,

უჯობთ აქებდნენ უცხოს და არა მოძმეს,
შურს გზად ღვარძლის და ღალატის ჩრდილი მოსდევს,
არადა, წამლად ღიმილის შუქი გვეყოფნის.
სიკეთე მაინც მშვენიერია ისე,
რომ ფლიდსაც კი სურს თავი გვაჩვენოს კარგად.
კაცობრიობა ბოლოს ყველაფერს კარგავს,
გარდა იმისა, რასაც სიკეთით იძენს...
უანგარობას ვერ ვიჯერებთ ჩვენ ხშირად სხვისას,
გულუბრყვილობად ვთვლით ხან სითბოს გაღებულს უხვად.
კეთილი კაცი უფრო უნდათ, ვიდრე ის უყვართ,
მაგრამ სამყარო მაინც უნდა სიკეთემ იხსნას!...

ქარის კვალდაკვალ

ქარის კვალდაკვალ ჩუმი ტკივილი, ღრუბლის ჩრდილივით,
სადღაც შეუცნობ საწყისამდე მივა ერთხელაც
და გააქარწყლებს მოულოდნელი ჩვენი შეხვედრა
ერთფეროვნების უკვე ბევრჯერ განმეორებას.
ვიღაც კი, ვიღაც შემოგხვდება სასომიხდილი,
რომ შეგახსენოს შენი ცხოვრება...
ვეღარ შენიშნავ რტოებს შორის სიზმრის ანარეკლს,
ვერც ქვებს, გზის პირად მიმოზნეულს, ჩამქრალ წამებად.
სულს დაიურვებს მონატრების ფერისცვალება
და სხვის ტკივილზეც გალაპარაკებს...
ხოლო გზა მაინც თავისას ითხოვს,
რომ გვაცოცხლებდეს ერთმანეთის იმედის სითბო.

* * *

უხსოვარ ჟამთა გამონათების
სხივმოზიარე მეწამულ დღეში
კარს შეაღებენ მშობლიურ სახლის
სიმყუდროვის უბრალო განცდით.
და ძირძველი სიყვარულის ღვთიური ფესვი
სუყველა გულში ამოიტანს იმ ნათელს, რაც კი
ურთიერთობებს ნაღდი ცხოვრებისთვის უნდა ეკმარათ,
რათა გულთა დიდ გამყინვარებას როგორმე ასცდეს
მხოლოდ სითბოსთვის გაჩენილი ჩვენი ქვეყანა.

* * *

ბევრჯერ გათენდი ამ უჩვეულო მდუმარებაში,
სამყაროს ბევრჯერ გადაედო შენი სიმშვიდე,
მზე _ შენი სულის ღია ჭრილობა,
ძალასა გმატებს შეუცნობელი შიშის ბილიკზე.
შორი დღეები სადღაც სიზმარში განაბულები,
მალე ჩიტებად დასხდებიანო ხარიხაზე...
დავითელი ორმოცს, სამოცს, ოთხმოცს...ეს არვინ იცის,
ვინ იცის, რამდენს მოვიგონებ ამ ღამეებზე,
ახლა უსაშველო რომ მეჩვენება.
გამიკვირდება თუ მაკრატლით ვინ მოსჭრათ ბოლო,
სიცოცხლეს ისე გაუფრთხილდი, როგორც სიყვარულს
სიყვარულისთვის გაჩენილო...
დღეს კი, რაც უფრო გავურბივარ ჩემს საკუთარ თავს,
ჩემს საკუთარ თავს ვემსგავსები მე უფრო მეტად.
ხოლო ქარს, რომელს ერთხელ ეტკინა ჩემი სხეული
აღარასოდეს შემოვხვდები ყრმობის აპრილში...

ზამთრისპირი

გიორგობისთვეგამოვლილი მთების მხრებიდან
ჩამოცურდება ამაოების მსუბუქი ჩრდილი,
გინდა თუ არა, სხვებისგან ნაცად აზრს ეხები და
განწირული გზა ვეღარ იქნება დინჯი და ფრთხილი...
და ძველ ოცნებას აქ სხვა გზებით მოჰყვება მერე
ჭირხლის ტკრციალი _ მოლოდინის შენი სიმძაფრე,
ხოლო ასწლებში დახარჯული ტანჯული ფერი
დაღლილ გულისა და მძინარ კვირტში გამოიზამთრებს.
გაზაფხულამდე მანძილს ჯერ არ მოსინჯავს მზერით
ბალი, რომელსაც ცის სიშორე კვამლივით ასდის,
მზეს კი ტამრიდან გამოაქვს სანთლის ლიცლიცი ნელი
და ქუჩებს მისდევს ნაზიარები სიჩუმე ამ დღის...

ადრე გარიყული მთები ქედს იხრიან ნისლს მიღმა,
მე კი აქ ვარ ლექსით, ნისლით, სევდის უნაპირობად
და მაერთებს სიცოცხლესთან სასიკვდილო ჭრილობა.

შორეულ ახლობელს

ნამალადევი ხალისით ამბობ, რომ დაბრუნდები,
დრო შენთან ერთად დადის ახლა უცხო ქუჩებში,
მე კი გავმხდარვარ დიდი სევდის მცირე ნუგეში,
სამყაროს რა სჭირს შესაბრალები?
მაგრამ სამყაროს მე დავუნახე
სევდიანი შენი თვალები.
სულ მოლოდინის გამართლებით იმშვიდებ შენ თავს,
ხოლო აქ წყაროს ერთი შენი სიზმარიც სწვეთავს,
გინდა, სიცოცხლე გეგულებოდეს ამ ყოვლისმომცველ
მონატრების უღრან ნათელში...
ცხოვრება მაინც წინა დღეა და შენს ჩუმ ლოცვებს
ასაზრდოებს უსასრულო იმედის ფესვით,
ნამალადევი ხალისით ამბობ, რომ დაბრუნდები...

* * *

თითქოს ღია დარჩენილა სიზმარეთის კარი,
ბაღში სჩანს, რომ წუხანდელი მთვარის დარდი ჰყვავის,
როგორ უცებ წაიშალა შემოდგომის შიში,
სად ვეძებო ერთი ფიქრი ათასობით ფიფქში.
სიჩუმეა ამ რიჟრაჟის ნაკლიცა და მადლიც,
ვიღაც ხატავს ჩემს ნაბიჯებს და ჩემს კვალში დადის.
თოვლი, თოვლი ენძელათა მოლოდინის თრთოლვით,
ნისლის კვამლში გახვეული მოლანდება შორი.
სიზმარეთის კართან ვდგავარ, თუ მეცვალა მხარი?
მიცნობთ, თუ ვერ მიცნობთ მაინც, ვაი, ჩემი ბრალი!
ადრე გაფანტული წლები თითქოს დაუბრუნდნენ
ფანტელებად ამ ერთ დღეს, ვით მონატრებულ ბუდეს...
თოვლი, თოვლი _ ხატის სიზმრის ცით მიწამდი თრთოლვის.
ნისლის კვამლში გახვეული მოლანდება შორი.

* * *

დამემგვანა ბედისწერა მოლოდინის იმ ქარებით...
მიყუჩებულ სევდის მწვერვალს მთები ჩრდილად იფარებენ,
აღსარებას სად წაუვალ, ამ ცივ მზერას ნისლგამოვლილს,
დაკარგულმა სასწაულმა კვლავ მომძებნა ღვთის წყალობით.
ვერ მომისწრებთ მერამდენედ, მე კი ჩემს თავს შევაკვდები,
დამე ჩამქრალ მზერას ეძებს ჩემი სულის კელაპტრებით.
მოხვალთ, თითქოს შენიშნავთ, რომ არც რა იყო აქამომდე,
ცრემლად გინდათ შეიმშრალეთ ის, რისთვისაც დამხაროდნენ.
რასაც ვწვდებით მწველ განცდებით, შემოგვრჩება განა დიდხანს?
მაგრამ ვერსად ვერ გავცდებით ერთი გრძნობის გალაქტიკას.
ბრძენი ზოგჯერ იგი არის, ვინც თავს, ვით შლეგს, სწორედ სჯის და...
ვაჰ, რომ ხშირად იგვიანებს მივიწყების შორეთიდან.
აღბათ, მართლაც დაგვებდა, სამყარო რომ არ დასრულდეს,
ვაკავშირებთ ერთმანეთთან დროში გაღვრილ გაზაფხულებს.
დრო და სივრცის საუფლოა სული, რომელს ვერც მისწვდები,
ბედისწერა ის უფროა, რომ ჩვენ გვჯერა ბედისწერის.
ბევრის ვალი დაგვრჩენია, ავედევნეთ ისეთ წესებს,
რომ სიკეთე სასჯელია, ამას მაინც ნუ მახსენებთ!
ჯერ თუნდ ერთი წამიც ვიხსნა, მერე შეწყდეს, თუ შეწყდება
სიყვარულის ნაბიჯის ხმა, ანუ ჩემი გულისცემა!

* * *

დადგა მარტი აუჩქროლა სისხლი ერთხელაც
ჩვენს დარბაისელ მარადისობას ჩვენმა შეხვედრამ,
რომ ბაგეებზე სიხარულმა ახლად იელვოს,
დიდი სიცოცხლე მაგრძნობინეთ, ციცქნა იებო...
გიჟურ სიყვარულს შენ მასწავლი, მაგრამ მე ვჩქარობ,
რომ თუ შენ ვნებას გადავურჩი _ სხვა შევიყვარო,
რომ თუ ჩემს სათქმელს ამ ერთხელაც ვერ დავასრულებ,
ერთი დღე მაინც გავახსენო ძველ გაზაფხულებს.
მარტის ღრუბელი ჩემი სიზმრით დაბარდნის ველებს,
თქვენ კი სულ უფრო გეუცხოვებით ამ მარტის მერეც.
ამ სიგიჟისთვის თურმე ბრმად მოვყევ, დანადმულს დარდით,

ჩემს გზა-ბილიკებს გაზაფხულიდან გაზაფხულამდე.

კვლავ

კვლავ ჩემს მოლოდინს დაიმგვანებს ნუშის სამრეკლო,
ვიცი, ამ წუთმა სულ სხვა გრძნობით უნდა წამლეკოს,
ვიცი, თან დამდევეს სანუგეშო ნაზი ალებით
ერთი ზღაპარი, ყოველ დილით ნაზიარები,
რომელიც ნატვრას მერამდენედ ამისრულებს და
ვიგრძნობ, თუ როგორ დამატყვევებს თავისუფლება,
ვიგრძნობ, თუ როგორ დავჭირდები ბებერ სიჩუმეს,
რადგანაც ტკივილს სხვის ხმაურში ვერ დაიყუჩებს.
ვიგრძნობ, რომ ჩემი იმედი აქვს ვინმეს კვლავ და მე
ჩემს გამართლებულ უსუსურობას როგორმე დავძლევ.
ვიგრძნობ, რომ სიზმარს, გადმოჩეხილს ღამის ციხიდან,
ღვარად წასკდება ნაერთგულები ჩემი სისხლი და
კვლავ მივიწყებულ სასწაულზე დავიწყებ ბოდვას,
კვლავ აღსარება დაერქმევა ჩემს სათქმელს, ჰოდა,
მე გაზაფხული კი არ მეტყვის _ მანიშნებს მზერით,
რომ უთვალავჯერ ნათქვამია ეს ყველაფერი,
რომ ეს ჩუმი დღე ნათლის სვეტია და არის ბედი
იმისა, რაც ხვალ იქნება და რაც იყო დღემდე.
და კვლავ მერცხლები მოაშუშებენ გახსნილ იარებს,
და კვლავ მზე მხოლოდ დაცვარულ ფერებს ააბრიალებს,
და კვლავ გაჩნდება სულ პირველი შენს გარიჟრაჟთან
პირველყოფილი სიხარულის შემკრთალი განცდა.
კვლავ გაზაფხული დამასწრებს და ღამაზად გეტყვით,
რომ სხვა არც რაა სიყვარული ამაზე მეტი!

სიმართლე

უკვე სიმართლის აღიარებაა

თვით უსამართლოდ თავის მართლებაც.

მართლა მართალი თუ ხარ, ეს კიდევ სულ სხვა რამეა

და მთლად უკეთესი.

ლაბირინთები გამოიარეს ჩვენმა დარდებმა

გაინაწილეს და დღემდე ზიდეს

მოულოდნელად მიხვედრის ცეცხლი,
ისე მოკლეა ერთმანეთთან მისასვლელი გზა,
რომ ზოგი შიშსაც გამოიგონებს,
თითქოს ყველაფერი უბრალო ხდება,
სიმართლის მთქმელმა თუ ჯერ ვერ გვიხსნა,
იმიტომ, რომ ვართ ყველანი მართლები.
მაგრამ მართლები არ ვართ ჩვენ ერთად.
ესეც ხომ სიმართლეა, რომ ზოგს ჰგონია სიმართლეს მოერია,
სიმართლე სარკეა, ხოლო მისი მტერი მხოლოდ მტვერია,
სიმართლე ცეცხლია უგნურთათვის საშიში მარტო,
გონიერთათვის _ სითბო, შუქი და სულის საზრდოც.

* * *

პოლიტიკით თამაშობთ და ერთობით?
სჯობს გვახაროთ ძმობითა და ერთობით,
თორემ თქვენი მიტინგი და აქცია,
დღეს ვილაცამ მასკარადად აქცია.
მძიმე არის ნაღდი კაცის მისია,
ვინც ნაღდია ტვირთიც, ჯილდოც მისია!
ერთხელ მაინც სძლიე შენს თავს და მალე
სულ დახარჯე, რაც რამ ძალა დამალე.
ის იმარჯვებს, ვინც გონს დროზე ეგება,
შენს სიმართლეს ვილაც უცდის ეგება...
თუ რაინდობ, ბრძოლის ნახე, მაშ, ველი,
მიუსწარ და იყავ ვინმეს მაშველი!
თორემ ღვარძლი დიდების კოშკს ვერ აგებს,
ღვარძლი მხოლოდ ამხელს ფლიდებს, ვერაგებს,
კმარა, ვინც რა ყალბი გზებით იარა,
მხოლოდ სიმართლით მოშუშდეს იარა!

* * *

ოღონდ კვერი არ დაუკრან შინაურის სიმართლეს და
ტაშს უკრავენ გადამთიელ მასხარებს.
სიხარული? _ სიხარული არის ესა,
როცა სხვისი სიხარული გახარებს.

სხვისი წინსვლა კი არ გშურდეს,
საკუთარი წინსვლა გსურდეს.
არ დანახვაც, ვერ დანახვაც
ორივეა სიბეცე...
თუ შენ ვერ სცნობ,
არ ნიშნავს, რომ არც არსებობს
ათას ჭირში გამოვლილი სიკეთე.
სიყვარული? _ სიყვარული არის ესა,
რაც შენ გალხენს, სხვისთვისაც რომ იმეტებ...
ვინც დაცემას ვერ ეჩვევა, ალბათ, მაინც გადარჩება,
არ თავდება ის, რაც გულში იწყება.
გამარჯვება? _ გამარჯვება არის ესა,
იმარჯვებ, თუ მარცხს განიცდი, რომ არ კარგავ ღირსებას!

* * *

მხრებზე _ თავი, თავზე _ ქუდი,
ქუდი _ ოღონდ ნამუსის!
თუ მამული არის შენში,
შენც ითვლები მამულში.
შენი კვალი არის კვამლი,
სხვის ნაკვალევს თუ ქელავ,
სძლიე თავსა შენსა, რათა
შენ არ გძლიოს სუყველამ.
მკერდში _ გული, გულში _ გრძნობა,
რითაც უნდა გადარჩე!
მხრებზე ტვირთი თუ არ გაწევს,
გზას ღრმა კვალს ვერ დააჩნევ.

მაინც სად ცოცხლობს სიყვარული?

მაინც სად ცოცხლობს სიყვარული _ გულსა თუ ტვინში?
ან იქნებ სისხლში?
ტვინი ბევრს ფიქრობს, ბევრსაც ფრთხილობს,
ხან ცხოვრობს შიშით.
გული? ზოგიერთ შემთხვევაში პლასტმასის გულიც

კი ასრულებს გულის ფუნქციას...
გულს თუ ეკლით რთავ, განა მტკიცება?
ან თუ ვარდით რთავ, განა სუსტია?
და მაინც სიყვარული თავად სულია,
ბრმად უნდა ენდო, ის ისეთი თვალხილულია,
უკვდავი სული, რაც ღმერთმა ნაწილ-ნაწილ ყველას
გვარგუნა, ვითარცა სისხლი,
რომ გვაცოცხლოს და სხვაც აცოცხლოს ტვინმა და გულმა,
თქვენ კი იკითხავთ: არ გააჩნია ან ტვინს და ან გულს?
მაინც ვერავინ ვერ ასცდება მის წილ სიყვარულს!
მაინც სად ცოცხლობს სიყვარული? _ კითხვაც მცდარია!
სიყვარული ხომ თვით სიცოცხლეა
და ვისაც არ უყვარს, იგი მკვდარია!

* * *

როგორც ქუჩაში ნაბიჯებს თბილი
აედევნება უეცრად წვიმა,
ისე მუსიკა შენ ჟრჟოლად გივლის,
კრთი და ვიღაცას ჰგონია გცივა.
იცი, რომ უნდა დაგიჯდეს ძვირი
ამ უჩვეულო ცრემლებს ბრწყინვა,
მზე,შემუმჩნევლად ბევრჯერ ჩავლილი,
ახლოა და შენც სამიზნედ გწირავს.
ქუჩა, მუსიკა, მზის სიახლოვე...
გზად სიშორეა და მზად _ სასხლეტი,
თითქოს საშველი სისხლია ხოლმე,
თითქოს სულს არ თმობს ნებით არცერთი.
ერთი შეხედვით შენ მიგატოვებს,
რჩება ტყვიის ხმა და სისხლის წვეთი,
სასწაული კი ეს შენ ხარ სწორედ,
შენ, ვინც გაბედე და ამ გზას ეტრფი.
მუსიკა, წვიმა და ეს სიშორეც
იქნება დარჩენენ შენი იმედით,
შენ კი მზეს მხოლოდ თვალს რომ უსწორებ,
არც არაფერი არ გინდა მეტი.
ოღონდ გწყურია, რომ შეუერთდე
სხვათა ფიქრს წვიმით, მუსიკით და მზით.
თითქოს შენს ფეხქვეშ ფეთქდება ეს დღე
და იწვი ბოლო ტკივილის განცდით.

ერთი მხატვრის ფერწერულ ტილოსთან

პირზე ხელს გაფარებენ ალერსით ფერები,
ჩუ! საკმარისია სიჩუმის ლაღადიც
და შენს სულს თავიდან ამოიკითხავ ფერწერულ ტილოზე.
აქ შემონთებულა, რაც დღემდე ილოცე
და თითქოს ის წამი გამხდარა მარადი,
წამი, რომელშიც უჩვეულო ტკივილით ჩერდები,
ტკივილი, რომელიც მრავალჯერ შემოგხვდა,
სხვასაც რომ უგრძვნია და თურმე შენ რომ ხარ...
ტკივილი, რაზეც დაყრდნობილა სამყარო მთელი,
ნოსტალგიის ჯანლით უცვლელით.
ჩვენს დაბრუნებას რომ ელოდება სხვა თაობებშიც
მასზე, ჯერ კიდევ შეუშრობი
ჩვენივე სულის თოთო ფერებით...

ღიმილი

ღიმილი _ სულის გამობრწყინება,
გაზაფხულივით რომ გამშვიდება და არ მოგწყინდება.
ღიმილი _ მაღლის და არ ღვარძლის,
ამ ქვეყანაზე სიყვარულთან ერთად რომ გასძლებს.
როდესაც სევდა გაწვება გულზე,
ერთი ღიმილი... და სიცოცხლე ბრუნდება უცებ.
ერთი ესეც გვაქვს სიცოცხლის ვალი,
რომ ვიღიმოდეთ და სხვის ღიმილში ჩვენ გვედოს ბრალი,
რომ ვნეტარებდეთ გამოდარებით.
მაშ, გაიღიმეთ, კვლავ გაიღიმეთ, გემუდარებით!
ისე ვერ გავლევთ გზას ტკივილიანს,
ცხოვრება მაინც შეხვედრებია და ღიმილია!

ექო

(ანუ მინაწერი ჯემალ ქარჩხაძის წიგნზე)

დღეს ვართ... ვინ იცის, ხვალ რომელს მოგვინაკლისებ ქუჩავ,
წლები თავისას ჩქარობენ, მზე შიშით თვალებს ხუჭავს,
ერთფეროვნების სიცივე ნისლებში ხატავს ჭადრებს,
ყველაფერია იგივე, როგორც ყოფილა ადრე.
უცხოა მხოლოდ სიდინჯე, რაც შეგატოვებს წლებმა,
რასაც ვერასდროს ივიწყებ, ვეღარ სცნობ, როცა გხვდება.
ვეღარ გიცანი, _ მიღიმი და ბევრის სათქმელს ამბობ,
სადღაც მიხსენებს მე ღამე სულ ერთი სიზმრის გამო.
მხოლოდ იმითლა ვნუგეშობ, რომ უკვე სხვებსა ვგავართ,
ამ თავაწყვეტილ წუთებში ცხოვრებაც უცებ გავა.
თითქოს შორიდან მესმის ხმა, აღარ მაოცებს ოლონდ,
იქნებ შემხვდა და ვერც ვიცან იმ დროის ერთი გოგო,
მაგრამ ტკივილად გაყუჩდი შენ, გაზაფხულო შორო!
აქ ვინც აღარ სჩანს, ამ ქუჩის ლამაზ სიზმრებში ცხოვრობს...

ოთარ რამიშვილს

ანგელოზების ოხვრა შეარხევს გიტარის სიმებს,
ყველა სიმღერას გადაუვლის მწუხარე ტალღა,
შემოდგომის დღე შეაბიჯებს თბილისში მძიმედ
და საქართველო ისევ იგრძნობს საოცარ დაღლას.
გული გაჩერდა, თუ ბულბულის გალობა შეწყდა?
შენგან ნაფერებ ცისკრით უკვე უშენოდ ვთვრებით
და მაინც სიკვდილს სიყვარულმა მოუსწრო შენთან,
უკვდავებისკენ გაგაქროლა მუსიკის ფრთებით!

* * *

წინდაუხედავს ნუ დაარქმევ და ნურც სუსტ მცურავს,
ვერ გადალახავს, ვინც გადარეულა, ამ ოკეანეს,
თუ სულგრძელობით ცხოვრებად აქცევ ყველა დღეს სრულად,
დროც არ დაგრჩება, თქვა: ცხოვრება რა მოკლე არის...

* * *

შენ, ჩემო რწმენავ, ამაღლდი ცათამდი,
ამად ვერ ამაღლდი, ჩემო ნაღველო,
შენ მაპატიე, ჩემო ბილიკო,
თუ ისე ხშირად ვეღარ გნახულობ.
სხვებზე ფიქრებში ისე ჩავთავდი,
რომ ვეღარ მიცნობ ხვალ, გაზაფხულო!
ნუთუ საჭიროა, რომ ძირს დავეცე,
თანაგრძნობა რომ დავიმსახურო?!

* * *

ბევრი რამ მახსოვს სიყრმიდანვე, ერთიც ეს მახსოვს:
ის ისეთია, დაინახავს კლდეში ეშმაკსო...
იტყოდნენ ხოლმე, უფრო ქებისთვის, ერთ ეშმაკ კაცზე
და მე, ყმაწვილი, გულუბრყვილოდ ვფიქრობდი ასე:
ოღონდ არ იყოს ეშმაკი, მე ვერ ვნახო ვერსად
და თუნდ დავბრმავდე, არასოდეს ვინაღველო ესა.
ფიქრი ამიხდა სანახევროდ _ ვბრმავდები მართლაც!
ეშმაკს კი, ეშმაკს ვინმე მაინც შენიშნავს სადღაც...

ქება ვაზისა

მზე შენს ძარღვებში გამოიზამთრებს
გაზაფხულზე კი ცრემლად წაგსკდება,
კვირტში იგროვებ მიწის სინათლეს,
ცის თბილი სიზმრის შენ ხარ ახდენა...
გრძნობა, სიტყვაში ვერდატეული,
სიტყვა კი _ გრძნობით ასე შეძრული,
ვაზი _ დაღლილი ჩემი სხეული
და შვებით სავსე ჩემივე სული.
ნასათუთევი ღიღინით, ლოცვით,
თვითონაც გლოცავს და გიალერსებს,

ღვინოს როცა სვამ, თითქოსდა ჰკოცნი:
მზეს, მიწას, ცვარ-ნამს და ვაზის ფესვებს.
როგორც ხატის წინ, ვაზის წინაშეც
მუხლზე დგები და კვლავ ღმერთს ადიდებ,
ღიმილის მზეში, ოფლის წვიმაში,
ვაზი მოიტანს ოქროს ამინდებს.
და ვაზი ჭიქებს რომ ავსებს შუქით,
გვახსოვდეს ეს გზაც მიწიდან ცამდე,
ღვინით ღვთის სისხლი გვაერთებს უკვე
და სადღეგრძელოც ფიცავით გვწამდეს!
მტრის ხმლის სამიზნეს დაგერქვა _ გული,
რწმენის ბილიკზე დაგერქვა _ ჯვარი,
როცა შენ გივლით, მამულსაც ვუვლით,
ვაზო, შენ ჩვენი ხარ საფიცარი!

* * *

ცვალებადიაო ქალი მარტივით,_
იმეორებენ, მაგრამ არც სჯერათ,
საქმე არაა ეგრე მარტივი,
ხან თვითონ ვაქცევთ ჯილდოს სასჯელად.
ყოველდღე უნდა შეიყვარო ის, თუ გრძნობა გყოფნის,
ყოველ სიყვარულს, თუ ძალა ექნება პირველი ტრფობის,
რაო? _ და იქნებ გაკვირვებით მომაპყროთ თვალი,
ყოველდღე უნდა შეიყვარო იგივე ქალი!

* * *

არ დაღონდე, მხოლოდ თვალი გაუსწორე ლამაზ სევდას,
როცა სცნობ, რომ შენზე ფიქრში კიდევ ერთხელ დამათენდა.
რომ მძულს თავი, რადგან დაჭრილს მე რაინდი აღარ მქვია,
რომ მშურს მათი, ვინც ყოველდღე შენთან ერთად ლაღად ჰქრიან.
შურს, სიძულვილს ვერ გავუძლებ, მირჩევნია, უმაღ დავდნე,
შენ კი, თუ ვერ შემიყვარებ, ნურც სიბრაღულს ნუ მაკადრებ.
მაგ ღიმილის ცისარტყელა _ გაზაფხულის ჟრუანტელი,
თითქოს ასე ახლოსაა, მაგრამ მაინც მენატრები.

გიჟურ ტრფობით უნებლიედ ქარი ლეწავს ვარდის რტოებს,
წავალ, მაგრამ ამ გაზაფხულს აღსარებად დაგიტოვებ.
არა, მაინც არ დალონდე, თუმც გამართლებს შენ ეგ სევდა,
ისე, როგორც მწვერვალს თოვლი, შენზე ფიქრი დამეხედა!
ზოგჯერ ვნების გრიგალია, ზოგჯერ _ შვების ნიავექარი,
შენს ნაპირთან მახლოვებს მაინც ბედის იალქანი.
დალილსა და იმედჩამქრალს გაოცებით მკითხავ: რა გჭირს?
მე ვერ გეტყვი, გული გეტყვის: შეეკითხე გიჟმაჟ აპრილს,
შეეკითხე გულის ტალღებს, შენი სულის მწყურვალ ნაპირს,
მთელ სამყაროს ის აწვალებს, საუკუნოდ შენგან რაც მჭირს.

* * *

(ექსპრომტი იმერელ ქალს)

ქალო, ნეტა, ჩემი იყო,
ჩემს ნამუსად დადიოდე,
უარითამც გაისტუმრო
სხვა მთხოვნელი ასიოდე.
დამე კოცნით გაძინებდე,
დილას _ კოცნით გაღვიძებდე,
შენი ზრუნვა საგზალივით
თან დამქონდეს დალილს გზებზე.
უმურველად მიმაფიცხო
ე მაგ მკერდში მიმაღულ მზეს,
სიმღერები მათქმევინო
ამ საოცარ სიყვარულზედ.
ფიქრთ მწვერვალი დაგილაშქრო
შენს ნაბიჯებს ვექვე კვალად,
სიყვარულის სიმაღლიდან
დაგანახო ეს ქვეყანა.
ერთადერთი ნატვრისთვალი
მე მოგტაცო, მე მოგპარო,
მეფედ მხოლოდ მე მიგულო
ყველა ზღაპრის დედოფალო!

* * *

ჩემი სულის მოფრენის ხმა წვიმის ხმაში აგერიათ,
რა მოკლეა ეს შეხვედრა, სათქმელი კი რა ბევრია,
ლამე გათოშილ ხელებით დამფრთხალ სიზმარს ეფერება,
რა ადვილი არის წასვლა, მე კი როგორ მემნელება.
ფიქრი მთების მძიმე ფრთებით და სიმართლე ასე მწველი
ყველასთვის რა ახლობელი, რა შორსაა სამებნელი!

* * *

(ნაწყვეტი პოემიდან “ზორამზე”)

1

შენს ნატერფალებს დავკოცნი-მეთქი,
მზერით ვსაუბრობ ბებერ ვერხვებთან,
ასწლების მერეც კვლავ ამაფეთქებს
ეს განშორება და ეს შეხვედრა.
და ჩემი სული, შორეთს წასული,
დიდხანს შემორჩა ვერცხლის ფოთლებთან,
ქარი ამაოდ ჰქონდათ დახშული
ჩემი სიზმრების მეციხოვნეთა.
თუმც უჩინარო, დედოფლის სწორო,
მე, როგორც ყველა, ჩემს ბილიკს შევრჩი,
მაგრამ მივხვდი, რომ რაც ქვეყნად ვცხოვრობ,
შენ არსებობდი ყოველთვის ჩემში.
არ გახსენებენ და ეჩვევიან,
რომ მარღვში მდორედ მიმოდის სისხლი,
შენი სიჩუმე მხოლოდ ჩემია,
მე კი სიყვარულს საქვეყნოდ გიხსნი.
მე მეშინია ამ მდუმარების,
სხვათა თვალებში შენთან შეხვედრის,
შენ არ გიყვარვარ, შენ გებრალები
და ველარ მცობენ უკვე ვერხვებიც.
იქნებ იმიტომ უნდა მახსოვდე,

რომ ვუერთგულო თავდავიწყებას,
შენ ხელუწვდომი ხარ სიახლოვე
შორს განაბული ახალ სიზმრებად...

2

შენი სუნთქვა _ მტრედის ფრთების ნაქარალი,
გაზაფხულის სიმშვიდეში დაივანებს მრავალჯერ,
გგონია, რომ ვისაც უხმობ, აქ არ არი
და ხვდები, რომ მონატრების სინაზით გასურს გადარჩე.
დღენი მინდვრად ძველი ცრემლის ნამს ხვდებიან.
მხოლოდ ის დღე გიცნობს, ოდეს ნამის ჩქამად ისმოდი,
სხეულში კი ვარსკვლავების ნამსხვრევია,
ტკივილი არ გიყუჩდება შენ ამ მარადისობის.
დუმილს დასდევს ჩრდილი ღრუბლის ჩუქურთმების,
ჩამქრალ ბილიკს ტანი უგრძნობს, რომ შევხვდებით ოდესღაც,
უნებლიედ მეც ამ დუმილს ვუერთდები,
რომ რტოების რიჟრაჟიდან კვლავ ეგ სუნთქვა მომესმას...

* * *

ჩარჩოდან მიმზერს პეიზაჟი ნაზად და თბილად,
იის ტალღებში შეცურდა დილა დედიშობილა,
მანც ეს ხილვა შორეული, ჩუმი და ამო,
ჩიტს ჰგავს, რომელიც გალიიდან გაფრენას ლამობს.

* * *

სიყვარულით თუ არ კვდები, ისე ვერ დაიბადები!
ისე სხვას ვერ გაანათებ, თუ არ იწვი, თუ არ დნები,
არც ცუდია მიბაძვა, თუ სხვის სიმართლედ მეორდები,
არც კარგია გზის ძებნა, თუ სხვის დაცემას ელოდები.
სიყვარულით როცა კვდები, სწორედ, მაშინ იბადები!
ერთს რომ ჰფარავ ფრთებით და სხვას
რომ არ ჩრდილავ იმავე ფრთებით.

* * *

ახლოვდება ცა, როგორც იის ძველი ვნებანი,
ცისარტყელის ბაროკო სულის მწვერვალს მოხაზავს.
შენსკენ იწვევს მთებს კვალი, შენ კი მხოლოდ შემკრთალი
შვენი მარტის ჩოხას და გადაღლილა სიცივე
შენი გულის ხმაურით, თვალეში გიციმციმებს
ვარსკვლავიდან მოწვდილი, წინაპრის მოლოცვილი
ჩუმი დღესასწაული...
გრძნობ და იცი ამ სივრცით, რომ ერთდები ვინმესთან,
გაზაფხულის ხალისით სხვა ფიქრები გიხმობენ
და მთელი ეს სიცოცხლე
ერთ საოცარ იმედს ჰგავს...

ფუძის ანგელოზი

(ნამდვილი ამბავი)

ემღვნება ვახტანგ მელაშვილს

ეს ნამდვილი ამბავი
ზღაპარს უფრო მაგონებს,
შორეული ჟღურტული
სიმღერებს შთამაგონებს,
ისევ ისე ფრთხიალებს,
გულის კედლებს აწყდება,
ვფიქრობ, ჩემში ის ხილვა
რომ არასდროს გაქრება...
იყო ნაეზოვარი,
ერთი ცრემლი მამულის,
მხოლოდ შორი დღეების
სუნთქვით გადაჯანლული.
ბალახიც და დუმილიც
მოგწვდებოდა ყელამდე
და ხეებიც ნიავში
თითქოს ვეღარ ღელავდნენ.
დროს ხავსიან თითებით
ჩაებლუჯა ქვები და

დაემტვრია კრამიტი
ეკალ-ბარდის რქებითა.
ფუძე გამონგრეოდა
მარანსა და საწნახელს,
შენ, ადგილის დედაო,
ამ ეზოდან სად წახველ?
თითქოს ქვევრში სულს დაფავს
ექო ძველი სიმღერის.
და აქ მოგელანდება
წინაპარი სხივფერი.

ო, ეს ლანდი მწუხარე,
ზედ სახლის წინ ტრიალებს,
ვხედავ, თვალებს ნისლიანს
ცრემლით როგორ იალებს.
“ირგვლივ სიცოცხლეა და
აქ რად დაღამებულა?!”
დიდხანს, დიდხანს ეს ხილვა
ნაბადივით მებურა...
ამ მიმქრალ ნაფუძარსაც
გამოუჩნდა პატრონი
და ეშველა სიმღერას
ნანგრევებით დატორილს.
სიტყვა სანთლად დაენტო,
გაიბზარა დუმილი,
გადაედო ნასახლარს
ირგვლივეთის დუღილი.
აწკრიალდა კისკისი,
როგორც ზარი ტამარში,
კიდევ ერთო ზღაპარო
გაქრობისგან გადარჩი.
ახლა ფიქრი ახალი,
გულით გამთბარ აგურით
ცისკენ აღიმართება,
ცისა ცრემლით ნაპკური...

როს ახალ ფუძეს ვყრიდით
და როს ყველა ხარობდა,
უცებ ერთი ჩიტუნა
გამოფრინდა ხაროდან.
ჩიტიცაა და ჩიტიც,
ბელურა და ასეთი?

და ჩვენც გაკვირვებულნი
ხელებს ვასავსავებდით...
ხან მხარზე დაგვისკუპდა,
ხან ჩაგვიძვრა უბეში,
თავის ჭკუის გაგვხადა
ყველა – დიდი თუ ბავშვი.
ძნელი დასაჯერია,
ღვთის ნებით თუ ხდებოდა,
რომელ ქვასაც ვიღებდით
ზედ იმ ქვაზე ჯდებოდა.
ხელისგულზე აკენკა
პური მოურიდებლად,
მადლი გვითხრა ჟღურტულით,
ღმერთო ჩვენო, დიდება!
რამდენჯერმე გაფრინდა,
ისევ ჩვენთან მოფრინდა,
გული გაგვიხალისა
დასველებულთ ოფლითა.

მაგრამ მოვრჩით თუ არა
იმ დღეს ფუძის შენებას,
ყველას თვალში დაგვაკლდა
ჩიტი, ჩვენი მშვენიება.
ვწუხდით, დიდხანს ველოდით
და სხვა გზა რომ ვერ ვნახეთ,
ჩიტი ღვთისგან მოვლენილ
ანგელოზად შევრაცხეთ.
იქნებ იყო წინაპრის
სული გახარებული,
აფრენილი ოცნება,
ნატვრა აცხადებული.
ანგელოზი ფუძისა,
მზის ზარების მრეკავი,
ვინც წაიღო ამბავი
გაქელილი ეკალის.
ვინც ნებით თუ უნებლივ,
გვალხინა და გვიწამა,
ვინც სიზმრად დაიტოვა
ამ მოღლილმა მიწამა...
ფუძის ანგელოზებზე
ბევრი რამე მსმენია,
დღეს კი ეს ანგელოზი,

ჩიტად ანაფრენია.

ამ ხილვასთან ზღაპარი
თითქმის არაფერია,
ვიცი, სადმე ამ ამბავს
დაიმღერებს ფერია...
ერთი კია, წინაპრის
ლანდსა ვხედავ მდიმარეს
“ჩვენო ახალმოშენევ,
მშვიდობის გზით იარე!”

1986 წ. აგვისტო
სოფელი პატარძელი

დალოცვა

ღმერთო, არ მაჩვენო:
სახლი გამოცარიელებული,
სახე _ “გამოსერიალებული”,
ვაზი _ დასეტყვილი,
კაცი _ შებერტყილი,
ერი _ გახარბებული,
მტერი _ გახარებული,
ნამუსი _ გარეცხილი,
მამული _ დამეწყრილი,
გუთანი _ ჩაჟანგებული,
ბუხარი _ ჩანაცრებული,
ენა _ გადაგვარებული,
რწმენა _ ფეხქვეშაგებული,
არამედ, ღმერთო, შენის მადლით:
არვის შიოდეს,
არვის სციოდეს,
არვის სტკიოდეს,
და ყველა სახლიდან,
და ყველა გულიდან
მრავალჟამიერის ხმა გამოდიოდეს!

შეხვედრები
უფალთან



წიგნიდან:

“მეხვედრები

უფალთან”

* * *

ვარ უსასრულო მუსიკა,
ვკრთი, როცა შენსკენ მოვფრინავ,
თუ ტრფობას დიდი სივრცე კლავს,
დიდი ტრფობა არ ყოფილა.
სხივნასიზმრალი გრაალი
და ჩუმი ლოცვა ცას ერთვის,
თქვენსკენ – ვიწრო გზა მრავალი,
სხვა არჩევანი – არცერთი!
...სინათლე ისე ღრმა არი,
სულს ვერ ჩავიტან დაბლამდი...
თუ სიყვარული ბრმა არი,
იქნებ მეც მისთვის დავბრმავდი...

* * *

ცისკართან იებს სანთლებად ვანთებ
და გიჩურჩულებ ლოცვებს სიოთი,
ო, კარგად ახსოვთ ამ ცას და ამ მთებს,
თუ ოდითგანვე როგორ მტკიოდი.
გულს გულგრილობით გადაუვლიან,
მაგრამ შერჩება მზეს შენი მზერა.
ყოველი ქალი სასწაულია,
ყოველი ქალი არის სიმღერა!
თავს ცისარტყელის გვირგვინი გადგას
და ვედარა მცნობ დამწვარს ლექსებით.
მე კი მიყვარხარ, მიყვარხარ, რადგან
აბა, გაზაფხულს სად გავექცევი?
ამასობაში წლები მიჰქრიან
და მოგველიან სადღაც ქუჩები.
ქალი კი არა, შენ ხარ სტიქია,
რომელსაც ვედარ გადავურჩები!

* * *

იყო ჭიქები და გულები პირამდე სავსე,
იყო ხორხოცი, ხვევნა-კოცნა, სხვა ცა და სხვა მზე,
ამ ყოველივეს არვინ ჰყავდა აქ შემფასებლად,
იყო მტირალი სიხარული და მლიმარი სევდა.
და მე ვიფიქრე: რამე გადარჩეს ამ გიჟმაჟ დღიდან,
მერე რა, იყოს ღვინის ბრალი, ზმანება გინდაც,
ოღონდ კი ასე _ უანგაროდ და უშურველად,
მარად და მართლაც ერთმანეთი გვიყვარდეს ყველას!

ეს მონატრება

ეს მონატრება, როგორც ნაპირი,
საბედისწეროდ სადღაც შორს რჩება.
შენ გაზაფხულის წვიმით დამტირი
და ნაცნობ ბაღში ჰყვავის ოცნება.
და ვით ვთრთი, ერთმა ღრუბელმა გამთქვას,
ჩანავლებული ჩრდილების ჩქამით...
ყველა დღე თითქოს გაქცევას ჰგავს და
სადღაც კვლავ ბოლავს სიკვდილის წამი.
მაგრამ იმედად ეგება ვინმეს
მოსწყურდეს ობოლ ლექსის წკარუნი,
ბევრ გაზაფხულში გამოიღვიძებს
უარყოფილი ეს სიყვარული.

ოთხი ჩანახატი

(რვეულიდან “მწვერვალები წისლს მიღმა”)

არდავიწყების შორეული ვარდობისთვიდან
მოსჩანს რიჟრაჟი _ ოცნებათა ღია ფანჯარა,
მარტოსული მზე შენს თითებში ბევრჯერ ჩამჭკნარა,
ბევრი სათქმელი გულის ბუდიდან გადმოგვიფრინდა.
ჩვენ დავკარგულვართ უსასრულო სიჭაბუკეში,
ასდევნებია ამ საწუთროს გულგრილთა მზერა,

ეს სიცხადეა, არა მისთვის, რომ ასე მჯერა,
მკაცრად ნუ განმსჯი, ნაღდი ხარ და არა უხეში...
სიოდ გავივლი განწირული ქარიშხლის მერე,
გაელვებისას მხოლოდ ვკრთები და არა ვთბები,
სადაც ჩემს ფრთებად დაკეცილა დაღლილი მთები
და გაზაფხული დაიჩემებს იმ ძველ სიმღერებს.
ჩემი ფიქრიდან არის ვიღაც გადახვეწილი,
მიუწვდომლობის ჟინი ჰქვია ე მაგ ოცნებას,
დგას ქანდაკებად თვალშეჩვეული ერთფეროვნება,
რომელსაც შერჩა ჩემი ცრემლი და სახე კეთილი.

* * *

ბედო, სად აღარ დამათარეშებ,
თითქმის ჩემს სულშიც ველარ ვეტევი,
სინანულს ვემებ და მათარაში
იმედის მუდამ რჩება წვეთები.
სიმართლე არის სწორედ სინათლე,
ხოლო სინათლე თხუნელებს ზაფრავს,
ღირს, მისთვის ყოფნას თუკი ინატრებ,
რომ გადაურჩე კიდევ ამ ზამთარს.
შენ, ალბათ, სადღაც გიცდიან დიდხანს,
მიხვალ და მძიმე ეჭვებს მიათრევ,
სიმართლისთვის რომ გამტყუნებს ვიღაც,
ვაი, რომ ესეც არის სიმართლე!

* * *

ავგიანდება თუ შენებრ სხვასაც,
თავს ინუგეშებ, რომ ჯერ ადრეა,
ვის ჯილდო ერგო ღალატის ფასად,
ვინ _ ერთგულებაც ტვირთად ათრია...
შენი ცხოვრება _ კარგიც და ცუდიც
მარადისობის ერთი კადრია,
ცხოვრება მაინც ამ დღეებს უდრის,
როცა ღალატი არ გიკადრია!

* * *

კაცმა მთის წვერს თუ არ მიაღწია,
გამტყუნდებიან ისევე მთები?
სიმართლე მაინც შუადღის მზეა,
თვალს ვერ უსწორებ, მისით კი თბები.
უკვე სხვისაგან გაკვალულ ბილიკს,
საუბედუროდ, საქმედ არ თვლიან...
ზოგჯერ შექება არაა ტკბილი
და ზოგჯერ წყრომაც დიდი მადლია.

* * *

ეს აღსარება არის უსრული _
გამოვექცევი ნისლს, ათასწლეულს,
შენ, უკვე მინდვრის ყვავილად ქცეულს,
მე, ცვრადქცეული, ზედ დაგადნები...
ეს მერამდენედ გეტყვი ჩურჩულით _
როგორ მიყვარხარ და მელანდები.

* * *

გული თუ ზღვაა, ნიავიც აშლის
მის ტალღებს, უწინ მთვლემარეს სადღაც...
მეფის გვირგვინი მძიმეა მაშინ,
როცა გვირგვინი ჭკვიან თავს ადგას.

მოლოდინი

კვლავ შეჰბლავლა ირემმა
ხეებს ნაზამთრალევს.
სიზმრის ჯანდი ირევა
და სთვლემს ნაზად მთვარე.
ლაინერი სულ წამით

გადაუფრენს ამ მთას,
ელდის თეთრი ვულკანი
მოგონებებს შთანთქავს.
მაგრამ მალე ამინთებს
იმედს ცისკრის მზერა,
სიყვარულის ამინდებს
უსაზღვრობის სჯერათ.
ენძელები ნათობენ
ანგელოზის კვალად,
დარდს ამსგავსებს და თოვლი
დარდად დნება მარად.
დრო გაფრინდა იმ წლებად,
ფიქრი ზღვარს რომ გასცდა.
ალბათ, აქ თუ იწყება
სიანკარის განცდა.
შორს დუქანი ირთვება
რიხითა და ქებით,
კედელს მიმქრალ მითებად
შვენის ირმის რქები.
თავს ვიმხნევებ, რომ მადლი
ცივ ტალღებზეც ვძებნო,
ჩემი ბედის ხომალდი
დამილოცეთ, ძმებო!
მიატოვებს სადღაც დღე
მოტრფიალე ნდობის,
ხოლო ვიღაც ცახცახებს,
ნაცნობ გზით რომ მოდის.
ჟინი იმ დღის მიგნების
მიწას აზანზარებს...
კვლავ შეჰბლავლებს ირემი
ხეებს ნაზამთრალებს.

შემოდგომის ხატი

ცისკრის ზვარში მობადაგდა სურნელება,
მარანი კი მზის სიჩუმით არის სავსე...
დედაჩემი დღეებს ავლებს ჩურჩხელებად
და ღიმილით ჰკიდებს მერე ხარიხაზე.
ამ ცის პატრონს სიმშვიდისთვის არ გცალია,
ნამთვრალევი ყველა განცდით დღეს კრთები და

ხედავ _ შენი საქართველო ტაძარია,
შემოდგომის უნაზესი ფრესკებითა...

თოვდა

თოვდა, თოვდა და თოვდა _ ბაღი სიცივით თრთოდა,
მე მოვდიოდი, ჰოდა, სულში ეჭვები მქონდა,
რომ ჩამისაფრთდა ვილაც, შეფარებული ნიღაბს
და რომ უცნობი კითხვა გამაწამებდა დიდხანს...
ქარი კი ქროდა, ქროდა, როგორც ნუგეში რტოთა,
თუმც აქ სხვის დარდი არვის გულზე არ ეწვა ლოდად.
თურმე ჭირს მისთვის ვითმენთ, რომ სხვაც დამწვარა ვინმე,
ვაგლახ, ვიმედობთ სხვის ჭირს და მისთვის ვცოცხლობთ იჭვით...
თოვდა, თოვდა და თოვდა, როგორც არასდროს, ისე!
რაც მე სათქმელი მქონდა, მთაში წაეღოთ ნისლეფს.

* * *

მიმწუხრის მთვარე _ ნაავდრალი ფოთოლი ვერცხლის,
შეხმიანება იმედების ახალ დარებთან...
ამ ათასწლოვან შემოხედვას სიშორე ვერ სცვლის,
ვილაც მეწამულ ბედისწერას აღარ დანებდა.
სიმშვიდის კოშკის ნანგრევებთან ცრემლის ლოდევით
გდია ღრუბელი და უწყინარი ამაოება,
შემრული არის სასწაულის ზღვა მოლოდინით,
რომ არ ჩათავდეს მხოლოდ ფერმკრთალ სადამოებად.
მოულოდნელად, ერთადერთხელ, ფარული ჟინით
შენ ერთად შეჰკრებ ძველ ძმაბიჭებს _ მთებს და ალიონს,
რომ ერთი ციცქნა სინათლისთვის ასე დასჯილი,
ბედმა უსრულ და უთავბოლო შუქში გაგრიოს.

ერთი დილის სამჯერ გათენება

ვერ შევეჩვიე ამ ნისლს, ამ ციხეს,
ვერც კაი ყმების ტყვედ ჩაბარებას.
ერთგულებისთვის მისთვის ამჩიხეს,
რომ ვერ შეჰბედეს ორგულს და ყაჩაღს...
გადაიქროლეს ბევრმა ქარებმა
და ჩემი სუნთქვა კვალივით დარჩათ.

* * *

ბებერი ჭადრის ნატიფ ხატში ვხედავ ბერიკაცს,
ქუჩის პალიტრას ძლივს შესამჩნევი ერთი ფერი სწვავს...
თავს აჯერებ, რომ სიმაგრე ხარ აუღებელი,
მთელი ცხოვრება გულს ისე, ვით ფარ-ხმალს აწრთობდა,
იცი, რომ ზოგი სიყრმიდანვე არის ბებერი,
ზოგს კი მოხუცსაც შერჩენია ახალგაზრდობა...

* * *

ნაცნობ ბაღს უმზერს სევდიანად ნაცნობი ქალი,
უღიმღამო დღეს დედაბოძად უდგას ეს ხილვა...
ყოველი ცივი ხმაც კი დამეტყო, ვით ტყვიის კვალი,
ალბათ იმიტომ, რომ, სამწუხაროდ, რაც ვარ, ცეცხლის ვარ.
ხოლო ეს ქალი უნაზესი და შორი მზერით,
არის ათასჯერ მოხატული მაისის ფერით.

სინანულის დღე

ბაღში ცისკარი ისე წყნარია,
ვით იყო წყნარი ოდესღაც ჩვენთვის,
მოდიან ორნი და უხარიათ,
რომ ერთმანეთის გვერდით არიან...
წლები კი უღვთოდ მიიჩქარიან,
შენ შორით მწვავ და აღარ ნელდები,
ჩემი მზე უკვე თუ ჩამქრალია,
მაშ, ასე რატომ მეიმედები?
რა ბედნიერი არიან ახლა _
ერთად ყოფნისას ვერც გრძნობენ, ისე.
ბაღი მათ ლანდებს შემოინახავს
და მათ ჩურჩულსაც ხშირად მოისმენს...
შენ დაიფარე, ღმერთო, ისინი,
დე, დაებედოთ სულ ერთად ყოფნა!
ნუ გაუთენებ ქართა სისინით
სინანულის დღეს, ეს მეც მეყოფა...

* * *

დიდთოვლობა დარდების
მთებმა უნდა ზიდონ,
შენ სიჩუმით არ თვრები, სიჩუმე ხარ თვითონ.
დაბრუნდება აპრილი
მივიწყებულ ფიქრში,
გაქცევას დააპირებ შეუცნობელ შიშით.
ჭრილობას ჰგავს შენი გზა,
ჩვეულ გზებს თუ ასცდა
და გაშორებს სხვებისგან სიახლოვე ცასთან.
მზე შეაშრობს მინდორს ხვალ
ცვრად ნაჟურ შენს დარდებს,
შენ რაც უფრო დიდი ხარ,
დიდი ჩრდილი დაგდევს.

მინდა

მინდა შემოვრჩე ამ უკვდავებას,
ამ უსასრულო გზას და ცის კიდეს
და არ მაკრთობდეს ფიქრი თავნება,
რომ ასე ცოტა დროა სიკვდიმდე.
მინდა, რომ მწამდეს დღე ხვალინდელი,
თქვენთან შეხვედრის ისევ და ისევ
და გაზაფხული, როგორც იმედი
მეციხოვნეებს მოვტაცო ნისლებს...
მინდა, ვიცოცხლო თუნდ იმ ერთ დღისთვის,
როდესაც გეტყვით, თუ როგორ გეტრფით,
და ის ბილიკი, შენდობის ღირსი,
ყველა სხვა გზაზე იქნება მეტი!
მინდა, თქვენს უსრულ ღიმილში ვენტო,
მინდა, არასდროს არ იყოს გვიან...
ამ ციციქნა სურვილს, მოწმე ხარ, ღმერთო,
რომ მთელი ჩემი სიცოცხლე ჰქვია!

ჩვენი ცხოვრება

ხვალ მინდვრად ვილაც ველარ იქროლებს,
განა გმირად ხდის ომი მეომრებს?..
მერცხლები ჰგვანან შემკრთალ სტრიქონებს,
ცა ხშირად გულში რომ იმეორებს.
ის კი გზად ჩასთვლის მაინც აპრილებს,
ვინც დაეღწია ზამთარს როგორღაც.
ფიქრი ვერავის გაანაპირებს,
მხოლოდ მუქართ ჩვენსკენ მობორგავს.
მზერით გზომავენ და გამხნევენ
და რომ მოგბადონ, ვითომ არცა სურთ.
დაიბრალებენ შენს ხმას ხევები,
შეგატოვენ მერე დასასრულს..
ქარიშხლები კი ისევ მოქრიან,
მათი ვნება რომ გასთქვან ღრუბლებმა,
ჩვენი ცხოვრება ისე მოკლეა,
სულმოკლეობის არ გვაქვს უფლება!...

* * *

არის მანდ ვინმე? _ ჩასძახის ხეობას ერთი ყორანი,
ზღაპრიდან გადმოფრენილი, ბერი კლდის ნაპატრონალი,
კლდის პირად გდია ღრუბელი _ თეთრი ბუმბული ზამთრისა,
ეს შიში გამოუთქმელი, ნუთუ სიკვდილთან ზავს ნიშნავს?
ვლელავ და ჩემი სათქმელი ტალღებში ბრწყინავს ჭავლივით,
ჩემი ცხოვრება ამ მხარეს ხომ არ გინახავთ ჩავლილი?
ხომ არ გსმენიათ დარდზე, გულში რაც ჩაიკლეს ამ მთებმა?
სიჩუმეს კორტნის ყორანი, ხევს კი ზედ ფიფქი ადნება.
მე აქ შემთხვევით გავთენდი,
თქვენ თითქოს დამხვდით უცვლელნი,
აღბათ, ერთმანეთს ხატავდით და დროს ამქვეყნად უძლებდით.
“მე ვარ” _ ვყვირი და დავებებ გზას უკვდავების სახელით,
ვერ მცნობენ, ან ვერ მამჩნევენ: თოვლი, ყორანი და ხევი.
არის მანდ ვინმე? _ ისევე გამყინავი ხმა ჩამესმის,
იქნებ, ძვირადაც დამიჯდეს ეს თოვა ულამაზესი,
მაგრამ შორს ერთი ცისკარი, ამ თვალთა ნამით შემკული,
ზის გაზაფხულის კოშკში და რჩება სულ ჩემი ერთგული.
ჩემს აუხდენელ სიზმრებთან საუბარს გადაჩვეული
ხვალის მზე მივიწყებულ ბაღს უჩემოდ აღარ შეუვლის...
იქნებ ბედიც ეს ჟინია, ვერდატეული ძარღვებში
და არვინ იცის, სად წყდება ეს უთავბოლო თარეში.

ცხოვრება საცალფეხო ბილიკზე

ბრძენს თუ წამოსცდა სისულელე _ ეპატიება...
სულელს თუ დასცდა ჭკვიანური _ არ ჩაეთვლება,
ხშირად არ ვამსხვრევთ სტერეოტიპებს,
რადგან თვით ვხდებით სტერეოტიპი.
თეთრი ყორანი კი არ გვძულს _ გვიკვირს...
მერე ერთმანეთს სადღაც შევხვდებით
და არც ჯიბრისთვის, არც ვალმოხდისთვის,
ერთმანეთს ვეტყვით გაცვეთილ გზნებით,
რომ არ შეცვლილა აქ არაფერი,
თითქოს გვაშინებს აქ არაფერი,

თუმცა ცხოვრება საცალფეხო ბილიკი არის.
მძაფრი ტრფობითაც ერთმანეთს ვებრძვით,
ათას ინტრიგის გავმხდარვართ მსხვერპლნი...
ზოგჯერ ვერ იღებ ვერც ხმას და ვერც ხმალს,
ვიღაცას მხოლოდ ღრმა ფიქრში შერცხვა,
რომ შენ გაგყიდეს ოცდაათ ვერცხლად
და განძი ტვირთად გიქციეს ერთხანს...
მისდევ საცალფეხო ბილიკს სიფრთხილით
და გავიწყდება, რომ სულ ესაა მთელი ცხოვრება.
მზესაც კი აშინებს შენი სიკვდილი
და ცდილობს, მოგანდოს დღის განმეორება...
ამასობაში ვიღაც კვლავ გხვდება
და თავდახრილი ჩუმად გაგცდება.
მადლიერი ხარ, თუკი სახეში შეგხედავს ვინმე
და გულგრილობას თუმცა ვერ ითმენ,
სიცოცხლეს გულში ჩაიხუტებ, გზას გააგრძელებ,
რომ გაუმართლდეთ მოლოდინი ნისლიან დღეებს...

ადამიანო

ადამიანო, უსუსურო და ყოვლისშემძლევ,
სხვათა თვალეში შენს საკუთარ ოცნებას ეძებ,
უშენოდ ირგვლივ ყველაფერი არის არარა:
წელთა დინება, გაზაფხული და ცის კამარა.
შენ ხარ გრიგალი, ქარიშხალი და სანაპიროც,
შენმავე მოძმემ ტრფობის კედელში უნდა ჩაგკიროს,
შენი ცხოვრება გზა არის და ღობე-ყორეა,
არ დაგავიწყდეს, დავიწყებას რაც მოჰყოლია!
ერთი კი ვიცი, საკუთარ თავს ვერ გადაახტი,
სულს ვერ შეგიცვლის ვერც მონობა, ვერც მეფის ტახტი,
სიკეთისა და ნდობისათვის ბევრჯერ დასჯილო,
ეგ თავგანწირვა ვიღაცისთვის იყო საჭირო!
ხან კერპი ხარ და ხან უსამართლოდ შერისხული ხარ,
თუმც უკვდავებას მაინც შველის შენი სულის ხმა...

ხილვის განმეორება

მტკვრის პირზე გდია წყურვილისგან დამხრჩვალნი ქუჩა,
ხელში შერჩენილ, ჯერ დაუმჰკნარ სალამოებით,
მთვარეს თვალეზში გაუმხელელი სევდა მოუჩანს
და ვიდაც სატრფოს ნაცნობ ბაღში აღარ მოელის.
სიჩუმის ჩქამი თავაწყვეტილ დღეს აღარ ჩაესმის.
როგორც ყოველთვის, ერთი მხსნელი დღეს აქაც არ ჩანს,
მე, უსუსრი, გაყინული მწუხრის თვალეზში,
უაზროდ ვიწვი და ვუსინჯავ ქუჩას კვლავ მაჯას.

* * *

დუმილი ბოლავს ნახანძრალი დღე აღარ მიმელის,
გადაღლილ ფოთლებს კი კვლავ სჯერათ ჩემი ღიმილის...
ნისლები ქსელში გაბმულ ჩემს ფიქრს ელის წვალეზა,
რადგან ვერ შეძლო ქარიშხლის წინ ფერიცვალეზა...
მუხლს შეასვენებ და გზადმავალნი თვალს გარიდებენ,
გნუსხავს სიცხადე დაუნდობელ ამ გარინდების,
ხოლო მზის ცრემლი შენს მოლოდინს მატებს სიმძაფრეს
და მომხიბლავი ტყვეობიდან სადღაც მიგაფრენს.

* * *

ალავერდიდან გელათისკენ გადამახილი,
ანუ ჩემი გზა _ ბზარი სევდის ათასწლოვანის...
ეს სიმღერაა, მივიწყებულ გულს რომ ახელებს
და მოუსყიდველ სიყვარულს რომ აღაფრთოვანებს.
ნეტავ იქ გავჩნდე, სადაც მუდამ ღალატს ხლართავენ,
იქნებ გორგასალს და ილიას ასცდეთ ისრები!..
სუსტიც რომ იყო, უნდა იყო მაინც მართალი,
რათა ერთგულად ზიდო ვალი, რაც დაგეკისრა.
გჯეროდეს, რომ შენ ხარ პატრონი ამ მთის და ზეცის,
თუმც პატრონობენ მეფეებიც მათი ტახტებით
და თუ მამულის წინ მუხლებზე ძირს არ დაეცი,
მაშ, სიყვარულით ვერასოდეს ვერ ამაღლდები!

* * *

ვაჟკაცობა თუ ღონეა მხოლოდ,
მაშ, ვაჟკაცურად დათვიცა ცხოვრობს,
თუმც მერე, ვაი, იმ გულს და იმ დროს,
როს მილიონი ღირს თავის სორო...

* * *

საგანგაშო კოცონად აბრიალდნენ ატმები,
ფხიზლად ხარ, თუ როგორღაც მტრის ჯინაზე არ ტყდები?
გშვენის ვნების საღამო, ისევ შენი სახელით,
ციხის ქონგურებიდან გადამკიდეს საბელით.
დგანან ბებერ ჭადრებთან უშენობით ზღაპრები.
ქუჩას, ფიქრით დაქანცულს, უკვე არ ენატრები.
მძლეც კი ვერ დამშვიდდები და სასწაულს კვლავ ეძებ,
ასვენებარ დაჭრილი გაზაფხულის მკლავებზე.

* * *

დუმილის ქსელში გაბმულია დაცემის ჩქამი...
აღარ არსებობს ბედისწერის შემკრთალი წამი.
ღამის კოშკიდან გადმოვარდა ვარსკვლავი ერთი,
ვით ნატვრა ჩუმი და ათასჯერ სათქმელი შენთვის.
ვით აღსარება ვარდისფერი ნაცნობ ბაღების,
მზის საუკუნევ, ობოლ ცრემლად თვალს მომადგები...
და კვლავ შევყვები ჩემი სიზმრის ფერდობს არსაით,
ვიდრე ერთი დღე არ დამარისხებს დედოზარსავით...

* * *

მწყურვალ სანაპირო არ ჰგავს ზღაპრის ბოლოს,
ვეღარ გწვდება ზღვა, რომ ცივ შუბლზე გეამბოროს...
მოუსყიდველ სიშმაგით დაძლეული ეს გზა,
სხვა ყველაზე წინ წასულს სიმარტოვედ ექცა.
ანგელოზის ცრემლივით მსუბუქი და სუფთა,
ქარს ბუმბული ეპოვნა ღელვის აღსასრულთან,
ნისლის თეთრი დროშები ძირს დახარეს მთებმა,

ვიცი, ძვირი დაჯდება სტიქიასთან შებმა.
თუმც მიხვედრა ანაზდად გაგაქვავებს ელდით,
გვიან იცნობს ჩემს თვალებს ზღვის სიზმარი ერთი...
თანაგრძნობა კი არა, ეჭვით მზერა გელის,
თუ მხოლოდ შენ გიტაცებს სასწაული ღელვის...
სანაპირო, ზღვა და შენ ბედისწერას თქვენ სცვლით,
იწვის მარტოსული დღე ჩამავალ მზის ცეცხლით.

მირაჟის განმეორება

მოწყურებული ამბორის გზააბნეული წვეთები,
ზღვით დათრგუნული ნაპირი, ვკვდები, კი არა ვსველდები,
ტალღები მიდი-მოდიან, ქარიშხალს კვალი წაშლია,
მინდორში ლეგა ღრუბელი პატრონმოკლული რაშია...
ცით მოღწეული ხმაური _ ვარსკვლავის ფრთათა შრიალი,
შენს აჩრდილს ვეღარ შეხვდები, ის მიმქრალ ზღაპარში არი.
ვიღაც კი, ხვედრით უჩინო, სიკეთის ცათამბჯენია,
გრძნობ და ვერასდროს გაამხელ, რა წვეთიც გადაგრჩენია.
ყოველდღე გკლავენ ეჭვებით, მზერით კი თითქოს გეტრფიან,
მერე შენდობას გთხოვენ და ეს უკვე მეტისმეტია!

ციკლიდან: “სიზმრის სტრიქონები”

გაელვებულხარ რაკი ერთხელ დიდგორის ველზე,
შენ წიწამურთან ვერვინ ჩაგაქრობს.
ტრფობის სახელით ვინც სიძულვილს ვერასდროს შეძლებს,
მასში მოკვდება ტრფობა არასდროს!
არ მომასვენებს ფიქრი, რადგან მიხმობ და მეძებ...
ჩემო მამულო, ჩემო ლამაზო!

დასიცხული დღე ტალღებში შედის,
ვიღაც შენი მზერით შეხედავს ცას.
აგედევნება აჩრდილი დედის,
რომელსაც მარადი წყურვილი ჰკლავს.

ამოდ მრისხანებ და ტალღებს მისტირი,
აწყდები მხოლოდ საკუთარ სულს.
და შენ გაგირბის თავად სიკვდილი,
სიკვდილი, რომელსაც დაემებ სულ.

სიშორის აღსარება

სულს ეს ზეცა ვერ იტაცებს,
მზერა ხატავს ველს ნისლებით
და მთებს, ჩემს ტკბილ ბერიკაცებს,
ღრმა ძილშიაც ვესიზმრები...
მსურს სიყრმეში მოვკალათდე,
მინატრია ასგზის გულით.
მე არა ვარ მოღალატე,
მე ვარ მხოლოდ განწირული.
მაგრამ ჩემს გზას თითქოს იტან,
რომ სევდა არ დაიბედო,
ამ პატარა სიცოცხლითაც
ვცოცხლობ შენდა საიმედოდ.
იქნებ ნისლი გადავთელო,
ისე შენს მზეს ვერ მივწვდები...
მე თვითონ ვარ საქართველო
უჩვეულო ბედისწერით!..

ბუხრისპირული

სარკმლის მიღმა ზამთარია,
უნაზესი პოეზია,
მამულს, ლამაზ მთა-ბარიანს,
ფიფქთ ჯარი შემოესია...
სურათია თითქოს ზამთრის,
ოთახში რომ ბრწყინავს ასე,
დათოვლილი გარეთ დადის
ხელთუქმნელი სილამაზე.
ხოლო აქვე ბუხარია,
ტკაცუნობს და ალებს ისვრის,
და გულს ეს ხმა უხარია

დედაჩემის ალერსივით.
მთები თეთრ ცას შენატრიან,
მსგავსი ხილვა სად ვეძებო?
ამ დღესავით სპეტაკია
ჩემი ქვეყნის სადღეგრძელო.
ჩემ ფიქრს თოვლი დარევი,
ბუხარი კი მავსებს რწმენით.
სტუმრად ზღაპრის დარებია,
მე ვარ მათი მასპინძელი!

წყაროსთან თქმული სიტყვები

1

აქლემის ქურდი აქლემს გაჰყიდის და თავს დაიმჯრენს,
ხურდაც დარჩება...
ვაი, ნემსის ქურდს, ნემსის ყუნწში რომ ვერ გამჯრება.

2

არც სიყვარულის, არც შიშის გამო
ლომს გალიაში არ სვამენ, კარგო,
ვინაც ხაზს უსვამს საკუთარ ძალას
და აღსარებას აღარა მალავს,
რომ ამით იგებს და ხალხსაც ართობს,
ხოლო ხევებში ტურა რბის ამ დროს
და თუმც ლაღად რბის, ვერ ვიტყვით მასზე,
რომ ლომს სჯობდა და გადარჩა ასე.

3

დედას უნთია თვალები, როგორც სულის სანთლები,
ისე ეჩვევი, ამ სასწაულით აღარც კი კრთები,
მერე სიკვდილი როცა თვალებს ფიქრში დაანთებს,
შენ ამ თვალებით ათასობით ღამეს გაათევ.

4

ფულს გიხდიან და სულსა გხდიან და ამას ხვდები,
გაბმულხარ, მხოლოდ უნიავებ სხვას შენი ფრთებით,
მაღე იმ აზრსაც შეგაჩვევენ, რომ შენ ხარ მონა,
თუ შენმა სულმა ეგ სხეული არ გადასწონა...

* * *

ხან გზა შეყრის ერთად ურჩს და მორჩილს,
(მთავარია, გზას არ ასცდნენ მართალს)
ყველა ფარას წინ მიუძღვის ყოჩი,
მაგრამ ფარას მხოლოდ შოლტი მართავს.

სკამი

სკამზე მჯდომს ყველა გეძახის “ძმას”
(თუნდაც უგრძობი სკამს ჰგავდე თვითონ),
პატივისცემა უთუოდ გაქვს,
უნდა შეიფერო და ტვირთად ზიდო!
მაგრამ თუ უცებ გეცვალა გზა,
თუნდ დარჩე ისევ სუფთად, ამაყად,
მიხვდები, რომ სკამი ყოფილა “ძმა”
თავად კი ძმები თურმე არა გყავს.

* * *

თქვენსავე ღირსებას ფეხქვეშ ნუ გაიგებთ _
ერთურთზე გადავლით გზა ვერვის უკვალა,
თავისუფლებასაც ისე ნუ გაიგებთ,
თქვან: ეს გიჟია და თავისუფალია!

ენის გასატეხი

* * *

ერთნი ვართ, თუმც ორად გაყოფილნი,
ამიტომ მესამეა კმაყოფილი.

* * *

ერი ველარ აიტანს ახალ სტომაქს, ახალ ყბებს,
ვინც ყველაფერს აყალბებს,
საქართველოს ასე ყოფნა აღარც ძალუმს, აღარც სურს.

გაუმარჯოს ახალ ტვინს და ახალ სულს!

სიყალბემ სიმართლე დასცა მოგვერდით
და საქმეც მოგვარდა.
ვაი, რომ მოგვარდა, საქმე უგვანთა.

სიმწრით ვიცინი, რადგან არ ვიცი კუდის ქიცინი.
მართლები არიან, რაკი არიან ბევრნი ისინი?

მე სიკვდილისთვის არა მცალია!

მე სიკვდილისთვის არა მცალია, გამიგებთ ალბათ!
ამ ერთ აპრილსაც შემატოვოს ატმების ალმა,
მერე მაისის შემსწრე სიკვდილს რად ვისურვებდი?..
მალე ჩემს ფიქრად აბოლდება ვარდის სურნელი.
მერე თიბათვეს დავჭირდები, მინდვრად გავათევ,
მერე ჩემს სათქმელს ოქროს ყანით იტყვის მკათათვე,
აღარ დამაცდის მოსვენებას ფერისცვალება
და უჩემობით თვით სამყაროც შემებრალება,
მერე ძმაკაცი დამიძახებს ღვინობისთვეში,
მივიწყებულ გზას ვეძებ, გული ისევე მერჩის
და კვლავ ახალწლის დილა მიცდის, ლხენის დარია,
არა და არა! მე სიკვდილისთვის არა მცალია!

დალოცვა

ხვავრიელად თოვდეს, თოვდეს,
ფიფქი თრთოდეს, ქარიც ქროდეს,
სიმღერები ხმამაღლობდეს,
ერთ ბუხართან ვისხდეთ ოდეს.
ვარსკვლავთ ბრწყინვა ცას ამკობდეს,
თქვენი სიყვარული მქონდეს,
ერთმანეთის ბედის გარდა,
არაფერი არ გვახსოვდეს!
სევდა გვშორდეს, ლხენა _ მოგვცეს

და ღიმილი ლამაზობდეს,
მთავარია, მთავარია,
ღმერთის ძალა ჩვენ გვწყალობდეს!
გაგვიმრავლდეს ის სიკეთე,
რაც შემოგვრჩა აქამომდე,
ჩვენი დედა _ საქართველო
ყველას თავზე დაგვხაროდეს!
ვატარებდეთ რწმენის გვირგვინს
და იმედის ავგაროვნებს,
ვწერდეთ ლექსებს და სიმღერებს
ამ ჩვენს დედასამყაროზე.
რომ სიმართლე გზას არ თმობდეს,
სიყრუე კი არ ფასობდეს,
ჩვენ თვითონვე ვპატრონობდეთ
მშობლიურ ცას, ტყეს თუ კორდებს!
ჩვენი ერი ნავარდობდეს,
ჩვენი მტერი არ ვარგობდეს,
მდინარე სულ კალმახობდეს,
მინდორი სულ თავთუხობდეს!
ამ თოვლივით სუფთა, ხშირი
ოცნებები თან დაგვქონდეს,
არ ვჩხუბობდეთ _ ვკამათობდეთ,
წინაპრებით ვამაყობდეთ!
ხვავრიელად თოვდეს, თოვდეს,
ჩვენი გული ლხენით თრთოდეს,
და ამ დილის ხილვა ტკბილი
უთვალავჯერ განმეორდეს!

საქართველო

საქართველო _ ვეფხვის ტყავში გახვეული ზღაპარი,
ბრდღვიალა მზე _ ჩვენს მთა-ბარში უკვდავებად ჩამტკბარი.
საქართველო მე ვარ, შენ ხარ, საქართველო ის არი,
ვისიცაა საქართველო ნაღდად დასაფიცარი!
...ხან თვალები დამთხარეს და ხანაც ძელზე გამკიდეს,
ო, რამდენჯერ უცხოეთში მასთან ერთად გამყიდეს,
სიკეთისთვის მკლავიც მომჭრეს, შემიგინეს ტამარი, და ვაი, რომ ნაავკაცარს ერქვა
ნამამაცარი!
წიწამურთან მზე ჩამიქრეს, როგორც წმინდა სანთელი,
და განწირულს ქართველისგან დამტიროდა ქართველი.

თავად მე ვარ საქართველო, შენა ხარ და ის არი,
ვინც მის წილ ჭირს მიუშვირა თავის გულის ფიცარი.
და ხელიდან ხელში წმინდა დროშად გადასაცემი _
საქართველო სიცოცხლეა ჩვენგან გადასარჩენი!
რაც კი გაჩნდა, იმის მერე ბრძოლაშია მარადის,
სიმართლე აქვს ხმლად და ფარად აგრემც ღმერთი ჰფარავდეს!
მარად ჩემი სალოცავი საქართველო ერთია,
საქართველო სიყვარულის და სიცოცხლის ღმერთია!
შენც ერთი ხარ, სხვებთან ერთად, ნაღდი, განა სიზმარი,
საქართველო შენ ხარ, მე ვარ, საქართველო ის არი!

9 აპრილი

ვარსკვლავცვენა დაიწყო, მზე ჩამოდნა აპრილის,
ბრძოლის ველზე ეცემა საქართველო დაჭრილი,
წყლულზე იფენს ბალახებს, თან მხსნელს ეძებს ოცნებით,
ამ დროს ცისკენ გაფრინდნენ თეთრი ანგელოზები.
გმინავს სვეტიცხოველი, ზარს არისხებს სიონი,
რუსთაველის კალთაში ტირის გალაკტიონი.
ისევ წამოიძმართა წიწამურის აჩრდილი,
ბრძოლის ველზე ფართხალებს საქართველო დაჭრილი.
მაინც დროშას ძირს არ ხრის, გულში იკრავს, თან მიაქვს.
დროშა სისხლშეუმრობი, ეს ამდენი ხანია!
თუნდაც ჯვარზე გააკრან და თუნდ მოსჭრან მარჯვენა!
წამოდექი! ეს მიწა რაა უსაქართველოდ?
წამოდექი, სანთელი ღამემ რომ არ გათელოს!
შენთვის ცისკენ გაფრინდნენ თეთრი ანგელოზები,
მზისკენ, მზისკენ წაიღე შენი წმინდა დროშები!

საქართველოს

რაც თავი გვახსოვს _ მტერს ვებრძვით მარად,
გვეცილებოდნენ ბელელს და მარანს,
გვეცილებოდნენ სოფელს და ქალაქს,
უშბას და შხარას, მტკვარსა და არაგვს,
ჰერეთს, მარაბდას და ნარიყალას,
ოდიშს, აჭარას, ალაზნის ჭალას,
მაგრამ ჩვენ მამულს არ დავთმობთ, არა!

ალავერდს, გელათს, სალოცავს ყველას,
ფიროსმანის ფუნჯს და ტატოს მერანს,
ჩვენს სიამაყეს _ მთაწმინდის მზერას,
წინაპრის ანდერძს _ ბაღსა და ვენახს,
მრავალჟამიერს და თუთარჩელას
დროთა ცვლილება ვერ შეცვლის, ვერა!
გორგასლის ჯიში, დავითის ჯიში
ცოცხლობს სიფრთხილით და არა შიშით,
ჩემი ქვეყანა ცხოვრობს და იბრძვის
რუსთველის სიბრძნით, თამარის სიბრძნით,
სამიზნე მუდამ შურის და ღვარძლის,
მაინც ფეხზეა და რწმენას არ ცვლის!
ფეხზეა, რადგან უფალი ჰფარავს,
ფარ-ხმლად აქვს მხოლოდ სიმართლის ძალა,
და ვფიცავ ახლაც: არაგველს სამასს,
რიგით მეომარს _ ათასს და ათასს,
ქართველის ცას, ანუ ღვთისმშობლის კალთას,
ყინწვისის ფრესკას და ქართულ ანბანს.
ილია მართალს და სულხან-საბას,
იმ ველს და იმ კორდს, იმ მთას და ამ ბარს,
რომ საქართველოს არ დავთმოვ, არა!!!
მტერს რომ ჰგონია, დავეცით, განა?!
მხოლოდ ლოცვისთვის მუხლებზე ვდგავართ!
ეს ცრემლიც კმარა, ეს სისხლიც კმარა,
არ დავმარცხდებით არასდროს, არა!

ვარდობისთვე

ვარდობის თვიდან ვარდობის თვემდე
სიცოცხლეს ჰქვია იმედის წვიმა,
ამ ყვავილებში, ძვირფასო, მენდე,
შენი ღიმილიც ნამივით ბრწყინავს!
ტყეს სურნელების გვირგვინი ადგას
და წინაპართა ოცნებით გალობს,
მე კი ზღაპარში დაგეძებ, რადგან
დავსჯილვარ სწორედ ზღაპართა გამო.
ღვთის ლოცვასა ჰგავს ცვრიანი კვალი,
ცისკარი _ ვარდთა სანთლებით ხელში,
ეს აღტაცება არასდროს დამღლის,
რადგანაც დღეებს კვლავ ბავშვად შევრჩი.

ცა _ დედის მზერა, გზა _ ვარდნაფენი,
ამ გზას მივანდე სიტყვა სრულიად,
რადგან ყოველ წელს ეს ყველაფერი
ჩემი პირველი სიყვარულია!

ანანურთან

ანანურთან წუთით ვწყდები დღეის დღეს
და წარსულში შევაბიჯებ უცებ,
იმ ვაჟკაცებს თვით სიკვდილიც ვერ იტევს,
ვისაც მკერდში მამულის მზე უცემთ.
ეს ქონგური მეფის გვირგვინს მიაგავს,
შევარდნილი მარადიულ ცაში!
თუ მოვყევი აქ კვლავ ბედის იალქანს,
მეც მეომრად მაკურთხებენ მაშინ.
აქ ყიჟინა გაქვავდა და... აენტო,
ჭრილობა მჭირს მარად სიამაყის.
თურმე გუშინ ვერცა ვცნობდი საერთოდ,
დღეს კი სივრცე ცრემლებს იად მაყრის!
ჰო, ლეგენდავ, ვუდარაჯოთ ერთმანეთს,
გამოვტაცოთ ცეცხლი დღეთა სრბოლას!
დაჭრილს მკერდზე წლები სისხლად მწვეთავენ,
შემომენტე და უჩუმრად ვბოლავ.
ის ერთი დღე მხსნელი აქ დგას ყოველთვის,
სხვა ყოველი თითქო ბინდში ქრება,
შენ ჩემ სულშიც გააღვიძე პოეტი,
რომ გადვიქცე მკერდით გამთბარ ქვებად.
საქართველო აქაც მეციხოვნეა,
მზის კოცონთან დგას ფარით და შუბით,
მის შემახილს ზოგჯერ ცეცხლის ღონე აქვს,
ხოლო ზოგჯერ _ იმოსება შუქით.
შორს ცხოვრება დულს და ასგზის იცვლება,
ბოლოს ყველა ანანურთან ვდგებით...
ჩვენი სული ნატვრას კვლავაც მისწვდება
რწმენის მთაზე ატანილი ქვებით.

საქართველოს

სადაც გინდა გესროლონ, მაინც გულში გხვდება,
რაც ხარ, მხოლოდ გული ხარ და იმიტომ _ დედა!
ისეთ ტკბილს და გულლიას რატომ დაგეძებდა
ამ ცხოვრების ობლობა და გერობა, ნეტავ!
ახლაც ცხელი დღეების მოგდება ალი,
ერთი თუ დაიჩოქე, ვაი, შენი ბრალი!...

ხოტბა თბილისს

შენ სიცოცხლეზე უფრო მეტი ხარ
(ეს თავგანწირვაც აღარ დამთავრდა),
კლდისპირზე დგახარ, როგორც მეტეხი
და მზად ხარ წყალში გადასავარდნად.
მაგრამ უსრული სილურჯე გიხმობს,
შენი ოცნების ცა საოცარი...
სულ უნდა ყალყზე შემდგარი იყო,
როგორც გმირი და როგორც მოსანი!
გაზაფხულები კრძალვით გისმენენ,
თავად ხოტბა ხარ, ხოტბა არც გინდა,
ერთხელ დაგჭრეს და, ვაგლახ, მის მერე
მტკვარი სისხლივით მოგჩქეფს ძარღვიდან...
სამყარო შენით იფერებს ღიმილს,
ამ ქუჩებს წვიმად მაპკურე, ღმერთო!
შენი ცრემლისთვის სიკვდილიც კი ღირს,
მაგრამ თან რა ვქნა?
შენს თვალებს ვერ ვთმობ!

* * *

მადარდებს, როცა ერთგულება დაგმობილია,
ბუხართან თბება ხალხი, როცა ათოვს ილიას,
ბერბიჭაშვილებს ზედ ტივზე აქვთ სუფრა გაშლილი,
ხოლო მტკვრის პირზე ჩუმი ტირის ბარათაშვილი.

განა ეს ერი სატანისგან გასაქურდია?
მხოლოდ ეკლების გვირგვინს ვუთმობთ გამსახურდიას.
ვაგლახ, სანთლებით ცივ ღამეში ცოტანი დადიან,
სულზე ვერასდროს მივუსწართ ცოტნე დადიანს.
და მაინც, გზაზე ბიჭი არსენა ყინჩად ჩაივლის,
მარადისობას ესმინება შოთას შაირი...
კი არ დაეცა, მხოლოდ მუხლზე ლოცვად დამდგარა,
ვისაც გული აქვს, ის მამულის გული გამხდარა.
დაცემის ნებას არც მოგვცემს ეს მშვენიერი ცა.
უფლის ნებაა უკვდავება ჩვენი ერისა!..

ცისკრის ლოცვა

ლიცლიცებს დილა სისხამი,
ცვარ და ცვარ ტოვებს კვალს.
ხეები ჩურჩულს ისხამენ,
მზე წმინდა სანთელს ჰგავს!
და მე მუხლმორთხმით ვლოცულობ,
ვით ზარს _შემოვკრავ სულს,
დღევ, სიყვარულით მოსულო,
შენი სიცოცხლე მსურს!
ღმერთო, ამ ღიმილს გავედრებ,
ამ უჩვეულო ცას,
ამ მზის მიჯნურებს და მხედრებს,
სულ სხვა ოცნება გვწვავს!
მამულო, მტლად დაგედები,
სიოს გიკოცნი წყნარს,
შენი მაღალი ქედები
მე ჩემს მიზნებად მწამს!
თქმაც შენთვის გამიბედნია,
თვალშიც გისწორებ თვალს,
ეს ტრფობა უფრო მეტია,
გულმა რაც უნდა თქვას!

* * *

შთამაგონე, გამაგონე ე მაგ მთების ყიჟინი,
რომ მოვარდნილ ავ გრიგალებს დავერიო გიჟივით,

დამინახე, დამიძახე, ძალა გამიათმაგდეს,
თავგანწირვით შემოვუყვე ციცაბო მთას ცათამდე!
თუ ვერ ვიხსნი, გადავყვები შენს აწმყოს და მომავალს
და სულ ასე _ სხვისთვის ურჩი, ხოლო შენთვის მონა ვარ,
უნებლიედ ამ სიოთი ვღვივდები და ვბრიალებ,
სასიკვდილოდ დაჭრილი ვარ საქართველოს ტრფიალით!

პოეტი

იქნებ გიმტყუნოს მუხლმა ან ბედმა,
იქნებ გიმტყუნოს გულმა ან თვალმა,
მწვერვალისაკენ გზად ფეხის შედგმა,
მაინც სიკვდილის ძლევაა, ალბათ!
ძმაც არ შემოგრჩეს, იქნებ, არც ერთი,
როს ნუგეშს შესთხოვ ამ მიდამოებს.
სულში მამულის ცისკრის ნაღვენთი
შენ მხოლოდ ლექსი არ მიგატოვებს!

სიმღერა ფიროსმანზე

1

გულით ხატავ, განა ფუნჯით, უფალს ასე ენება...
გაღვრილი ხარ გაზაფხულში ჯერ არნახულ ფერებად,
დაუჩოქებ მთას და მდელოს, მზეს, სანთლად რომ ბრიალებს,
ლოცვით ბედკრულ საქართველოს მოუშუმებ იარებს,
გულით ხატავ, განა ფუნჯით, ბედმა შენს გზას შეგყარა
და დროს ისე გადაურჩი, როგორც შენი ქვეყანა.

2

შენ მოგენატრა წრფელი თაობა,
ბნელში საბრალო დედა დალანდე...
კიბეზე არის არარაობა,
ხოლო კიბის ქვეშ კვდება ტალანტი.
სადღაც დუქანში ქეიფი მიდის,
აქ კი ნუგეშად ხმელი მჭადია,
შენ იყავ დიდი, ისეთი დიდი,
რომ თავის გულში ვერვინ ჩაგტია.

3

კვლავ მოოქროვდნენ მდუმარებით მიდამოები,
ღვინობისთვის მზე ჩახატულა მსუბუქ სევდაში,
ათრთოლებულხარ, თითქოს ციდან ძახილს მოელი,
თითქოს მთვრალი ხარ სიყვარულის ტკბილი ზედაშით.
სიოთი ჰკოცნი ცისკრებს, როგორც უფლის ნახატებს,
მხოლოდ ამისთვის გაჩენილხარ, ალბათ, ამ ქვეყნად,
შემოდგომა კი შენს გამოუთქმელ წუხილს ღაღადებს
და საქართველოს საფიქრალი ბედად დაგყვება.
ესეც ბედია – გაჟრჟოლება ცისკრის მოფრენის,
მზის მზერა, დარდი ღრუბლებად რომ გადაგეყარა,
დედინაცვალი იყო შენთვის წუთისოფელი,
დედაა შენთვის მარადისობა, ჩემო ნიკალა!

მეორედ შეხვედრა ლექსთან

1

ვინც ეცემა – გვებრალება, ვინც წინ მიდის – გვძულს,
სიყვარული სადღა არის, დაგვეკარგა სულ?
მადლი გვსურს და მადლის მქმნელი უკვე აღარ გვსურს,
ხშირად ცუდი დასაწყისიც ნიშნავს აღსასრულს.
ზოგი თავსაც შეგვაძულებს გამოგვითხრის ძირს,
მაგრამ სხვა კი მხატვარია შენი მშვიდი დღის,
ვიღაცას კი იქნებ იხსნის სხივი შენი მზის,
თუნდაც ერთი სიკეთისთვის ქვეყნად ყოფნა ღირს!

2

ეული წერო გადაუფრენს ნამთვარევ მინდორს,
ცვარ-ნამულს და მოგვირილეს შენი სიზმრებით,
შორი ხმაური კი ნანგრევია ოცნების კოშკის.
შენ, ერთფეროვან სასწაულიდან გამქრალი თითქოს,
მივიწყებულ და შემკრთალ დღეში შეიხიზნები.

3

ერთი ბულბული არ ვარგა? (თუ გამტყუნდება ას ყვავთან)
მინდორი უნდა შემძულდეს, თუ ზედ ლენცოფაც აყვავდა?
ფაქტი ფაქტია, თუმც მხოლოდ იგი სიმართლეს არ ნიშნავს,
განა სუყველა მხდალია, ვინც ემალება ქარიშხალს?
მზეს მხოლოდ მაშინ ირეკლავ, თუ ციურ ნამით სველი ხარ...
სხვას კი არ უნდა აკრთობდეს, უნდა აწრთობდეს შენი ხმა.

მწუხრის პირად ერთი სიტყვაც არის ვარდნაფენი გზა,
 სიტყვა სულზე მისწრებაა კლდეში გადაფრენისას.
 სიტყვა არის ქარიშხალი, ქარაფი და გზა ხსნისაც,
 დევკაცი თუ გულნამცეცა ერთმა სიტყვამ გასრისა.

გიორგი ლეონიძის გარდაცვალება

ამ სარკმლიდან პატარძეულს უკვე ვეღარ ვხედავ,
 მთაწმინდაზე ნისლად წვება შარი-შური ხეთა,
 მთის კალთაზე მოუსვენარ ღრუბელივით დადის
 გულში ვეღარ დატეული, დედის ჩუმი დარდი.
 ივრის ჭავლი ობოლ ცრემლად აკიაფდა თვალში
 და საცაა ერთი წამი სუყველაფერს წაშლის.
 დღე ქრება და დაუმცხრალი რჩება მაინც ვნება,
 მტერო, შენც კი მწუხარებდე, ლეონიძე კვდება!..
 ვიღაც მორბის, იქნებ სულზე მოგისწროს და გითხრას:
 _ ლეონიძევ, კოხტა ბიჭო, იცოცხლეო დიდხანს!
 მაგრამ ტორს სცემს და ჭიხვინებს საწყალობლად ლექსი,
 ტურჩებს იკვნიტს საქართველო და უჩუმრად კვნესის.
 სახე დაუნადვლიანდათ შორს ღიმილის ბიჭებს
 და ღვინჯუა შენს ეზოში მძიმედ შეაბიჯებს...
 ვაგლახ, ოლე ნაქარალი ავსებულა შხამით
 და დღეს უკვე მოუხურავს შავი მოსასხამი.
 აჩოჩქოლდნენ აჩრდილები, თალხით მორთეს რაში,
 ლეონიძე მზესა ჰგავდა ნისლის სუდარაში.

მედეა კახიძეს

მფრთხალი სიზმარი შორს, იმედის კოშკში, გახიზნე,
 ცხოვრების ეს გზა, მართლა, განა მარტო ბედია?
 უსინანულოდ ვერ იქნები, ქალო, კახიძევ,
 სიყვარულისთვის განწირულხარ, ჩემო მედეა!
 ო, ამ ქაოსში გული, ნეტავ, როგორ გაგიძლებს,
 გული კი არა, ეს ტკივილი რაღაც მეტია,
 ერთი შეკრთომაც არ გეპატიოს, ქალო, კახიძევ,
 მოუსყიდველო ანგელოზო, ჩემო მედეა!

პოეტი კვლავაც დარჩენილა შურის სამიზნედ,
ტაძარში განა სუყველანი სანთლით შედიან?
შენც მზის ტილოზე იხატები, ქალო, კახიძევ,
შენს ლამაზ სევდას ვენაცვალე, ჩემო მედეა!
გზად მწვერვალისკენ მეგზურობას ვერვინ გაგიწევს,
სადღაც კი ვილაც შენი ფიქრის მოიმედეა,
გაზაფხულიდან გაზაფხულში, ქალო, კახიძევ,
ნიაღვარივით მოვარდნა ხარ, ჩემო მედეა!

* * *

მომაკვდავ დღეებს თითებზე ვითვლი,
როგორც ალვის ხე ითვლის ხოლმე მერცხლის გუნდის ყოველ გაფრენას,
სრულ მოშვებამდე დარჩენილია ერთი ნაბიჯი
უფრო ძრწოლა და გაოგნებაა, ვიდრე იმედი (თუნდ არ აღიარო...)
ხიდქვეშ მდგარი დათოვლილი მატარებელი
ანგარიშმიუცემლად მიმართულ მზერას წუთით ატყვევებს,
მერე კი მზერას გაიტაცებს შორი, რუხი მთა,
თავმოხატული ცივ და სპეტაკ ფიფქთა ერთობით.
ცა ულურჯესი და ლაღლადა, ვით იის ხანძარი,
და გვეჩვენება, იქ თითქოს ვილაც კარავს შლის ახლა...
აქვე კი... გაწვდილი მუჭა მათხოვრის რაღაც აღარ მჯერა,
და თვალს არიდებ სირცხვილითა და უქონლობით,
თორემ სიბრაღულს სად გაექცევი კაცი უბრალო...
მათხოვრის გვერდით მტვერში გდია კონა იების...
და შენ დაეძებ თანადგომას კვლავ სხვათა თვალებში,
მთრთოლვარე მუხლები კი გამზადებენ დიდი განცდისთვის.
ყუმბარებივით სკდებიან ბაღში ნუშის სიზმრები,
მაშ, შეემზადე, ვერ წაუხვალ წარსულის ელვას!
გხვდება მძაკაცი და მოკითხვის უმაღვე გამცნობს:
“გახსოვს მადონა? ფერია ჩვენი სტუდენტობისა!
გარდაიცვალა მოულოდნელად...
თავის მშვენიერ რაჭაშიც კი ვერ წაასვენეს,
დიდთოვლობამ გზები ჩაკეტა...
მერე სამოწყალოდ აკრეფილ ფულით, თანაც საჩქაროდ,
დამარხეს აქვე, ჩვენი მადონა”.
თითქოს ცხოვრება შეუცვლელად გრძელდება აქვე,
მაგრამ, ო, არა! შენი ჟრჟოლა იყოლიებს ყოველს.
შენ გზას აგრძელებ და უნებლიედ იმ თოვლზეც ფიქრობ,
შორი ფიქრივით შეყინულა მატარებელზე _
და უნებლიედ გაიფიქრებ პარაშუტისტზეც,
მთელი ცარგვალი მშვიდობით რომ ჩამოიარა

და აქვე, ახლოს, რომ გაუსკდა უეცრად გული...
მიხვალ და ხიდზე ტალღა-ტალღა მიმოდის ხალხი,
შენ ერთი წვეთი იყო იქნებ მთელ სამყაროში,
საიდანაც ვიწყებით ყველა, ანუ ვთავდებით, სადაც ერთხელ...
და გიკვირს, რომ შენ ახლავა ამჩნევ,
რომ გაზაფხული დაწმენდილა ღმერთის ფიქრით.
რადაც კი მუდამ რჩება სათქმელი, როგორც თვით გული,
სიკვდილის მერეც რჩება ხოლმე
ტკივილის რანგში აყვანილი სიყვარულისთვის...
მარადისობა _ ვინ იტყვის, რომ არაა მხოლოდ
ცალთვალგამოთხრილ ამ სამყაროს ცრემლის ბრდღვიალი...

მზერით საუბარი ნისლთან

(დათო ფანგანს)

მთაში ნისლები ისევ დაობლდნენ
და მიიხატეს მკერდზე კოშკები,
ფიქრს კი, მითრეულს სასაფლაომდე,
აღარც სწყურია ძალის მოკრება.
გზისპირად გდია ჩემი მოწყენა,
ვით თავის ქალა მიწანაკმარი.
ხეები, იმ დღის ბრწყინვის მოწმენი,
ჩამოხმებიან კიდევ აქ მალე...
ამაზრზენია, _ ჩურჩულებს ერთი,
მეორე იტყვის: _ცოდოა უფრო,
უნდა დავმარხოთ ტკივილი ჩვენთვის,
მიწას ეფეროს და ესაუბროს.
გაფანტულია ჩემი თაობა,
ალალი კაცი ვიღას სჭირდება,
ჭეშმარიტ აზრთან თუმც არ დაობენ,
მაინც არ ესმით ჭეშმარიტებაც...
მე აქ ვთავდები... და,აჰა, სისხლიც,
სისხლი _ წერტილი ამა ლექსისა.
ვიღაც შემოვა ფარული ზიზღით
და უკვე გარეთ ესმის ფეხის ხმა...
მაშინ კი შეკრთა... მოკვდა საწყალი?
აქ მოკვდა, მაგრამ ის ცოცხალია,
მას თქვენზე ფიქრი კვლავაც აწვალეებს,
სხვად დადის, სხვაგან, არც უხარია.
ის აქ გათავდა... ჰო, დაიტირეს,
“რა დიდი იყო და უჩინარი”,

ბევრის მომსწრეა კოშკის ქვითკირი
დროთა ღრუბლისგან დაუჩრდილავი.
მთაში ნისლები ისევ დაობლდნენ,
შიშველ ხეს ეს ცა უჭირავს მხრებით,
არავინ იცის, მტკივა რაოდენ
ეს გზა, რომლითაც უფსკრულთან გხვდებით.
მაინც ვილაცა გვიან მიგონებს,
მზე ფეთქდება და თენდება ისე,
მინდვრებს კი, როგორც ვერთქმულ სტრიქონებს,
შემოეჩვევა სიზმრებად ნისლი.
ვერც მივხვდი, ისე გამოიდარა,
ნისლი შუქივით თავზე გადამდის.
ო, როგორ მინდა ვიცოცხლო მარად,
რომ თქვენთვის მოვკვდე მერე ათასგზის!

ფრთხილად!

დაფიქრებული მოძმე რომ შეგხვდა,
თაყვანი ეცი, მასში ღმერთია...
და მისთვის ჭექა თუ არ ხარ მეხთა,
მხოლოდ ეს დარის რა იმედია?
მაგრამ თუ ღმერთიც მხოლოდ შორი გწამს,
ახლო ყოფილა შენთან სატანა,
ტრფობა გრთავს, ღირსი თუ ხარ ტრფობისა,
თუ არა სტყუი თუნდ შენს თავთანა...
ფრთხილად! შენ ხედავ, თუ ვერა ხედავ,
ეს სულ ერთია, ღმერთია შენთან!

არა უბრალოდ მოლხენა

27 დეკემბერი

დაუძველებელ მხურვალე ამბავს
ბრძენნი ნიავს არ მიაკარებენ...
შემოდით ჩვენთან, სამოთხის კარს ჰგავს
მეგობრისათვის ღია კარები.
შემოდით, სუფრა არის გაშლილი
სახელდახელო, ასე რომ გვიყვარს,
მასპინძელი კი დარბის ბავშვივით,
რომ გვაამოს და შემოვრჩეთ დიდხანს.

ამივსეთ ამ დღის შუქელვარებით
გოგლასეული ქვევრი დიდრონი
და ახალ დღეშიც, ალბათ, მთვრალები,
მის თვალთა სანთლებს უკეთ ვიპოვნით.
მოლხენა რაა, გაიგებთ ახლა,
ამ წუთებს თურმე მუდამ ვეძებდით...
ეზოს იმგვარი თილისმა ახლავს,
დაუთრობელი წახვალთ ვერც ერთი!

მოხუცი შვილი

გამოასვენეს მხცოვანი დედა,
მოხუცი შვილი ატირდა უხმოდ.
ეზოში მდგარმა დალილმა ძეწნამ
შორ ხილვას მტირალ შვილივით უხმო.
ბევრი გულგრილად თავისთვის იტყვის:
_ რა მოხდა მერე, ჩვენც გავხდეთ ამ ხნის.
სადღაც გალობდა პატარა ჩიტი,
ვით მოგონება ამ მწუხარ სახლის.
სირცხვილი არის მოხუცის გლოვა,
ან იქნებ ვაჟკაცს არ შვენის ცრემლი?
ო, დედის ნაცვლად არავინ მოვა,
რომ ზიდოს შენი მღელვარე წლები.
თანამგრძნობები ცოტანი დარჩნენ,
მოხუცობაში შენც შეხვალ თვითონ.
შენი ტოლები თუ არ დაობლდნენ,
ბევრმა მიმართა კვლავ დედის სითბოს.
ჭირი გახშირდა, გული გაგრილდა,
ვერ შეეჩვევი, თუმცა შენს სიკვდილს
და დაჯერება არაფრით გინდა,
რომ დედაშენი გტოვებს და მიდის...
ვეღარც მორალი დარდისთვის იცლის,
შენი სითბო ხომ სხვებსაც სჭირდებათ?
ამ სევდიან დღეს ეგ გული უცემს
და იგი შენი ცრემლით ირთვება...
ხომ ელოდი და რატომღა შეკრთი?
ფეხაუქცევი არის სიბერე!
თუ ღირსად ჩათვლის შენ შვილთაც ღმერთი,
კვლავ გაახსენებთ მას ძველ სიმღერებს.
თუ მარტო შენ თავს არაა ჭირი,

შეღავათია ეს განა რამე?
მდუმარებითაც შენ ახლა სტირი,
ბოლო წუთები იმედსა ხრავენ:
გგონია, უკვე მწვერვალზე იყავ
და თითქოს ცუდ დროს დაეცი დაბლა.
დედის ყოველი უბრალო სიტყვაც
წააგავს ახლა რაღაც დიდ ამბავს.
თავად სიკვდილიც მოწყენით იდგა,
რატომღაც ისიც შემკრთალსა ჰგავდა,
საბრალო დედას ეძინა მშვიდად,
მას, გაქვავებულს ფიქრად და დარდად.

ახმიანდება ვიღაცის სულში
მისი ლამაზი სულის ბაღნარი,
თუმც წარსულს ყველას ვერ გადაუშლი...
დღეს დედა მოჩანს უტყვი, მღიმიარი...
მაგრამ, ო, მაგრამ ერთი შეხედვაც
სულს ჟრუანტელად ასგზის დაუვლის
და წაასვენეს დღეს ყველა ერთად:
დედა, იმედი და სიყვარული!

დედა

დედაჩემს ჰგავს გარიჟრაჟი,
ცის მანდილით, მზის ალერსით..
თუმც სიბერემ ქარის რაშით
გამოტოპა მდინარეში.
მოიტანა ფიფქის კრთომა,
მინელეზა დადარისა,
დედაჩემი იმიტომაც
მხოლოდ სანთლად გადაიქცა.
მანც მათბობს მაღლი წმინდა,
იმ მაღლიან გალობისა
და ღამეთა ტყვეობიდან
ისევ დედამ გამომიხსნა.
ლოცვით სუნთქვის გადამრჩენი
სწუხდა ვნებით, ქუხდა ვნებით,
და სამყაროს ტაძარს შვენის
დედა – ფრესკა უკვდავების!

წეროები

(მათ ავტომატის ჯერით დახვდნენ არაკაცები)

ქარი ღრუბლებს ფურცლავს, ქარის კალთაში კი თვლემს ია,
წეროების ქარავანი ცის უკვდავი ლექსია...
გალობაა, მართლაც მზისა, ან ღვთიური ლოცვანი,
მთას თითებზე დაუმარცვლავს მათი კრიალოსანი...
მოდინ და ცის ტალღებში ჟღურტულებენ საბრალოდ,
გადაფრენილ დღეებივით მსურს, ისინიც დავთვალო.
ეს ცხოვრება სევდიანი მათი ფრთების ფერია,
უნებლიედ რომ გვაკრთობენ, ნეტავ, რას გვიმღერიან?
იმ ლურჯ ფსკერზე ვარსკვლავებად ჩაძირულან ლამაზად
და მძივივით უხდებიან გაზაფხულის კაბასა.
შემოდგომით ფოთლებს ჰგვანან ხეებიდან გაფრენილთ,
შორეთში რომ წაიყოლონ აქაური ზღაპრები...
ო, ისინი შორს იწევენ, ღმერთის სიახლოვესა,
რომ მათი ხმა შორეული იდუმალად მოგვესმას.
არა, აღარ გვენდობიან და შორს გადაიარეს,
მათ რომ ესვრის, ალბათ, თვით ღმერთს ესვრის ადამიანი!
სადღაც, ვიღაც თვალს ადევნებს თქვენ ბობოქარ ქარავანს
და ის ვიღაც მომავალშიც, ნეტა, მე ხომ არა ვარ?
თქვენც ხომ თქვენი გზები გაქვთ და ცხოვრება საკუთარი,
რჩება მუდამ იდუმალი თქვენი ნავსაყუდარი.
ბევრისათვის თქვენ ფრთებს მოაქვს ნაღვლიანი ოცნება,
ხოლო ბევრს კი ეს შორი ხმა სულაც ვერ ჩამოსწვდება.
სამყარო კი დასერილ სულს ველარაფრით შეივსებს,
ერთი წეროც რომ დააკლდეს წეროების ზეიმზე.
ცხრა მთა, ცხრა ზღვა, ცხრა მდინარე ჩვენთვის გადმოიარეს,
ჩვენი გულის ცხრაკლიტული სხივნისკარტით შეაღეს.
შორეული წარსულიდან სევდის წლებად გალობენ,
წეროები მემრის ჩვენკენ, ალბათ, მაინც წამოვლენ!

შორს არიან, მაგრამ მაინც ჩანან და ხმაც მოგვესმის,
თავისთავად იზადება ლექსი უსათნოესი.
ცას ატყვია მათი ფრთების ნაცრისფერი სისველე,
ცა ჩოჩქოლებს, დელავს და ამ უცხო თრთოლვით ისვენებს.
ჟღურტულობენ, ცისარტყელებს აღვივებენ ფრთის ქნევით,
წეროებიც მზეს ჩამოსწვდნენ, როგორც ღმერთის ფიქრები.
თუ ერთხელაც ვეღარ დაგხვდით, ვეღარ მესმა ეგ ხმები,
გწამდეთ, მაინც მთის მწვერვალზე

სიოს ფრთებით შეგხვდებით!

თუ

1

თუ ძალგამს ისე მეკამათო, რომ არ შეგძულდე,
თუ ძალგამს ქება ისე მითხრა, რომ არ შეგშურდეს,
ანუ გულწრფელად დამარიგო და არ გამწირო,
ანუ გულლიად გამიცინო და არ დამცინო.
თუ არა ჰყვირი, მხოლოდ მისთვის _ დაყრუვდეს ვინმე,
შენც შეგარქმევენ პატარა იმედს.

2

თუ უბრალო ხარ, თუ მწყემსი ხარ, სიტყვას სიმდიდრედ
მანამ გითვლიან, მათ მოსწონთ და არ უშლი ვიდრე,
პოეტობის პრეტენზია თუ გაჩნდება შენში,
კრიტიკოსები გიწოდებენ უეცრად შეშლილს.
ან თუ ნამდვილად ლექსით სუნთქავ, რაში გჭირდება
მავანთა ლანძღვა, გინება ან ტაშით დიდება?..

3

თუ ძმები ვართ და ისე გაივლის ჩვენი ცხოვრება,
რომ ერთმანეთი გვეჩვენება მგლებად და ცხვრებად,
თუ ვიტყვით (თითქოს თავმომწონედ) _ ასე გვსჯის შიში,
თუ გვსურს, რომ ვინმე გავაკვირვოთ ამგვარი “ჯიშით”,
თუ მოძმის ჯიბრზე სხვას შევცინებთ მოლურად პირში,
და თუ ვიცრუებთ, რომ ცალ-ცალკე ჩვენ არც გვაქვს შიში.
ვინ მართალია, ვინ _ მტყუანი, ვინღა დაეძებს?
აქეთ გზას თუკი დაადექი, უნდა დაეცე...
თუ სხვა არ არს რა ძმობა, თუ არ მტრობა და შური,
სულ ტყვისათვის განწირულა სამყაროს შუბლი.

ნაკვესებით

1

ყრუ რომ არა ხარ, ეს არ ნიშნავს, რომ შენ გაქვს სმენა,
ზოგი მეტყველებს ისე, რომ სჯობს არც ჰქონდეს ენა,
თუმცა მსმენელთა უმრავლესობას ხმაური უყვარს,
მისთვის მავანი “მომგებიან” სიმებზე უკრავს...

2

თავი მოგაქვს, არვინ გიმხელს, რომ დადიხარ უთავოდ...
დავა საქმიანი არ გაქვს, საქმე კიდევ უდავო...

3

ნებსით იყო თუ უნებლიედ, მზემ ტახტი მთვარეს გადასცა,
ბედკრული ლომი შენატრის გაყვინიზებულ კატასა...

4

იყავი ბრძენი, მაგრამ ამ დროს იყავი მკაცრიც,
თორემ სულელი კი გაკადრებს რჩევის მოცემას.
სხვისგან გამოწვდილ შხამით სავსე თასს როცა დაცლი,
მაშინღა იგრძნობ, ვინ ჩაგითვლია ანგელოზებად...

5

სამწუხაროდ, სუფრაზევე იწყება და თავდება
ჩვენი კარგი ერთგულება, ძმობა და თავდადება...

6

ზოგს თუ აფხიზლებს გინება,
სხვა _ ქებამ გამოატვინა,
ჩვენ ერთმანეთთან ყოფნისას
სიფრთხილე გვმართებს ნამდვილად.

* * *

არ ამძიმებს ამერიკას ასიოდე ქართველი...
საქართველოს უმძიმს ყველა დაკარგული ნათელი.

* * *

ის წითელ წიგნში შეიტანეს, რადგან წითლდება,
ის მაინც ხედავს, თუ ირგვლივ საქმე როგორ შავდება,
წითელ წიგნში რომ არ გამოემწყვდეს ერის დიდებაც,
ჩქარა და ჩქარა _ სუყველასგან ხამს თავდადება!..

ვერ მიწერილი ბარათები

* * *

კვლავაც დაფასდეს, ნეტავ, კაცობა,
არაკაცობა სძულდეს სუყველას!
სიმართლე სჩანდეს და არა ჰგავდეს
თავის აშვება თავისუფლებას!

* * *

იქით რესტორანია, აქეთ კიდევ კაფია,
ხორცის სიძვირეა და სულის სიიაფია...
გაბეჩავებს დუმილი და გულს გიტეხს მაფია,
განაცვალებს შენი ძმა თავის საქმეს სარფიანს,
ფრთხილად, ეს დღე კი არ დულს, ჭუჭყიანი ქაფი აქვს!
სუფრას ამკობს და იქვე ქრება ნალდი კაფია.

* * *

მთვარევ, სიზმრით დამასველე
ვარსკვლავების მომლოდინე,
ვდგავარ ჩუმად და მას ველი,
ვინც მომიტანს მხოლოდ იმედს.
ბედმა გვერდით ჩამიარა
შემოსულმა ღამის ჩოხით...
კვლავ სისხლი სდის ჩემს იარას
და მაინც არ დავიჩოქე.
თუ ხარ, უნდა რწმენა გერქვას,
სწორედ რწმენამ შეგვყარა მზეს...
თუ სჭირდები თუნდაც ერთ კაცს,
კი ღირს ყოფნა ქვეყანაზე!

* * *

ზოგს წმინდანობა დასწამეს, ზოგს კი დააჭრეს ფრთებიც,
სიამით, მესმის, კიდევ ჰო, სიავით რატომ ვთვრებით?
ელვარე ნაყოფს ქვას ვესვრით, რადგან ხელით ვერ ვწვდებით.
და ყველა მტერი გვგონია, ვინც არ დგას სულ ჩვენს გვერდით.
უსამართლობა გაგზნარავს, ქვა თუ არ დაგაქვს მკერდით...
ჩვენ ერთხელ ვიბადებით და მერე ათასჯერ ვკვდებით!

* * *

თუ დამიჯერებთ, სულ ვნატრობდი და ვნატრობ ახლაც
გაღიმებულ და დამშვიდებულ სახეთა ნახვას.
ვნატრობ, რაც ქვეყნად შური არის, გესლი და შხამი,
სულ ერთ ტყვიაში მოთავსდეს და მოთავდეს ამით.
ხოლო იმ ტყვიას მე მივიღებ საკუთარ თავზე,
ოღონდ კი ყველა _ ჩემიც და სხვაც, გადარჩეს ასე!
რა ვქნა, ცხოვრება ბრძოლააო, ვიღაცა მეტყვის
და თუ კაცი ხარ, უნდა იბრძოლო, რა გზაა მეტი?
მე კი ამ ლალატს, ორპირობას და გაუტანლობას,
ვერ დავარქმევდი ვერც ცხოვრებას და ვერცა ბრძოლას.
ვიბრძოლებ, მაგრამ ვერ ვივარგებ ბინძურ ჭიდილში,
რაინდს გათელავს უვიცთა ბრბო და ცვედანთა ჯიში.
თუ დამიჯერებთ მასაზრდოებს ისევ ზღაპარი,
ბავშვური გული არის ჩემი თავშესაფარი,
ვერ შევეჩვევი გულგრილობით კაცის გაწირვას,
ყოველი კაცი შეუცვლელია ქვეყნად, ასე მწამს!
და თუ ცხოვრება ბრძოლა არის მაინც და მაინც,
ისე იბრძოლე, ეკადრება ვითარცა რაინდს!

ყაჩაღის ეპიტაფია

აღსარებაში მაინც ნაღდი ვარ,
თუმც რასღა მშველის?
ამით იქნებ ვმცირდები კიდევ.
მე დრომ გამძარცვა
(რომ მეგონა, დროს ვატარებდი და თავს ვიწონებდი).
წამით შეჩერდი, ესეც მადლია!
იქნებ ეს ლოდი აზრთა მისაწვდომად
მაინც დაგჭირდეთ,
მკერდზე მე თვითონ ამომიღადრავს ეს სტრიქონები...

სამი სადღეგრძელო

ვისი სიმართლევ რატომღაც არ ჩანს,
ვინც უსამართლოდ წყვდიადში დარჩა,
ვინც მისი წილი დაკარგა დღენი,
ვისთვის ცრემლიან სიმღერას ვმღერი.
განწირულ იმედს უშველის ვინც კი,
ფიქრით თუ სიტყვით, თუ დიდი რისკით,
ვინც გადაარჩენს ერთ გულის ფეთქვას,
ათიათასჯერ უშველოს ღმერთმა!

ვიხსენებთ ხოლმე მეფეს თუ სარდალს
(ღირსები, ალბათ, კი იყვნენ მართლაც!)
მაგრამ დღეს მინდა მივწვდე რიგითებს,
მათ, ეშმაკს სული რომ არ მიჰყიდეს.
ბრძოლის სიმძიმე ვის ზურგზეც იწვა
და უხმაუროდ მიბარდნენ მიწას,
დაბლებს და მაინც ასულებს ცამდე _
ეს მათით უძლებს სამყარო ამდენს!..

თავის ცხოვრებით ვინც ვერ ცხოვრობს,
წილხვედრი გზებით ვინც დადის მხოლოდ,
დაჩოქებისაც რომ არ აქვს ნება,
ვერც სცნობს, ნელ-ნელა თუ როგორ დნება...
უფალმა მაინც იფიქროს მასზე,
და ჩვენც, სუყველა, დაგვიხსნას ასე!..

* * *

ერთს საკუთარი აჩრდილი აკრთობს, ორს _ ერთმანეთის ეჭვი,
სამს სურს _ ერთ-ერთი მესამე დათმოს, აზრით _ მის წილად ხვეჭის,
ოთხი ორ ჯგუფად იყოფა ხშირად და უფრო მეტსაც გეტყვით:
ხუთში არ არის არც რა კავშირი _ ყველა თავისთავს ეტრფის,
ბევრნიც რომ ვიყოთ, არ ვუდრით არც ერთს,
ბრბოს ნაცვლად ხალხი გვერქვას,
ჩვენ ჩვენი ტვირთი, თუმც ყველას გვაწევს, გვაქვს გასატანიც ერთად!

ბრმა მათხოვარი დგას ხიდის ყურში,
ხელში მუდარად უჭირავს ქუდი
და ხურდა ფული სიბრაულს უდრის,
გამვლელები რომ უყრიან ქუდში.
იგი ვერ ხედავს, ვინ რა ფულს აგდებს,
“ჩხაკ” და ამ ხმაზე მადლობას ამბობს,
ზოგს მათხოვარი აუშლის დარდებს _
სხვას სხვის დანახვა სჭირდება ამ დროს.
და მოდის ერთი აგდებს თუმნიანს,
არც “ჩხაკუნი” და “მადლობაც” არა,
ის გზას აგრძელებს ჩუმი სრულიად
და მხოლოდ სულში ცრემლი სდის ღვარად.

ბაზართან ახლოს უთოს ჰყიდის მოხუცი სათნო,
ერთ დროს ხალისით ნაყიდსა და ნაფერებ უთოს,
რა ღირსო? _ ერთი კაცის სულში სიტყვები ავდრობს,
ორი პურის ფულს ხომ მაინც მომცემ _ ქალი პასუხობს.
ბევრ ფულს გაუწვდის კაცი... მოხუცი შეჰყურებს რიდით,
_ შვილო, ამდენი? მე გავყიდი განა სინდისსაც?!
_ მე ასე მიღირს, უთოც თქვენ გქონდეთ... და კაცი მიდის
მწუხარე ფიქრით, რომ გაჭირვებაც გადაივლის და...
გულგრილობასთან შეურიგალი გული პატარა,
თუ ყურს მიუგდებ, დიდი ქუჩის ხმაურს დაფარავს.

მოდით, ძმებო, შესვით ღვინო, კი არ დავთვრეთ, მოვილხინოთ,
სიავეს და უნდობლობას, იქნებ, უკეთ შევერკინოთ!
მოდით, ძმებო, გრძნობა მოდის, არც მთავრდება არასოდეს,
ღვინო არა, ნეტავ, ძმობის სიყვარული დაგვათრობდეს!
ჩვენ სიმღერას უსმენთ, მტრებო?
მოწანწკარებს ლექსად წყაროც,
დაიჯერეთ, რომ უჩვენოდ ცოდო არის ეს სამყარო!

ვიღაც ვერ გავაცილეთ და
ვიღაც ვერ ვინახულეთ...
დარდად გვექცა დაპირება
ჩვენი თავის მსახურებს.

დრო კი მიდის და რომ მიდის,
ჩვენ დრო არ გვაქვს არასდროს,
ხოლო ვიღაც მუდამ გვიცდის,
მაინც რომ გაგვამართლოს.

* * *

ლომის ქანდაკის პედესტალზე ჩიტები სხედან,
წვიმს... ვიღაც მკერდით მიასვენებს ქუჩის სიმშვიდეს,
ლომი სადღაა? მზე ბაგა-ბუგით უცემს ამ დღეს და
სურს თანაგრძნობა მიაწეროს უმწეო ჩიტებს.....
ზოოპარკიდან განწირული ღრიალი გწვდება,
შენ კი მორჩილად წვიმის წკაპუნს კვალდაკვალ მისდევ...

* * *

ქედი _ ოფლიანი და უხეში,
მკერდი _ დასისხლული მუდამ,
შებმულხარ ცხოვრების უღელში
და კი არ ცხოვრობ, _ სუნთქავ!
სახრის ქვეშ მაინცა ლოცულობ,
კვდები და არ ტყდები მაინც.
ამ ქვეყნად ყვავილად მოსულო,
გულზე დაგაყრიან ყვავილს.

ჭორი

ფეხი წამოჰკარ ქვას, გზა გააგრძელე კვლავ,
დაეცა! _ პეტრემ თქვა; დაშავდა! _ პავლემ თქვა,
თითქოს ვიწონებთ თავს, თითქოს ვაკვირვებთ სხვას,
მოკვდა! _ გოგიამ თქვა; აფსუს! _ მელანომ თქვა.
შენ კი შემთხვევით მთლად, ფეხი წამოჰკარ ქვას...

* * *

უეცრად მარტო დარჩენილ ღმერთკაცს,
ეტკინა ნისლში ჩამხრჩვალ კვალი,
ქუჩას მზისფერი სამოსი ეცვა,

ღრუბლებში იწვა სიმღერა ხვალის.
სადღაც ტალღები იმედს ლეწავდნენ,
განწირულს ვერვინ ვერ ეშველება
და თუმცა ქარში კრთოდა ლერწამი,
ქარადვე სჩანდა მისი მშვენება!
ვინც ეძებს _ ჰპოვებს, ვინც არა _ ისიც,
თუმც უძებნელად რომ ჰპოვო რამე,
იღბალი გინდა, იღბალს კი _ იცი,
ექვით უცქერენ და მერე ჰკლავენ...
მოვუყვებოდი ქუჩას ნალველით,
აღმართს ზედმეტად ვერ ვეჭიდები,
თქვენ აღარ გახსოვთ ჩემი სახელი,
ეჰ, ესე იგი აღარ გჭირდებით!..

ორი ნახატი

ბალახს თიბავენ ვაჟკაცები ღიღინ-ღიღინით,
ბალახის მკერდზე აციმციმდა ცრემლი გვირილის
და თითქოს მინდორს შეეყინა პირზე ღიმილი...
მეცხრე სართულზე ფერმკრთალია ყვავილი ქოთნის,
მას ბერიკაცი ხშირად რწყავს და მზერითა ჰკოცნის...

* * *

სული შხამად ამოღვაროს ოღონდაც,
და ზოგი ჭორს მართალივით ჰყვება...
აწ დამხობილ მეფეს ვინც არ მოსწონდა,
განა მართლა გმირი არის ყველა?..

დარიგება

(ჩემს გიორგის)

მავანს ნიღბად რომ ვუთვლიდით, ის სახეა მისი,
რადგან წამიც არ იცხოვრა სულ სხვაგვარი მიზნით...

კაცს კი კაცი ჰქვია, რაგინდ შური ვერაგობდეს,
კაცს ან მალე გამოიცინობ, ან სულ ვერასოდეს!

ახალგაზრდობა

რწმენის გარეშე მწვერვალისკენ გზას ვერ გაიგნებ,
ფუჭად დახარჯულს, ვინ შეაქებს შენს სიჩაუქეს?
ახალგაზრდობა, ეს უბრალოდ ხვედრია იქნებ,
ახალგაზრდობის შეფერება _ ნიჭია უკვე.
რა ხარ, შენს მამულს შენი ფეხითაც თუ არ უვლია,
თუ შენს ოცნებას ძუნძულით არ მიუაღერსე?
გაუმხელელი სიყვარული დაკარგულია.
მარტო სიტყვებში გამხელილი _ მთლად უარესი!

ჩემს დემეტრეს და მის თაობას

ჩემო პატარავ, მე თუ ვედარ _ შენ მოესწრები
და შენს ტოლებთან საქართველოს ლხენით იხარებ!
მე კი სულეთში სხვებს მოვძებნი ხელის ცეცებით,
შენზე და ქართლის მომავალზე ლოცვას ვიკმარებთ.
ო, რა იქნება ნაზამთრალი მამულის ნახვა!
თქვენ გენაცვალეთ, ჩვენგან დატოვილს შესვამთ ფიალებს.
ჩვენგან მიუწვდომ ოცნების მთაზე გმირებად ახვალთ
და მქრალ იმედებს გამარჯვებად ააფრიალებთ!

* * *

მე ალავერდი მივედი ღმერთთან
და მზის ფიალით შევსვი სიცოცხლე.
აქ უნდა მეთქვა, რაც უნდა მეთქვა,
ან სხვა რა ვიყავ, ნეტა, ვიცოდე!
განწირულ დღეებს მოაქვთ სიზმრები
და ზედ გაყრიან დამჰკნარ ვარდებად,
ეს ერთი გრძნობა თავდავიწყებით

რად მაგიჟებს ან რას მემართლება?
ალბათ, არასდროს არ დასრულდება,
რაიც დაიწყო სრული განცდებით.
გკლავენ, შენ კი გწამს თავისუფლება
მაშ, მომაკვდავიც არა მარცხდები!...

სუყველას გვაწევს სევდა იმ დილის,
როცა ვაქებდით ხმაურს სიწყნარით,
მე ამ ერთხელაც შემხვდა სიკვდილი,
და, ვაჰ, რომ ბედზე ვერ მომისწარით!
მერე რა, კრთება სული ქარიშხლით,
და კი არ მიყვარს _ მტკივა ეს წუთი,
იმედი ღამეს ნაბდად გაიშლის
და გატარებულ ცისკარს დაუცდის...
გრძნობ, შენ ხარ ღმერთის საგალობელიც,
როცა აოცებ ვინმეს ამ ხმებით,
ჰოდა, სიკვდილიც აღარ მოგელის,
რადგან სიკვდილსაც ეამაყები!

სატრფიალო

მზე შენს მზერას შევადარე და ცას პირი საავდრო აქვს,
ჩემი საქმე შავად არი, არ მილიმი, სანამ დროა...
ვიცი, მალე დამშორდები და მეც წასვლას აღარ გიშლი,
გამიხსენებ ამ კორდებით, ამ მთითა და ამ ქარიშხლით.
მიენდობი სხვათა ღიმილს, შეგამკობენ სხვანი ჩემებრ?
ოცნებაში გადაღლილი სიხარულში განისვენებ.
მე კი სიოდ გადავიქცევი, ამათრთოლოს ლექსმა უფრო,
სანთლად ენთოს დარდი ჩემი, რომ შენს სუნთქვას ვესაუბრო,
გიჩურჩულო სიტყვა ძეწნით, ჩემს ნაცვლად რომ მოგფენს ჩეროს
და დავლიო სული შენს წინ _ სიკვდილითაც მოგეფერო!...

მზის აპოლოგია

მიყვარხარ, მზეო! და ამისთვისაც თუ დამსჯის ვინმე,
მე თვით ამ სასჯელს მიჯნურად ცნობის ჯილდოდ მივიღებ.
ვიჩოქებ შენს წინ და ამით, ალბათ, კი არ ვმცირდები,
ესაა კრძალვა, საითაც მივალ, იმა დიდების...

შენ უსასრულო ბრდღვიალი ხარ და ცხელ წვეთებით
ჩვენს მოღლილ სულში მოთქრიალებ და იწმინდები...
თუ არსებობენ სადღაც ჩვენი შორი ლანდები,
მათ შენ ვარსკვლავად უციალებ და ენატრები...
ბურუსით მთვრალი საუკუნო სურათს მაგონებ,
ღამისპირ ჩიტთა შენკენ ლტოლვის ჩუმ აგონიით.
ფარადაც მეპყარ, დედოზარსაც ჩამოგკარ ასგზის,
მთლად ცხოვრებაა შენი დუღილი _ სისხლად რომ დამდის.
ტკბილი ძუძუ ხარ სამყაროსი და გჯერა ჩვენი,
თავს თვლი მოვალედ ... და იქნებ ვერც გრძნობ თუ რარიგ გვშვენი.
ასე არის და ასე იყო, ალბათ, უწინაც,
ხან ვიმსახურებთ წყრომას, შენ კი გვენდობი მუდამ,
კვლავ გვანათებ და ჩვენშიც სითბო მონახო უნდა,
ნდომა სიკეთის რომ ჩაითვალოს, სიბრიყვედ შენად?
კი არ მიყვარხარ, მესიცოცხლები, მემამისები,
შენ, ნაღვერდალო, ვერ მიღველფილო დროთა ნისლებით.
თვალს რომ გისწორებთ, მოგვეჭრება ჩვენ თვალი რაკი,
ზოგჯერ გვგონია მკრეხელებს, რომ შენ გამჩნევთ ლაქებს.
შენით ანთებულ სამყაროს ვხედავ, მიზანო ჩემო,
რუსთველისა და ილიას სულში სანთლად ნანთებო,
ეჰ, სიყვარული აგიხსენ და ვერ კი ავხსენი....
ვიდრე თვალეებში ჩამიქრები, დედას მახსენებ...

* * *

არდავიწყების თეთრი აჩრდილი
სიყრმის უბანში ძველ გზას იფერებს,
ფიქრად უნთია შენი თვალეები
და იმეორებს მიმქრალ სიმღერებს.
შენ კი ამ გზაზე ხარ შეუმჩნევი
და მინდობილი ნაცნობ შუადღეს,
დგახარ და იცი, რომ ეგ სიჩუმეც
მზეს ერთხელ ცრემლად უნდა მოადგეს.
პირქუმ ლეგენდებს გამოქცევიან
გაფითრებული იასამნები,
სულ ერთი წამით გაიელვებ და
ყველა გაზაფხულს მიესალმები.
ბოლოს მიხვდები, რომ მაინც აგცდა
გულგრილთა მზერა _ ცეცხლის ისრების,
და მყოფი, ყველა მწვერვალზე მაღლა,
უმწეო ღრუბელს შეეხიზნები.

შემოდგომა

უკვე მოილია შინდი და ტყემალი,
გაუვალ დუმილში ტირიან ხეები,
თეთრ სიზმრებს ნაბადივით მოისხამს ტყე მალე,
ნისლს ერჩოლებიან ქორბუდა დღეები.
ახლა კი თრთიან და ტირიან ხეები
(თუმც ერთად მათ თითქოს არასდროს უჭირდათ),
ზეცისკენ აწვდილი ნაჯაფი ხელებით
ლოდიდან ქცეული სიცოცხლე უჭირავთ...

* * *

შენ ამ ქუჩაზე შემომხვდი ადრეც,
იწვოდი ნუშთა აპრილის ალში,
მხოლოდ ღიმილით ამბორი გკადრე
და შენ სიკვდილით დამსაჯე მაშინ.
რა ვქნა, დედოფალს ახლაც გიტყდები,
განა ტრფიალი არის აუგი?!
სიოთი ვკოცნე შენი თითები
და შენს სიწყნარეს კოშკი ავუგე.
ეს ფიქრი თურმე მუდამ თან მსდევდა,
რუსთველის დროსაც, ილიას დროსაც,
ე მაგ თვალების ლამაზი სევდა
გადამაქცევდა დამაშვრალ მგოსნად.
თითქოს ლოცულობს ვიღაც მზის ხატთან,
თითქოს გაზაფხულს სისხლი სდის ვარდის,
ეს ყოველივე მუდამ მიყვარდა
და რომელიღაც სასწაულს ვგავდი.
განმეორდება ხილვა მრავალი
ამ მოთმინების და სიყვარულის.
გერქმევა სხვისი შენ დედოფალი,
მე კი _ პოეტი, ხელმოცარული.
მაგრამ მაშინაც ვიყავით ერთად,
როცა გზა შენსკენ აღარ ვიცოდი...
შენი თვალების ლამაზი სევდა
ბედისწერაა მარადისობის...

მარიამობის თვეში

მარიამობის თვეში
მზის სიზმრებს შევსვამ პეშვით,
და ამაჟრჟოლებს სულ მთლად
ფერისცვალების ეშხი.
ჩემი ფიქრების დარად
წვიმა წამოვა მთებში,
ბარად ოქროვან ბალებს
სიოს ალერსი შეშლის.
მინდვრად _ სურნელთა ჩქერი,
ცვარმომდინარე ტევრი,
მახრჩობს წყურვილი შენი
და... მეტი არაფერი!
სანთლებს დაანთებს დედა _
მიემატოსო მზის შუქს...
ეს უცნაური ელდა
ძარღვებში სისხლად მიდულს!
ზეცას ლოცვებით ვწვდებით,
გული კი მძლავრად გვიცემს,
ღვთისმშობლის მშვიდი მზერით
მოხატულია სივრცე...

* * *

ვარსკვლავებს ვკრეფდი წუხელ,
მეპყრა კალათი მთვარის,
გადახვეოდა მუხებს
ღამე, უგონოდ მთვრალი.
ქარი ქელავდა წუხილს,
ბაღს ცვარი სჩქეფდა ღვარად...
ვარსკვლავებს ვკრეფდი წუხელ,
შენი სიზმრების დარად!

თავდავიწყება

(პარიზელ მეგობარს მაია სახლთხუციშვილს)

მართლა იის ტბა როდია, ან გვირილის მზე როდია...
კრთის ქართულ ცის პაროდია _ უნაზესი მელოდია!
ჰა, რაშები, კარეტები! დაგვაცლიან განა დიდხანს?!

ოცნებაში არ ეტევი და სივრცეში გადადიხარ.
სად იყავ და სად წახვედი, გწვავს მზისფერი მისტერია,
გზას, ქარაფში გადაჩეხილს, ყრმობის წლები მისტირიან,
აქ უცხოა აზარფეშა, მაშ, გამოვცლი ნატიფ მინას,
თუნდაც წყალში გადავეშვა ამ სევდიან ქალისთვის!
უსრულ ველზე მონავარდე ჩემს ოცნებას შემატოვე,
მაგ ღიმილის მონა ვარ და მთელი ქვეყნის მეპატრონე,
ნაცრისფერი ეს ქუჩები, ნაცრისფერი ბულვარები,
ნოსტალგიას ეურჩები, მსხვერპლი კი ხარ მდუმარების.
ამ დღეს არ გვაპატიებენ, რა მაცდური ფერებია,
იისფერი მანტიები ქარის ცრემლებს შერევიან.
მეც ხომ, ცრემლებმორეული, უთავბოლოდ მოვქრი რაშით,
და მზე, ჩემი ორეული, დღეს თავს იხრჩობს იის ტბაში.

ზმანება

ნიავეს ფეხშიშველს კრძალვით მოაქვს მთვარის სანთელი,
მე კი ვჩურჩულებ ეკლესიის ჩამქრალ ზარებთან...
ო, ამ სიმღერას, უთვალავჯერ ფეხქვეშ გათელილს,
ახლაც ვგრძნობ, ვერვინ თუ რატომ ვერ ჩაამთავრებდა.
ეს მწუხარებაც უსასრულო გზებზე გადავა,
შენ სხვისა ტახტზე შემოფლეთილ ღამით გმოსავენ...
დღენი მხსნელებად კვლავ მოაწყდნენ დარდის გალავანს,
მაგრამ მათგანვე დაისრული დახვდათ მგოსანი.
ანგელოზთაგან სიზმარეთი დაცარიელდა,
საამცხოვრებოდ მხოლოდ ერთი წამით დავთვერი.
ნიავეს ნამუხთლევს ჩაეჩოქა დასალიერთან
და ცვრიან ველზე სულს ღაფავდა მთვარის სანთელი.

შიში

ეს ამოდენა ქვეყნის სიმბიმიე
ამ პაწაწინა გულს რომ დააწვა,
თუკი გაუძლო, მაინც – “ვაი”, გულს,
თუკი ვერ გასძლო – “ვაი”, ქვეყანას!
არც ვინ იცლის და არც ვინ იფიქრებს,
რომ გადამწყვეტმა დაჰკრა საათმა

და რომ ხსნა უნდა სიცოცხლის ერთგულს
ვისაც სიკვდილი გადაეყარა.

* * *

ღრუბლის რუხი ბელტები...შენ მზის გუთანს მიჰყვები,
შეუმჩნევლად ბერდები შემორჩენილ სიყრმეთი.
ცრემლებს ველარ მადენენ, უკვე დარდსაც ვმაღავო,
ზეცა _ დედის მანდილი მეფინება მაღამოდ.
გულს კი არცა სურდა რა, გახდა ოხვრა ამ მთების,
ნისლის თხელი სუდარა, მთვარის კენტი სანთელი,
თეთრ ზმანებას გადურჩი შავი ბედის მარხილით
და მუსიკის ქარბუქში მუსიკით იმარხები.
ასგზის გაუქმებულა წინაპართა სამვალე,
ცრემლად დაწვიმებული ვარსკვლავთცვენა მაწვალებს.
წლები როგორ ჰყვოდნენ და რა უცებ აცივდა?
მიგყვა სასაფლაომდე ოროდე კაცილა.
ჰო, იცვლება სახე და იქნებ დოქიც, სახელიც...
იგივეა აღმართი, ისევ ისე დამღლეული.
იმ ნაცნობი ჭადრების მდუმარებად იქცევი,
სიზმრად ჩამოდნები სულის მწვერვალს, ვით ლექსი.
მომაკვდავი ფოთოლი ფიქრსლა ასწრებს ოხვრითა _
“კი არ მოკვდა, შეაკვდა... სიკვდილი ვერ მოხრიდა”,
დრო აქ თითქოს ჩერდება, ვისლა ესაუბრები?
უკვე ოფლის ბელტებად დაწყობილან ღრუბლები.
ქვისებრ მხედარს ჯვარი ქვის, თვალთ მერანს სწონიან,
ბაღში ათევს ცვარივით ღამეს მელანქოლია.
რაც რატომღაც აგშორდა, ახლა იგი დრო გინდა,
წყალთან დაგხვდა ბავშვობა პირმოტეხილ დოქითა...
გუნთის ნატებს აწყდები ბრძოლის ველზე ოდესღაც,
ხმლად და გუთნად ნაწრთობის ახლაც ჩქამი მოგესმა.
ფიქრს ვერც ასწრებ, ისევე გული ფარად იწრთობა,
შენი თვალთა სისველე უდრის მარადისობას...
ველარც ძველ გზებს შეუვლი,
ვერც მზერას წყვეტ მწვერვალებს,
ცის გულზე კი ეული მზის გუთანი ელვარებს...

რა არის ჩვენი სიცოცხლე

რა არის ჩვენი სიცოცხლე? დახამხამება თვალისა,
შვილთათვის _ გადაბარება გადაუხდელი ვალისა.
დღესვე უნდა თქვა სათქმელი, ხვალემ იკითხოს ხვალისა,
ზოგჯერ სიკვდილზეც მეტია არად ჩაგდება კვალისა...
თუ ცოცხლობ, უნდა იცოცხლო სხვისთვისაც გასახარისად,
უღლის ბოლომდე გატანას სჭირდება ქედი ხარისა,
შურმა და ჯიბრმა ცხოვრება ვერასდროს გაახალისა,
ვინც კოშკი ჩამოანგრია, ნანგრევშიც მოჰყვა კვლავ ისა.
საქმეა, ვარდი მაშინ სცნო, როცა ლენცოფაც ჰყვავისა,
ბოლომდე როდი მოირგო მგელმა ნიღაბი კრავისა,
გწყუროდეს მაინც, თუ არ გაქვს, ნათელი სამართალისა!

* * *

მე ამ ერთხელაც მიგამსგავსებ უხსოვარ ტკივილს,
ღამის გრილ ტალღებს მივენდობი კვლავ მთვარის ტივით.
მე ამ ერთხელაც ვარდობისთვის შევიგრძნობ ლექსად
და სიყვარულის სადღეგრძელოს ბოლომდე შევსვამ.
მე ამ ერთხელაც და ოღონდ არა უკანასკნელად,
შენზე ფიქრი და მონატრება ცრემლად წამსკდება...
ვარ სასიკვდილოდ დაჭრილი, თუმცა ხსნას არ დავემებ,
თვით გაზაფხულმა დამასვენა თავის მკლავებზე.
თავზე დამდიან ყვავილები ცრემლის წვეთებად
და ჩემი სული გაზაფხულშიც ველარ ეტევა.
ვიღაც იტყვის, რომ მზე მაბრმავებს ამ ტრფობით შეშლილს
და ვერასოდეს დავბრუნდები ვარდობისთვის.
მე კი, ვით იმედს, ვეჭიდები შენს მსუბუქ სევდას
და ამ ერთხელაც უკვდავების სიყვარულს ვბედავ!

* * *

სკამი და ფული არ მინატრია,
ბოროტებისთვის არ ვებრძვი ბოროტს,

ჩემი გეგმაც და ჩემი პარტიაც
საქართველოა მხოლოდ და მხოლოდ!

ლომის წილი

რაკი საქმე ააწყო, გახდა სხვათა ლობისტი,
მცირე საქმეს აკეთებს, თვით წაიღებს ლომის წილს,
ქეიფიც კი ომია, თუ უგონოდ დათვრები,
განა იგი ლომია, ეს ჩვენა ვართ დათვრები.
დღემდე რაც ვართ, ღვთის ნებით, კვლავ ვიართ ამ გზებით,
ჩვენ ისე შორს ვიწყებით, ახლოს ნუ გავთავდებით!
ჩვენს თავს თუ არ მივინდეთ, ვით გვიშველის ლობისტი,
სხვა არვინ შეწუხდება საქართველოს ტკბობისთვის!

სადამდე?

ეს რა ვნება გადამდე? მოგდე, ველარ შეგეშვი...
საქართველოვ, სადამდე, უკვდავების კედელში?
სულ ბოლომდის ჩაგკირეს ტანჯვითა და მოლხენით,
რომ ეგონათ გაგწირეს, გაზაფხულად მოხვედი.
არასოდეს გათავდე ციხე-ბურჯი მაღალი!
საქართველოვ, სადამდე? გეკითხება აღარვინ...

წამის ხილვები

ეს ხილვა მწვავდა უწინაც:
მთვარე _ შეხსნილი ჭიშკარი,
ტყეს ვარსკვლავები უბრწყინავს,
ვით ჩიტთა ნაჭიკჭიკარი...
გზად მობარბაცებს ნიავი,
მთებთან სტუმრობდა წუხელის,
იზმორებიან სიამით
ცას მხრით შედგმული მუხები.
რამდენიც მზეა ამქვეყნად,
ამ სიზმარს ხედავს დღეს ყველა...
და ვინც გზას აქეთ გაჰყვება,

თავის ლანდს გადაეყრება.

* * *

არცერთი კაცი არ წააგავს მეორეს სრულად,
ყოველი კაცი ბედისწერით არის ხომალდი,
და როგორც აფრა, ცხოვრების ზღვაში თუ არ გდევს სული,
რადას ემდური, ქარი შველას თუ ვერ მოგმადლის?
ამაოდ ვშიშობთ, რომ ძალა არ გვაქვს სიტყვის ვნებით თქმის,
სიკვდილის შვილნიც რომ ვართ ყველა, მაშ, ძმებიც გვქვია,
ყველას ჩვენ ჩვენი სათქმელი გვაქვს ქართველის დედისთვის,
და პირნათელი თუ ხარ, არასდროს არაა გვიან.
მაინც შოთას და ილიას შობს ერი ბედკრული,
თუმც ვეღარ ვმაღავთ, რომ ბევრია ჩვენში სატანაც,
და ერთ მუშტად რომ არასდროს ვართ თითქმის შეკრული,
ამიტომ გვიჭირს მხოლოდ ჭირში ქვეყნის გატანა,
ჭემმარიტია ქვეყნად მხოლოდ ერთი ცხოვრება,
უმიზნო კაცი, ბედშიც იყოს, ვერ ცნობს თავ-ბოლოს,
ყველა ჩვენ ჩვენი სანთლით მივიდეთ სვეტიცხოველთან,
რომ საქართველოს ეშმაკი არ დაეპატრონოს!

* * *

როდი მოიცლი, რომ იფიქრო დაფნის გვირგვინზე?
არათუ ქრები _ გემატება ცეცხლი ქარიშხლით.
სხაგვარად ცხოვრობს, ვინც ამ უქრობ ცეცხლში გიზგიზებს,
და შენ დასჯილხარ ასე _ ბრძოლას მაინც არ იშლი!
მარტოს მიგაქვს და... გემძიმება მთვარის უღელი,
უკან კი ღამე სახრით მოგდევს და გემუქრება,
ღმერთის წყალობით, ამ სიკვდილსაც თუ წაუხველი,
ბნელ ორღობებს მზის იმედი არ ჩაუქრებათ!..

* * *

უცხოს მიაართვით საუცხოო სუყველაფერი,
არ შეგაგინებთ პირში, ზურგს უკან კი რას გაიგებთ...

დიახ, ზრდილობაც ძალზე კარგია, მაგრამ, ვაი, რომ
დოჟლაპიებმა ვერ გაავლეთ ზუსტად საზღვარი!
და... უსაზღვროა ამიტომაც ეს სინანული.

შეცდომები

მცირე შეცდომა და... თაობები უარესისკენ შეიცვლებიან...
ნელ-ნელა ცხოვრებაც მიიღებს, ალბათ, სულ სხვაგვარ სახეს.
ნუ დაიჯერებ ნურასოდეს, რომ არ შეგეძლო
(ყველა გზას მაინც საკუთარი მსაჯული ახლავს),
ღვთის ბარათებად მიაქვს ნიავს თეთრი ღრუბლები,
წაუკითხავად იგებ თითქოს ყველაფერს...
უბრალო ხალხო, თქვენ რომ არა, დავიღუპებით,
მაგრამ ამასაც, ჩვენდა სამარცხვინოდ, ზოგჯერ ვერ ვამხელთ!
მცირე შეცდომა და... რაღა მცირე? ბოლოს გზას გვიცვლის,
რად გვერცხვინება ხოლმე გამხელა, მაინც არ ვიცი...
ვისითაც სული გვიდგას, იშვიათად ის ვაღიაროთ,
მუდამ შეცდომებზე სინანულით უნდა ვიაროთ?

საქართველოს

(ანუ გასაუბრება ძველ ლექსებთან)

ისევ ბეწვის ხიდზე ვდგავარ, ისევ მცდიან ნისლები,
ხმალი ხელში შემომაცვდა და სისხლისგან ვიცლები,
არაგველნო, მომაშველეთ თქვენი ერთი ყიჟინა,
აგრემც ყველა სალოცავი ღმერთმა გადაგირჩინათ!
საქართველო ტკბილ ცრემლივით თვალს მოადგა სამყაროს...
დავითს რაღა პირით შევხვდეთ, ფარ-ხმალი რომ დავყაროთ?

* * *

სიმართლეს რყვნიან, ვიდრე გვერდით მავანს ჩაუვლის,
სწორედ ამიტომ დასალაშქრი რჩება მწვერვალი.
ეპატეება ხოლმე დიდს დიდი დანაშაულიც,
ხოლო პატარის დიდ მაღლსაც კი ამჩნევს ვერავინ...

* * *

ადამიანო, _
ხმამაღლა ვამბობთ,
რომ ხარ ძვირფასი... შეუფასებელი,
გულში კი ვნანობთ,
სინამდვილეში კი ხარ დაუფასებელი.
ჩვენზე სიავეზე ისე ვმსჯელობთ,
როგორც ბრძენკაცები...
სიკეთეს ერთურთში ეჭვით ვუცქერით და
ეჭვითვე შევფასდებით.
ადამიანო, იაფდები და ისე იყიდები!
ადამიანო, სხვა ადამიანს სულ არ უფრთხილდები!

* * *

დღეს შენ ნავარდობ იქაც და აქაც,
და ხელი ლამის ცამდე მიგიწვდეს...
ხან მიივიწყებ დავრდომილ ძმაკაცს,
ხან ლამის დედაც კი დაგავიწყდეს.
ხარობ, ადვილად ჰგლეჯ და ყრი ვარდებს,
ყველა გეხვევა, ტრფობით გაოცებს
და ვაჰ, ვინ იცის, ხვალ არც ვინ გყავდეს
ვარდის მომტანი სასაფლაოზე...

* * *

დარდის დოლაბებს ჩამოუფქვავთ მოგონებები,
ღამეულ ტალღებს ფოთოლივით მისდევს სიწყნარე...
ვერ ვგრძნობ დათოვლილ მწვერვალებს, თან როგორ ვთენდები,
და ჩემს ერთ მზერას ქარაფები ფიქრში იწნავენ...
ნუ შემიჯავრებთ, თუ მძულს ამ დღის მპყრობელი ფლიდი!
ხმლითა მჭირდება დაცვა ყოველ ლხენის და სევდის,
საითაც მიხვალ, თუმც სამართალი იმავ გზით მიდის,

მაინც ცხოვრება სადღაც გაღმა, დარჩება შენთვის.
სიმართლე მითქვამს: ხან პირდაპირ, ხან არაკებით,
გვეამაყება ზოგჯერ, ვაგლახ, რაიც ნაკლია...
ცოცხალს მისდევენ, ეკლებსა და შურს არ აკლებენ,
ხოლო მკვდარს ვარდებს უშურველად ზედ დააყრიან..

* * *

შენ თუ დგახარ და გვერდში მდგომი უკან წავიდა,
მოგეჩვენება, რომ შენ წინ წახველ...
მერე მიხვდები, რომ თურმე, შეცდი,
რომ ამას ჰქვია ჯიბრით ცხოვრება...
მაგრამ შეცდომა მაინც ბევრჯერ განმეორდება
და სინანულიც უფრო ხშირად სიტყვებად რჩება
სხვათა და სხვათა მოსაჩვენებლად...
აზრი არა აქვს მხოლოდ განსჯას, ან მხოლოდ ქადილს,
ამასობაში შენ დგახარ და... ცხოვრება გადის...

* * *

ტიკი ტიკტიკებს ჭიქებთან,
მზე ღიმილივით აღმასობს,
რა ვიცი, თავს კი იქებ და
ნეტავ, რა ღვინოს მთავაზობ.
თუმცა რას გერჩი, ძმობილო,
შენც მაჭრად ამოსდიოდი,
გსურს, რომ მშვენება მომფინო
ამ ეზოს ამო სიოთი.
შუადღის ნაზი ჩეროთი
და ალალ სიტყვის ხვავითა,
მგონი, მზეც ჩვენსას შემოდის
სწყურის მოლხენა და მითხარ:
როგორ შესძელი ეს დილა,
მიერთებოდა ლომთა წლებს..
მზეს ცრემლი ჩამოედინა
და მე დამეცა ლოყაზე.

* * *

აღარ გაოცებს ეშხი მოუხელთებელ ლექსის,
ტალღას, ქაოსით შეშლილს, შენი ცივი ხმა ესმის,
ტალღა გიქადის სიკვდილს, შენ კი მინებდი, ტკბები
და მაჯისცემას გითვლის დღე დაქანცული ვნებით.
მზის დანახვასლა ასწრებ, თუმცა ველარა გშველის,
იგი უბრწყინავს ასწლებს, როგორც ობოლი ცრემლი.
არა, არ გატყდა ნავსი!... დაგტირის ქარის რაში
და ერთად სხედან ნავში ბინდი და გარიჟრაჟი...
მზის კოცნა ეწვით ბალებს... თქვენც ერთ ჭრილობად გჭირდით,
აპრილს ფართხალით ალებს ჩემკენ პატარა ჩიტი,
აქ დაბრუნდები ბოლოს, საითაც გინდა _ წადი,
გათავდა, უკვე ბოლავს ჩემი სიკვდილის წამიც!

გალაკტიონის გახსენება

არ ვიცი ასეთ წასვლას რას არქმევს
ვინმე, მოსული მარტოდენ სტუმრად,
სამყარო ალებს თბილისის სარკმელს,
მთვარის შუქს გულში გაივლებს ჩუმად...
და მერამდენედ რუსთველის ცრემლებს
ჩამოატარებს მტკვარი ტალღებად,
მზე ძირს დაცემის წამს შეაჩერებს
და სამუდამოდ ცად ამაღლდება.


ბროწეულის უბანი

ბროწეულების უბანს ერთი ფერია ჰყავს,
თვალეში ცისკარს უგავს, თვითონ გაზაფხულს ჰგავს,
ღიმილით სიოს ათრობს, ოცნებით ქარგავს ველს,
ნეტავი იმისი სატრფო ვყოფილიყავი მეც!..
ბროწეულების ცეცხლი ბევრჯერ შეაკრობს ცას,
მას კი დროება შეცვლის და სხვაგან წავა, მწამს!

თუმც შემორჩება ბაღებს იმის ნასიზმრი ცა,
ბროწეულებით აღებს აქ მზე ახალ დღის კარს.
მერე რა, მისი სუნთქვა თუ არ შეაკრთობს სხვას?
ბროწეულების უბანს ერთი ფერია ჰყავს.

ბეწვის

ხიდი



წიგნიდან:

"ბეწვის ხიდი"

საცისკარო

ჩქარა, ცხენი უბელო! დაყოვნება არ ღირს,
მთას დარდივით უბოლავს იისფერი ჯანლი.
ჩქარა, სანამ კარვებში ჭადარა წლებს სძინავთ,
სიყვარულის გარეშე დამისხლტებით ვინა?..
წუხანდელი სიზმრები ჰგვანან ამ დღის ჩეროს,
ბადაგივით ისმევი, გაზაფხულო ჩემო!..
ცრემლთა სანთლით გეძებე, ჩემო დარდო, დიდხანს,
აღვივებენ გედები ფრთათა ქნევით ცისკარს...
ამოა და საშიში მწვერვალისკენ სრბოლა,
იის ჯანლი არ იშლის, კვლავ დარდივით ბოლავს.
მთვლემარე მზე იცოხნის მიმქრალ დღეთა სურნელს,
გზადამცდარო სიცოცხლევ, მომენატრე თურმე,
გულის ქვევრში ჩავწურე, ეგ ღიმილი შენი,
ყველა სიტყვა კაცური, ჩვენს ოცნებას შველის!
ჩემგვარად ვინ გაჩვენებთ სიკეთის გზას ისე,
მოვარდი და დამჩხე, წამლეკე და მიხსენ!
ვერა, ვერ მომისწარით... ჩქარა-მეთქი, თორემ
სხივფაფარა ცისკარი სცემს ჭიშკართან ტორებს,
ტყე შრიალმა მონისლა, ტყისპირ ვიღაც მოჰქრის,
ნუ ჩაქრები, მოიცა, დიღავ, ჩემი სოფლის!
ვერსად ვერ გაგექცევი, ანგელოზის ცრემლო,
საცისკარო ლექსებით მოცვარულა მდელო...
აჰა, ცხენიც!.. დარდები უნდა გადავთქერო,
კვლავ შენს მთებზე დავდგები ჩემო საქართველო!

* * *

ქართველს დაცემის უფლება არ აქვს,
მოვლა სჭირდება მტკვარსა და არაგვს,
გარეჯს და გელათს, რუსთველის ანდერძს,
წინაპრის სიტყვას, ამ ველს და ამ მთებს.
შენც აკავშირებ წარსულს და მყოფადს,
ზეცა ქართული შენც მხრებით მოგაქვს,

ჰოდა, ქართველი თუ გქვია მართლაც,
დავიღალეო _ არასდროს არ თქვა!

გაზაფხული

ცის მანდილი დაეშვა,
შეწყდა ბრძოლა ქართა...
რადგან მწუხრს და კაემანს
გავუძელით მართლაც.
ცისარტყელა აყვავდა,
თუ იღიმის გოგო?!
აღსარება არა სთქვა,
ამ დღეს შესძლებ როგორ?!
მინდა გულში ჩაგიკრათ,
ნაზამთრალი მთებო,
შენი ცისკრით ვლოცულობ
საქართველოვ ჩემო!

* * *

ემთხვევიან ქარაფები ცის უწმინდეს კალთას,
არ მაშინებს არაფერი, გულგრილობის გარდა...
მჩრდილავს, განა მფარავს ფრთებით, გუნდი დაჭრილ ქართა,
არ მაწუხებს არაფერი, უნდობლობის გარდა!
თუ ღმერთს ველაპარაკები, არ დავმალავ მართალს,
არ მაოცებს არაფერი ამ ერთი გზის გარდა,
მუდამ ბოლო ღველფად ვქრები, მაინც ცეცხლი ვარ და
ღალატია ყველაფერი, სიყვარულის გარდა!..

მე ისე წავალ

მე ისე წავალ შეუმჩნევლად და უცაბედად,
ვით ნაზადარში შეაშრებათ ცვარი ბალახებს.
ვიღაცას წამით გახსენების შეაკრთობს ელდა,
ვიღაც უთუოდ ჩემს ლექსებზეც ილაპარაკებს.
და მეშინია, ვიდრე ტვინი მოკვდება სრულად,

ტანჯვითდა ვიგრძნობ, რა უსუსური ვიქნები მაშინ.
თუმცა იმედად შემოვრჩები შორეულ ქუჩას,
აქ მე საბრალოდ შემომტირებს დიდი თუ ბავშვი!
ვერ ვანუგეშებ მე ვერც მტირალ დედასამშობლოს.
არც ის ვიცი, თუ სად, ან როგორ განვმეორდები...
მე ისე წავალ, როგორც ქარი წაიღებს ფოთოლს,
მიაფრენს, ფლეთავს და თვითონვე მისდევს გოდებით....

სიტყვა

მამაპაპური,
მართლაც, ზღაპრული,
წელგამართული, სიტყვა ქართული,
საკუთარ ენას დაიმახინჯებ,
სიტყვას ქართულს კი ვერას დააკლებ,
მაშ, სიცოცხლედაც კი რომ დაგიჯდეს,
იყავ ქართულად მოლაპარაკე!
ჰო, სხვა ენებიც მოკლედ ისწავლე,
მაგრამ ამითაც შენსას აქებდე,
არ დაივიწყო, რაიც იწამო,
რასაც ქართველნი ძეგლად აგებდნენ...
ჰოდა, ამგვარად – ჯერ არ ჩამქრალან,
არც უნდა ჩაქრეს სული ქართული,
ქართული სიტყვის მადლი და ძალა,
ბრწყინვალე არის ვით სიყვარული!...

ბეწვის ხიდი

ბეწვის ხიდი... ერთდროულად სიკვდილი და დიდება,
ვინ ვერც ამჩნევს, ვინ – გვერდს უვლის, ვის კი – სულ არ სჭირდება,
ზოგი უფსკრულს შეეჩვია, ბნელს აღარ სთვლის აუგად,
რაკი შერჩა, კვლავაც ბედავს შორით მასზე საუბარს.
ანდა როგორ შეერთდება გულთბილი და ქვაგული,
რომლისათვის არის, ნეტავ, ბეწვის ხიდი გაბმული?
იქით მარტო რომც გახვიდე, აბა, რას გააკეთებ?
შეშურდებათ ან სულელი ეგონებათ აქეთებს.
და სულ ასე, მღელვარებით, შუა ხიდზე ქანაობ,
არც ვარდები, ვერც წინ მიხვალ, არც ქარს მისდევ თანაო...

მოზიდული მშვილდი არის, განა მართლა ხიდია?
ვინც წინ მიდის, ის ყოველთვის ბეწვის ხიდზე ჰკიდია.
ისე არის დაჭიმული, სადაცაა გაწყდება.
გაიელვებს ვისთვის შვების, ვისთვის სევდის განცდებად,
მაგრამ ნაღდის სინათლისთვის თუ თვალნი არ დაგვლია,
ბეწვის ხიდი პირველ რიგში, შენი შუბლის ძარღვია!

* * *

შორით გიცქერი ვარსკვლავით მოციმციმე დარდს,
შენსკენ მომავალ გზას ვადგავარ ლოცვის იმედად...
მე ამ ნიავეთ დაგიკოცნე პერანგი თოვლის,
თუმცა ენძელის გული მაინც ვერ აგითრთოლე.
იმიტომ მომხვდა სინანულის ვერაგი ტორი,
მაინც ვერ დაგმე, მხოლოდ მისთვის, მე რაკი მტოვებ...
დაგედევნები, კვლავ მოგძებნი მაისის გზაზედ,
რომ ამ სამყაროს ვაგრძნობინო ეგ სილამაზე...

* * *

დუმილის ბაღში, ტაძართან ახლოს,
ერთი პატარა ჩიტუნა სახლობს,
მხოლოდ ის ხედავს, თუ ირგვლივ ტაძრის
ვინ ლოცვად დადის, ვინ ცოდვად დაძრწის.
მაგრამ მან მხოლოდ გალობა იცის,
კვნესაც კი მისი გალობად ისმის.
აქ კი დრო მაინც სანთლებად იწვის,
აქ დრო არ რჩება შიშის და იჭვის.
ერთხელ დახატავს ვინმე ამ ფერებს
და წუთს მშვენიერს გზად შეაჩერებს.
ქალაქდზე ჩუმის წყურვილის ღაღადს
გაიმეორებს მლოცველი სადღაც...
და შემორჩება ამ ნახატს მარად:
მზის გუმბათი და ღრუბლების ფარა...
მლოცველის სახე და ბალი მშვიდი...
ჩიტო კი... არსად იქნება ჩიტო!..

* * *

გაზაფხული _ ჩემი ფიქრი გამხელილი
ბელურების მყუდრო ბუდეშ შეჰხიზვნია,
გზას ღრუბელი მორევია ნალველივით,
მაგრამ მწამს, რომ ეს მზე მაინც შენი მზეა.
ფანტელები, როგორც წმინდა ბარათები,
მოდინ და არ გიმხელენ საიდუმლოს...
ეს დღეები სამარადოდ აგანთებენ
და ნამუსის ქუდად გსურს ცა დაიხურო.
ო, ეს თოვა არასოდეს დასრულდება,
ეს თოვაა, გიჟურად რომ ინატრებდი...
ჩემი სიყრმე მწვერვალიდან დაცურდება
და ყიჟინით მთებს შეძრავენ წინაპრები...

ზამთრის სამი ხილვა

დილაჭირხლიან უბანს შემოესიზმრა ნისლი,
ვისაც ეს შუქი უყვარს, მზე არ ჩაქრება მისი...
ბარდნის და ბარდნის მთებზე ჯერ არნახული თოვა,
თუკი სიკეთე სთესე, მაშ, სიყვარულიც მოვა!
მთას დაეტყობა კვალი ღამენათევი ზღაპრის,
როგორც იმედი ხვალის, ქარი ჭალებში დაჰქრის,
შეგიყვარდება უმაღ ის, რაც ვერ ითქმის ენით...
დილაჭირხლიან უბანს ჰქვია სიმღერა შენი.

* * *

მოარღვევს ფაფუკ დუმილს
ჩქამი მომავალ დღეთა,
დაგინახე და უმაღ
წამომცდა, რაც ვერ მეთქვა...
შეჰფარებოდა ზამთარს
საბრალო გუნდი ჩიტთა,
დღე კი არ იყო, მართლაც
დღესასწაული იდგა.
ნისლს ფანტელები ქსოვდნენ

იმგვარი შარი-შურით,
რომ თვით გარდაცვლილ ფოთლებს
შეეძვრებოდათ სული.
ბაღს კი _ ვერცხლისფერ შანდალს
ცა ენთო საოცრებად,
მზის ეტლი არსად სჩანდა
და არც გრიგალთა რემა...
ბებერ მთას, ლოცვას მიმნდობს,
აქ მოეყარა მუხლი...
სულში მიმზერდა თითქოს
მარადისობის სუსხი...

* * *

ქალის ლოცვას შეუძლია, მზე დაანთოს წმინდა სანთლად,
ქალის ღიმილს შეუძლია გაზაფხული იგრძნო მართლა,
ქალის მანდილს შეუძლია, ჩაანელოს ბრძოლა ქართა,
იყოს შენი გვირგვინი და სიამაყე წინაპართა!
ქალის სიტყვას შეუძლია იყოს სწორი მაღალ მთების,
ქალის მზერა სიშმაგეა, ქალზე ფიქრი არის ფრთები,
და თუ ნიჭი არ ჩამქრალა ჭეშმარიტად ქალთა ქების,
მაშ, სამყაროვ მშვენიერო, უსათუოდ გადარჩები!

* * *

ჩადგა ქარი კაპასი,
მოლოდინმა იწვიმა..
გაზაფხულის კაბაზე
იის ცრემლი გიბრწყინავს.
ცვარმწყურვალი ბაღები
მერცხლის ამბებს ისმენენ,
ცისკარს თრთოლვით აღებენ
ჩემი ყრმობის სიზმრები.
თუმცა არსად მიმელი,
მაინც ჩემს დარდს წამოშლი,
მზე კვლავ შენი ღიმილით
ჩაიხედავს წყაროში.
ღირდა სწორედ ამ დღისთვის,
ყინვისგან რომ გადავრჩი,

სანთლად ნატვრის მაღლი კრთის
შენი სულის ტაძარში.
უსაშველო წყურვილის
ეს დღეც ჩემი ლექსია,
ცხრაკლიტული დუმილის
კარნი შემილეწნია...
ფერია ხარ ზღაპრული
და მომნუსხე სრულიად,
ქალო, ეს გაზაფხული
შენი სიყვარულია!

* * *

ნაწვიმარ სერზე ცა იწვა მკრთალი,
გულში გაჩრილი მთვარის ნატეხით...
შენ კი ცის სიზმრებს ჰყვებოდი, ქალო,
სულ სხვაგან, სხვაგან, ჭაღარა მთებთან.
და მომავალ წუთს, მიმქრალს, დამეხილს,
ერქვა მარტოდენ ღმერთკაცის სევდა.
ქარი კი... ქარი ცრემლის ტბორებთან,
შენს ოხვრით ნათქვამს იმეორებდა...
მამულს უშენოდ ბედი არ სწყალობს...
ამ ლამაზი გზით, დაბრუნდი ქალო!

ჩემი მკათათვე

მოდი, მეწვიე, ჩემს მკათათვეში,
რომ ოქროველის მცხუნვარე დუმილს
შენ მიულოცო ნატიფი ეშხი,
რაც ქვეყნად, ალბათ, სხვას არად უღირს.
ყველა მყუდრო წამს ამ ცხოვრებაში,
ნაჟურს ვერცხლის ტბად თვალთა ცისკრიდან,
შენ მაინც ლეგა ფიქრებად აშლი,
დარდებს მზის ცრემლით ჩამოიწმინდავ.
მოხვალ და მნახავ მკათათვის ხვატით,
რომ მე ვქცეულვარ მხოლოდ იმედად,
აქ, ცის სუნთქვაზე, შენს წყურვილს ვხატავ,
ამ წამს სიოც კი დაამძიმებდა.
და მზენაფერებ ყანებს კვლავ შევრჩი,
ცა მაგ თვალეზით დაჰყურებს ამ მთებს,

მოდი, მეწვიე ჩემს მკათათვეში,
რომ აღარასდროს არ დაგიზამთრდეს!

* * *

გორაკზე ისევ ირწეოდა სხივთა ჯეჯილი,
წუხანდელ ელვით დაჩეხილ ქარს ხევში ეძინა,
იდგა მზე ჩუმად, გულგრილობით გულგაგლეჯილი,
მკლავზე იების დასეტყვილი სუნთქვა ეწვინა.
და მაინც, მაინც ხასხასებდა კორდი დასეტყვილი,
წეროთა გუნდი, რახანია, ამ დღეს დაშორდა,
მხოლოდ მზერით თუ უაღერსებ, აბა, რას ეტყვი,
მორბის კისკისით უშიშარი შენი ბავშვობა...

ციკლიდან: “გაზაფხული”

მიწას გაეხსნა ძველი იარა
და ატმის სისხლი გადმოელვარა...
ამ გაზაფხულის ცისკრით კი არა-
შენი თვალეზით ვხვდები ქვეყანას!
მერცხლის ფრთის სიო შეაკრთობს იებს
და ცას თუ შევწვდი, ღმერთმა შემინდოს!
ხოლო შენზე ფიქრს რაკი ვერ ვძლიე,
ეს ფიქრი ჩუმად ხატავს ველ-მინდორს.
დუმილის კარნი შემილეწნია
მთის ნასიზმრალი ვერცხლის ტალღებით.
ეს გაზაფხულიც ჩემი ლექსია –
წაგიკითხავ და თან გადავყვები...

* * *

ვერცხლის ხილვა:
თმები ვერცხლის, ჩოხა ვერცხლის,
დილა _ სამღერ-სალიმილო,
ვერაფერი ამ შუქს ვერ ცვლის,
სხვამ თვალნი რომ აგიხილოს?

თანა დნება, სანამ ვნება
თვალს გჭრის ვერცხლი, მთით თუ ზეცით,
და არაფერს გეუბნება,
მხოლოდ გათრობს, მხოლოდ გეწვის.
და ვერცხლისფერ ამ მინდორ-ველს
გადაუვლის თეთრი ვნება...
იმ სიმღერას დამიტოვებს,
რაც ლამაზად მეტირება.

* * *

მზე _ ღვთის სიზმარი ნაწამები და ცრემლნარევი,
ამ დღეს უხსოვარ ბედისწერით ერგო იარაღ.
ჩემგან ნატეხი ღამეები ჩემს სისხლს დალევენ,
მეც მომაწვდიან დამცინავად მთვარის ფიალას.
ეჰეი-მეთქი! უნუგეშოდ მე მაინც გიხმობთ,-
მპასუხობს მხოლოდ ჩუმი სურნელი აკაციების.
ჩვენ თუ ვერ ვცანით, ეს არ ნიშნავს, რომ ის არც იყო,
იყო ცხოვრება “საპატიო” არპატიების...
გულგრილობამდე ხან არ რჩება იქნებ ნაბიჯიც,
შენ კი იმედიო, ვინ იცის, სულ სხვა მხარეს გელიან.
ქარო, ამ დუმილს თუ გადავურჩი და არ დავიწვი,
ჩვენებს უამბე, რომ ეს ტანჯვაც არაფერია!..
ზოგს ტვირთი უფრო ემატება, თუნდაც დაეცეს,
და ბედმა ასე, სხვისწილ, ბევრი კიდევ გაწირა,
ქარო,ამ ხილვის დედოფალო, ვისლა დაეძებ?
მზად ვარ, ჩემს მიწას მომაბნიო ნაწილ-ნაწილად!

ტამარი

ეს ბებერი ტამარი სულ ნაღდია, რაც არი,
მზის ლოდები, ოსტატო, ნეტა, როგორ დამარი?
როგორ გამოაფხიზლე უკვდავება ამ ზარით,
შენ რომ გხედავ, ჩემს ფეხქვეშ მიწას გააქვს ზანზარი...
ეს კედლები კი არა, არის სულთა ხანძარი,
თუ გადავრჩი, მარტოდენ ამ ნიჭით და ამ ძალით!
შენ ბრიალებ წლები კი დარჩა, როგორც ნაცარი,
ღვთის ცრემლი ხარ ზვიადი, მდუმარებით დამტკბარი!

გაზაფხულებს ფურცლავ და სიყვარულსაც გვასწავლი,
ეს ამაყი ტაძარი სულ სისხლია, რაც არი!..

შესდექ!

გულის მიმწუხრში, ელვა დაივლის
გვიან შენიშნეს ფერისცვალება
და ვით შორი ხმა მთვარის დაირის,
ისე შემაკრთობს შენი ზმანება.
წვიმს და გაუდის სულსაც წკარუნი,
დაგიმორჩილებს ფერთა ხმაური,
აქ მხოლოდ ლოცვად გწამს სიყვარული,
ვით მოლოდინის დღესასწაული.
ეს სიყვარული ხსნა არის მაინც,
თუნდაც არ შევხვდეთ უფსკრულის პირად
გაზაფხულია, თუ გული ბღავის,
შენ კი მოსულხარ, ჩანს, ჩემდა ჭირად...
შესდექ! ეს წამიც ერთადერთია,
შესდექ, მისითაც უნდა გადარჩე!
მზეც იყო, შენი დარდი ვისლა აქვს,
მხოლოდ გრისხავენ დამდნარს ავდარში,
შესდექ! და მერე წადი გულის ხმით,
კვლავ განსაცდელი გელის ურიცხვი.
გულო, ტრფობისთვის ერთხელ შეთქმულო,
კვლავაც მოკვდები სიყვარულისთვის!...

* * *

ტყისპირს მოედო ნისლის ხანძარი,
ტყისპირს უბოლავს ფიქრი ენძელის.
ეს დღე კი არა _ არის ტაძარი,
განათებული ფიფქთა სანთლებით!
და მე აქ ლოცვა თუ ვერ შევძელი,
ცისფერ სიმღერად მაინც დავდნები...
მზე კოცონივით დაანთეს მთაზე,
შავ ტალღებს გაჰყვათ მთვარის მანდილი.
სანამ ფიფქი ხარ, ოცნებას მტაცებ

და ნისლებს ზემოთ ზღაპრად მეგულვი!
ეს მთაც, დარდებით გადაბარდნილი,
არის უიღბლო შეყვარებული...
შორს დაჭრილ ლანდებს აკრთობს სიმშვიდე,
შორს უკვე თოვლი იქცა სასჯელად.
ამ განსაცდელში რომც დამიხსნიდე,
თუ განწირულ დღეს ვერ შეველევო,
ვიღაცამ სიზმარ-სიზმარ ამჩეხა,
და მით მობარდნა ტყე და ველები...

* * *

დარეკეთ ზარი მზის,
გული სხივივით თრთის!
მაშ, მწუხარება ძირს!
ამ დღისთვის ყოფნა ღირს!
ლალად ვისწორებ ფრთებს,
თან თქვენზე ფიქრიც მდევს,
დე, გამარჯვება თქვენ,
ვინც ხატავთ ამ მშვიდ დღეს!
სხვა რაღა უნდა ვთქვა?
თქვენი წყურვილი მკლავს...
ჩემს შუბლს, გულსა და მკლავს
თქვენ განაცვალებთ კვლავ!
გუგუნებს ზარი მზის,
ეს წუთი ცრემლად მდის,
სხვის გზას იფარავთ ვინც,
გფარავდეთ მადლი ღვთის!

იცოცხლე

ღიღბანს



წიგნიდან:

"იგოცხლე

დიდხანს"

სამშობლო

ეს სიყვარულზე მეტია,
ეს სიცოცხლეზე მეტია,
სამყარო არის ტაძარი,
სამშობლო _ ნათლის სვეტია!
ცხოვრება ოკეანეა, ჩემი სიცოცხლე წვეთია.
დულს და გადმოდულს გრძნობები,
რაც გულში არ დაეტია,
კი არ ვთქვი _ სანთლად დავანთე,
რაც სიტყვა გამიბედია,
სამშობლო ჩემი გზაა და
თანდაყოლილი ბედია!

გარეჯი

მე წარსულის კარს შევადებ კრძალვით
და საბას თვალით შევხედავ კედლებს.
სიჩუმე, როგორც დაღლილი მგზავრი,
რალაც უცხო და დიდ ნუგეშს ეძებს.
ეს მერამდენედ მოვედი შენთან,
ჩემო ტკივილო და სიამაყევ!
ისმის დაღადი დაჩოქილ დღეთა
და იმედები ცამდის ამალდნენ.
აქ დრო გაჩერდა, აქ დაივანა
უსასრულობამ, ვით წმინდა ბერმა,
მზის სანთლით ხელში, ამ გზით მიმავალს,
თვითონ უფალი გესაუბრება.
ის ჩვენს სიყვარულს ღამეებს უთევს,
მაშინაც, მისგან შორსა ვართ როცა,
გარეჯი _ ჩვენი სიზმრების ბუდე,
გარეჯი _ ერის მხურვალე ლოცვა!

ეს გაუმარჯოს!

ეს გაუმარჯოს იმ გამარჯვებულს,
ვინც ხოტბა-ქებამ არ გადარია,
ვინც გამარჯვებით ბედნიერია,
თუმც სხვისი მარცხი არ უხარია!
ეს გაუმარჯოს იმ დამარცხებულს,
ვინც ღირსი იყო გამარჯვებისა,
დამარცხებით რომ ჭკუა ისწავლა,
სახე ბოღმით კი არ დაენისლა!
ეს გაუმარჯოს იმ მართალ მსაჯულს,
ვინც ვერ დათრგუნეს და ვერ იყიდეს,
სიმართლეს ზურგი რომ არ უქცია
და პირდაპირი დარჩა სიკვდიმდე!
ეს გაუმარჯოს იმ მაყურებელს,
ვინც იგრძნო, მაგრამ თანაც გაიგო,
რომ შეაფასა და დააფასა ის,
ბრძოლის ველზე მართლა რაც იყო!
ეს გაუმარჯოს იმ ჟინს, იმ მიზანს,
იმ დიდ სიკეთეს და იმ ოცნებას,
ბრძოლის ველამდე რომ მიგყვება და
ბრძოლების მერეც რომ შემოგრჩება!

ქართველო, დადექ ქართველთან!

მე მკერდში მიცემს მამული და სიცოცხლით ვარ დაჭრილი,
სული მაქვს ამომანთული წიწამურით და აპრილით,
მკლავდნენ მარტყოფში, კრწანისში, რა ცეცხლში აღარ მივლია,
გული კი მისას არ იშლის, გადავრჩი ცოტნედ, ილიად.

ჰაი, დედასა, ქართველო, შე შესაშურად ჭკვიანო,
თუნდაც ტყვიებით გაგთელონ, მაინც არწივი გქვიანო!
ციხე თუ ზოგჯერ შიგნიდან ტყდება, მტერო, ნუ გიხარის,
ვერ შემარიგებ სიკვდილთან, ვარ გორგასალის ჯილაგის!

ქართველო, დადექ ქართველთან და ველარ დაგძლევს ვერავინ,
კვალი დატოვა სანთლებად, დღესაც ქრის ტატოს მერანი.
ღმერთო, მომადლე ჩემს მამულს მისივე ღირსი ვარდობა,
კვლავაც გედირსოს, ლუხუმო, “ლაშარის გორზე შადგომა”!

შავლეგო

(მერაბ კოსტავას)

შავლეგ, შენი შავი ჩოხა მახვილს
წითლად შეუღებიაო თითქოს,
შენ ვაჟკაცურ შემახილით წახველ
და ხმლის ელვა შეატოვე დიდგორს!..
შენ სიკვდილის ნება არ გაქვს, შავლეგ!
ვიღაც კვდება, ვიღაც შველას ითხოვს,
მხარი მომე, ქართველის მხრებზე დავდგეთ,
ისევ მკერდით ავეფაროთ დიდგორს!

* * *

ჩემი გულით გზომე ვითომ,
ფიქრი გიძღვენ ასე ბევრი,
თუმც, მამულო, დიდზე დიდო,
შენ ხარ შეუფასებელი!
ტადარი ხარ, ჩვენ კი ვბედავთ,
რომ დაგენტოთ კელაპტრებად,
დე, გაბრწყინდი უფრო მეტად,
ისე, როგორც გეკადრება!
შენზე დარდის შუქით გვავსებ,
გზად დაგვყვები მუდამ ტრფობით,
ეს ტრფობაა ჯვარცმის მსგავსი –
მტანჯველი და უკვდავმყოფი.

ლექსი

1

ლექსი კვიცი ხომ არ არის, დაიჭირო, გახედნო,
ლექსი თვითონ დაგიჭერს, რომ სულში ურჩად ჩაგხედოს.

მერე სული სულ დაიპყროს, ჩაგისახლდეს სხეულშიც,
ლექსი ცეცხლად თუ მოგედო, ხელს ვერაფრით შეუშლი.
იფერფლები, ინაცრები, ვაი, შენი ბრალიო!
ყოველ ლექსს გრძნობ ისე, თითქოს სული უნდა დალიო,
ეჰ, რას იზამ, ზოგი გიმზერს ეჭვიანად, სხვაფერად,
შენ მაღლა ხარ, მაღლიდან კი ადვილია გაფრენაც...

2

ზოგი პოეტი ჩრდილშია, თუმცა კი იწვის სხვაგვარად,
ზოგი კი მეტად ცდილობს და თითქოს მედროშეც გამხდარა.
თავს კი ნურავის ვამეტებთ, ვინ რა ვართ, ბოლოს მივხვდებით,
მხოლოდ მაროდ თუ ხმარობ, ვერ გაფრინდები იმ ფრთებით.
ლექსს როდი იშინაურებ, არწივს რად უნდა ქანდარა?!
სულს გტაცებს, მიაქვს, ვინ იცის, სად გადაიფრენს, სად არა...
არ გშურდეს ვარსკვლავთ სიმრავლე, თუმცა მაგ სულის სარკეა,
თუ ვიღაც ნაღდად ვერ მგოსნობს, რომ ცდილობს, ეგეც კარგია!
შენ კი ლაჟვარდის შვილი ხარ, ვერვინ ჩაგკეტოს დილეგში,
თუ ბედისწერა არ არის, ისე არც რაა ის ლექსი!..

ის დღე

მარანი, ქვევრი, კრამიტებზე წვიმის წკრიალი,
გარეთ წვეთ-წვეთად სხივიც ცვივა და მიწას დასდის,
და დღეს არცერთი ჩვენთაგანი წამებს არა თვლის,
და აქვე, გვერდით ატუზულა ჩუმი ტკივილით,
ერთ მშვენიერ დღეს
გახსენება უეცრად ამ დღის.

ხან

1

ხან ტყუვდებიან გულმინდობილნი, განა სიბრიყვით?
ხან თავს იტყუებენ ურთიერთობის გადარჩენისთვის
(თუ გადარჩენას დაარქმევ ამას)
ზოგი ცხოვრებაში არ გაძლევს სალამს,
თუ არ სჭირდები...
ცხოვრების საზომიც, ალბათ, ისაა,
თუ რაოდენი სურვილი დაგრჩა,
რომ ამ სიყალბეს უმკურნალო ჭეშმარიტებით...

მაგება ყოველთვის როდია სამარე,
 ქება კი ყოველთვის როდია წამალი...
 ხან ვაძაგებთ მას, ვინც ვერა ვცანით,
 ხან ვაქებთ მას, ვინც გვიჩვენებს ღონეს.
 ქებაც, მაგებაც ძლიერს უფრო ადავსებს ძალით,
 ქებაც, მაგებაც სუსტს უფრო მეტად წაახდენს ხოლმე...

სიმართლე

თუ სიმართლეა შენი ფარ-ხმალი,
 გულის სიღრმეში ბევრი მხარს გიჭერს,
 თუმც კი არავინ არის დამხმარე,
 მხოლოდ საქებრად ჰყავხარ ძმა-ბიჭებს,
 ეშინიათ და სძულხართ იმათვე,
 გადაარჩინე ოდესმე ვინაც,
 ისეთი განძი არის სიმართლე,
 მტვრით რომ დაჰფარო, ის მაინც ბრწყინავს.
 გკლავენ ხან, გთვლიან ხან გიჟად, ხელად,
 ვერ წაგართმევენ სიმართლეს მაინც...
 შენი სიმართლე სჭირდება ყველას:
 გულგრილს, გულკეთილს, ლაჩარს, თუ რაინდს.
 სიმართლის ორდენს დავაწესებდით,
 მაგრამ ოცნებავ, გულშივე შესდექ!
 მას ხომ, სიცოცხლით დამსახურებულს,
 ყველა მიიღებს სიკვდილის შემდეგ!

* * *

მეტი ხმაურით მეტად ფასდები?
 ეს გააჩნია, ვინ შეგაფასებს...
 გეგებებიან ტაშით, ვარდებით,
 თუმც უარესიც ახსოვთ დარბაზებს.
 ჭრელ-ჭრელ კლოუნებს მეტადა სცნობენ,
 ვის ახსოვს ბრძენი თავდადებული?
 შინაურისა როცა შურს სოფელს,
 ის მტერსაც მტკიცედ ველარ ემდურის.
 ალბათ, ცხოვრებაც ესაა სწორედ:
 ზოგი ხელს, ზოგიც სულს აწვდენს ცამდის
 და მაინც ბოლოს კვალს იგი სტოვებს,
 ვინც ქვეყნად ქვეყნის სახელით დადის!

* * *

თითქოს და ბედმა ამ მაგიდაზე შეჰყარა ორნი:
ლარნაკი ბროლის და მის გვერდით _ საფერფლევ ბროლის.
ერთში, ისე ვით გალიაში, ნაზი ბულბული,
ბაღში მოჭრილი ვარდებისა დუმს თაიგული.
მეორეში კი, ვით სუფთა წყალში, საზარი გველი,
დაყელყელაობს სიგარეტის ნამწვი და ფერფლი.
იყო მუსიკა და ამავე დროს ხმაური, ჭორი,
სულ უცხოური: ბასიც, ლუდიც და ლიქიორიც...
მხოლოდ ერთ კედელს ფერწერული ტილო ანათებს
და იქ სიზმრების სინატიფე ჰმოსავთ მაღალ მთებს.
ის ვისლა ახსოვს? მოდისთვის იყიდა პატრონმა ადრე,
დღეს კი, სხვებისთვის, ეკრანზე უმზერს უტიფარ კადრებს:
ლამაზმანების ფერფლისფერ თმებს, ვარდისფერ ტუჩებს
თვალი ეცემა, მაგრამ გულში გაივლებ უცებ,
ესაა ამათთვის იდილია და ცხოვრება მთელი...
და უნებლიედ შენ შეგრცხვება იმ შორი მთების...

* * *

სხვა გებრალვის? მაშინ ლაჩრებს მიგათვლიან
ის გულქვები, რომ იყიდეს სამართალი,
დიდი ძალა განა უკვე სიმართლეს?
თუმც სიმართლე უკვე დიდი ძალა არის!..

სამი ქარაგმა

არ მოსჭარბდებათ დუმილი
არც ბრძენკაცებს და არც გმირებს,
თუმც დუმილი ხან ოქროა,
ხან ოქროს დაგაკარგვინებს...

ჩამოვიცილებთ ხშირად მას გზიდან,
ვინც ნაღდად ლელოს გამტანი არი...
ცხოვრება, ალბათ, მისთვის გამვირდა,
რომ გაიაფდა ადამიანი.

ხან სულს მოსწვდება ტკივილი უბრალო ჭემმარიტების,
ვაი, რომ ცოტას უყვარხარ, ბევრს კი...
ბევრს მხოლოდ სჭირდები.

კაი კაცი

კაი კაცზე მხოლოდ კაი ლაპარაკი გვსურს,
საქმე მივა საქმეზე და მას შევაქცევთ ზურგს,
მას, ვინც თვის წილ სითბოს უძღვნის _
დედას, სატრფოს, წულს,
ვინც თანაბრად გასწვდა ყველას
და... თავმდაბლად დუმს,
(და რომ ვცოდავთ, როდი ვამხელთ,
გულში ღრმად გვწამს თუმც).
...მარად ასე მეორდება
ეს გვიტანჯავს სულს.
ვინც ეცემა _ გვებრალება,
ვინც წინ მიდის _ გვძულს,
სიყვარული რაღა იქნა?
დაგვკარგვია სულ!..

ღაღადი

ისემც რა ვუთხრა სიკვდილსა, რო ვერ ჩაგეოლოს, გაგწიროს,
მაინც ბეჭდაუდებელო, ფრთადამსხვრეულო არწივო,
რო მაღლა სჩანხარ, იმადაც ყველასა ხვდები თვალშია,
ერთს თუკი შევნი, სხვა მრავალს შური და დარდი აშლია.
სულ ეურჩები სიკვდილსა, “მაღლ იყოს”, _ ამბობ, არ კვდები,
მაგ მოუსყიდველ სულშია, გენაცვლოს ყველა ქართველი!

მონადირე

ვითომ მოვირგე ეს როლი,
არც ცივმა მზერამ დამთარსა...
შაშვების გუნდს რომ ვესროლე,
შიგ გულში მოხვდა ზამთარსა.
დამფრთხალი შეჰყვა გზას სიო,
ჩამოიქუფრა ცა უფრო
და სინანულს რომ დავძლიო,
განგებ რიხითა ვსაუბრობ.
მერე სუფრასთან მიქებენ
ნანადირევს და სიმარდეს,
ღვინომწყურვალ ჭიქები
გადავსებულან პირამდე.
ჭალა დაცლილა სულივით,
სული დაცლილა თოფივით,
მოკლული არის წყურვილი,
ვით ის მგალობელყოფილი.
გული შორს ეტრფის მაღალ მთებს,
ცის სევდად ბოლავს ირმის ხმაც...
მე კი,მე ვითომ მამართლებს
ეს როლი მონადირისა.

მასწავლებელი

მასწავლებელი _ მომავალ დღეთა,
აკვნის დამრწევი და მგალობელი,
თავის ვალად სთვლის, გულად რომ ფეთქავს
და სხვა რამ ჯილდოს აღარ მოელის.
მისი ცხოვრება იგივეს ნიშნავს,
რომ მან დაანთოს წმინდა სანთელი,
ატაროს მისმა სულმა და ჯიშმა,
მისია ძნელი და სანატრელი.
ყველა დღე სხვაზე ზრუნვით იწყება
და მუდამ ახალ სასწაულს უცდის,
მასწავლებელი არის ღირსება,
ერის ფიქრი და ნამუსის ქუდი!

* * *

მე იასამნის სურნელს შევპირდი
ისე, ვით ჩემი ყრმობის ნაფიქრალს:
რომ კვლავ ვიცოცხლებ, ვიცოცხლებ დიდხანს
ამ უჩვეულო კრძალვით და რიდით.
ყველა მომავალ გაზაფხულს შევთხოვ,
ხელი ჩამკიდოს, თან წამიყოლოს
ცვრად მიმოზნეულ სიზმრების ბოლოს,
ჩემივე კვალი რომ მეიმედოს.
ძველებურ ნდობით შემომხვდნენ, ვინძლო,
მე კი ვიცხოვრებ იმგვარი ეშხით,
რომ ვინც ჩამხედოს დაღლილ თვალებში,
ჩემი მამულის სიმაღლე იგრძნოს...

ზღაპარი

ცხოვრება არის ზღაპარი,
გზაჯვარედინთან ვჩერდები:
მარცხნივ _ გზა, სხვისთვის ჩამქრალი,
მარჯვნივ _ გზა, სხვისთვის ედემი.
უკან აჩრდილი მოგტირის
და თითქოს რაღაც არ გჯერა,
წინ _ გამართლება ლოდინის,
ლოდზე კი _ ერთი წარწერა...
მზერას შეავლებ წამით მთებს
და შენივე ხმა შეგაკრთობს:
ვინც სწორედ ამ გზით წავიდეს,
ველარ დაბრუნდეს ვერასდროს!

* * *

შენს თავს მივანდობ ქედებს
და ერთ ანკარა წყაროს,
ჩემი სიზმარი გემებს
ვერ გპოულობს და წვალობს,

შენ კი იცინი თბილად

და სულ არაფერს ითხოვ.
მოოქროვილა დილა,
გვირგვინად გადგას თითქო,
ვიცი, მიხვდი და შეკრთი,
ქართო რომ გიძღვნი ამბოროს,
ფიქრით ვეხები შენს ფიქრს
და მეც ვერაფერს ვამბობ..

* * *

მოგონებების ლურჯი უფსკრულით
ჩემს ფრთებს ზომავენ ისევ ქარები,
მე შენს წინაშე ვარ უსუსური,
თუმც ასე ძლიერ ვის ეყვარები?
იქ შემასვენებს ბედი ცოტა ხანს,
სად მოლოდინიც საშიში არი,
ამ სიჩუმეს კი ფიფქი მოხატავს
შენი სიზმრების ნაზი შრიალით.
განა მხდალი ვარ, ფრთხილად რომ ვუმზერ
ცას გადასაფრენს და ჩემს მისიას...
ცხოვრება არის მისწრება სულზე
და ის, რაც სხვარიგ არ შემძლია!
შორს გამიტყუებს კვალი ლანდების,
გამიხსენებენ სადღაც დარები,
და შენს ტკივილში კვლავ ვიბადები
ამ უჩვეულო გარდაცვალებით...

მართალი სიტყვა

გაუფრთხილდი, მოუარე შენგან ნათქვამ სიტყვას,
სწორად იგი წარმოგაჩენს ბრძენკაცად თუ ბრიყვად.
ბევრი სიტყვა გულადია გულის გულში მხოლოდ
და ის სიტყვა ჯერ არცაა, ვიდრე გულში ცხოვრობს.
სიტყვა არის ის, გულიდან ირიჟრაჟებს როცა,
ცოდვილს მაძლს რომ შეახსენებს, მაღლიანს კი ლოცავს,

უსამართლოდ განსჯილს, დასჯილს რომ მიუსწრებს სულზე,
სინათლისთვის, სიმართლისთვის განსაცდელს რომ უძლებს.
სიტყვა განა საკენკია დაუყარო ჩიტებს?!
იგი ზოგჯერ ისეთია, მთელ სიცოცხლეს იტევს!
სიტყვა განა ლენცოფაა, რომ ყარს, როცა ყვავის,
იგი ზოგჯერ ისეთია: ფარიცაა, ხმალიც.
სიტყვა მზეა, სიტყვა გზაა და გამწევი უღლის,
ნაღდი სიტყვა გაჭირვებულს მილიონი უღირს!
თუმცა ზოგჯერ ისეთია, რომ არა სთქვა _ გიჯობს,
დაწყნარების ნაცვლად ვინმე რომ არ გააგიჟოს!
თუმც ყოველთვის ნაღდ სიტყვასაც თითქოს არ აქვს ფასი,
იქ ერთ ბუღბუღს ამტყუნებენ, სად ზის ყვავი ასი,
მაგრამ მაინც მართალ სიტყვას წინ ვერავინ უდგას,
იგი გბულდეს, იგი გმურდეს გამინებდეს თუნდაც...
სიტყვა თვითონ გული არის და ნამუსის ქუდი!
სიტყვა მაშინ არის სიტყვა საქმესაც თუ უდრის,
გეხმარება მუდამ როცა გჯერა, გწამს და გიყვარს,
ბნელში სანთლად დაენთება მაღლიანი სიტყვა.
ბარაქლა მთქმელს, გამგებს და შემფასებელს მართალს,
არა მას, ვინც თამაშობს და ფუჭ სიტყვებსაც ფანტავს,
სიტყვა თითქოს პირმო არის და ჰგავს თავის პატრონს,
დე, უშველოს ღმერთმა იმას, ვინაც მართალს ამბობს!...

გალაკტიონი

მთაწმინდის მთვარე გეჭირა ყანწად,
უსასრულობას ღამისას სვამდი...
შენ მარტოობის წუხილმა დაგწვა,
შენ _ ტანჯული და მართალი ცამდი.
სანთლად დაინთე მერის თვალები,
მისი სიშორით დატკბი, ამაღლდი
და ნიკორწმინდას როცა აქებდი,
იყავ მასავით დიდი, ამაყი.
ვერვინ გაიგებს შენს უთქმელ ნაღველს
(ზოგი ვერც მას, რაც ლექსად გაბრწყინდა),
კი არ დაეცი, ღმერთისკენ წახველ,
გადაერიე ოდეს სარკმლიდან.

გული

მანანა ღარიშვილს

შენ რომ დამშვიდდე, მისთვის ის ღელავს განსაკუთრებით,
გული _ დაღლილი მარადისობის ნავსაყუდელი...
მიხვალ და როგორც ქარიშხლისგან სანთელს მალავდე
უბით, სიფრთხილით მიგაქვს შენი ფიქრი მარადი
და ფიქრს შერთული ცარგვალიდან წვეთავს ოქროსფრად
შეუვალი მზე _ დედის ცრემლის მეტამორფოზა...
თვით გულიც მზეა უსასრულო აფეთქებებით,
მაშინ, როდესაც შენ იწვი და სხვისთვის თენდება.

დედას

ელენე გოდერძიშვილს, თამარ ხუროშვილს, ქეთევან უსტიაშვილს

ვხედავ, დაგიღამდა როგორ,
შენთვის მოიცალე ვერც კი,
მე დამითმე გულის ოქრო,
შენ კი დაგრჩა თმების ვერცხლი.
ბევრჯერ თავზე დაგათენდა,
მუდამ წმინდა სანთელს ჰგავდი...
მე დამითმე შენი ღხენა,
შენ კი დაგრჩა ჩემი დარდი.
ვიცი, უნდა დამრჩეს ვალი,
უნდა მეშინოდეს ღმერთის,
მე დამითმე არჩევანი,
არადანი დაგრჩა შენთვის.
სულ მათბობდი, თუმც რაკილა
ყველა იქ ვართ მისავალი,
ალბათ, იქაც მისთვის მიხვალ,
რომ გამითბო მე სამარე...

გზა

გზიდან მოშორებით, მუდამ შეუმჩნევ, გარინდულ იმედს,
საკუთარ თავში აღმოაჩენს ერთხელაც ვინმე.
მთებზე კი, როგორც თვალს შეჩვეული დღის საოცრება,
ყრიან ღრუბლები შორი სიზმრის მოტეხილ ფრთებად...
გინდა, აპრილი სხვის გულამდე მიაცილო და
თავს გახსენებდეს თავდავიწყების ღია ჭრილობა.

გზა კი ვალია, იქნებ უფრო იმისთვის, ვისაც
უკან მოხედვის შიშს ვერ უნელებს სიფრთხილით წინსვლაც...
ხშირად ძნელი გზაც არ ამართლებს შენს უმწეო გარჯას,
შენც ხშირად სინჯავ დაღლილი იმედის მაჯას...

რწმენა

წლები მტერმოძალების...
ხმები დედოფარების,
ელვით ხმლები აღანთეს,
ძალა ხნავდა აღმართებს.
სისხლი ნიაღვარები,
ცრემლით სავსე თვალები,
კაცი აღარ ფასობდა,
ქაჯი ოინბაზობდა.
იყო ბევრი ალქაჯი
სიმართლე კი _ ალყაში...
მაგრამ მოსვლას აქამდი
ერქვა რწმენის ღაღადი.
მხოლოდ ოფლით და სისხლით
სიცოცხლეს ვერ დავიხსნით,
მხოლოდ რწმენის გარშემო
ვგროვდებით და ვარსებობთ,
ენაცა და მამულიც
რწმენით არს შენახული!..
ფაქტია, რომ ავდარში
რწმენის მაღლით გადავრჩით.
დრო _ გზა, სივრცე _ ნისლია
სიცოცხლე კი _ ღვთის ნება.
რწმენა უფრო მტკიცეა,
ვიდრე თვით ბედისწერა!..

* * *

ლეგა ღრუბელი მარტოობის ზღურბლთან ისვენებს.
გაოცებული მომაკვდავი დღის სიფაქიზით...
მე კი ოდესმე შემოვივლი აქეთ ისევ
და მენიშნება ძველი ხიბლი ცისკრის ბაგეზე.

ვერთქმულ ფიქრებში ინისლება ლურჯი სიშორე
და ტკვილს თითქოს სხვა ტკვილის ჩრდილი აგრილებს.
მოლოდინიდან მოლოდინისკენ გადმოვიქროლებ,
რომ მოვუძებნო გამართლება უკვე დაღლილ ფრთებს,

მიცნობენ და სულს განაბავენ აპრილის რტონი,
უცხო ქაოსთან განმაშორებს იქნებ ეს წუთი
და საკუთარ თავს, ალბათ, მხოლოდ ახლა ვიპოვი,
ახლა, როცა ვგრძნობ, რომ საკუთარ თავს აღარ ვეკუთვნი...

* * *

გვარგავ, რომ გიპოვო ახლიდან,
მოგდე, რომ შევიცნო სამყარო.
მაგ თვალებს შენ მორცხვად დახრი და
ვგრძნობ, ბედმა ეს უნდა მაკმაროს.
ეს, ალბათ, ზღვარია, რის მერეც
ამ ხილვას აყალბებს მზერაც კი,
ფოთლები ჩემს ჩურჩულს ისმენენ,
თუმც ჩემს გზას ხატავენ ვერასგზით...
ვით ბავშვის მიამიტ მზერაში,
ქუჩაშიც ახლობელ სხივს შევხვდი,
შენ ცრემლივით მრავალჯერ შემაშრი
და თვითონ დავირქვი იმედი...
შენს ღამეს ჩემს სულში ვათავსებ,
სხვაგან ვრბი დარდების ამალით.
ტკვილში დამმარხე ათასჯერ,
დარდი კი, ვერც ერთხელ დამალე.
სიმშვიდით მაშმაგებს გზის ბოლო,
ძარღვებს სწვავს წყურვილის დინება.
გეძებ, რომ ამ დღისთვის ის ვპოვო,

რაც ჩემში იყო და იქნება!

* * *

ცად მიხმეს, თუ შენ გნახე
აქ სიზმრიდან მოსვლამდი?..
ცისკარს კრძალვით ეპყრა ხელთ
იასამნის ლოცვანი.
ქარს მისდევდა ის სევდა –
სულის ერთი ფურცელი,
ვიღაცას კი იმედად
გულის გულში ვუცემდი.
აღარ ვგრძნობდი სულს ობლად
სხვის ტკივილში შებმული...
მტკივა უსასრულობა
ველად ძირს დაცემული.
აღარ ვიცი, მოხვალ კი?
ან გიცნობლა ნეტავი?
მრჩება ტრფობის მოხარკეს
სევდა გაულეწავი.
ვარდის ნაზი კვირტებით
ვერ გარიდე ქარი შენ,
მერამდენედ გიკვდები
აღსარების გარეშე.
რასაც გული ვერ იტევს,
იმ ჟინს მოვყევ აქ სწორედ
და მზეს, ვით ჩემს ცრემლის წვეთს,
შენს მზეერაში ჩავტოვებ...

* * *

ცივი თოვლის არტახებს რო აიწყვეტს სიო,
ჰოი, ამ გაზაფხულის ვნებას როგორ ვძლიო?
მყვირალობა ატმების მოდგაფუნობს სისხლში,
ლორთქო ფერნი სხივებზე დაიწყებენ შიშინს.

ბროწეულის ცეცხლი და იასამნის ქარვა
კაბად აიშრიალა პატარძალა ქარმა.
ტევრი ფუტკრის ზუზუნის და შრიალის ტევრი,

ვარდისფერი სხივების უნაზესი მტვერი.

მე აქ მომენატრები და სურვილი შემშლის,
რადგან თვით ამ გაზაფხულს დავინახავ შენში.
მტრედევით რომ მხარს გიზის მზე ახალი ცისკრის,
თაიგულად მოგიძღვნა მინდა ჩემი ფიქრი.

* * *

მე დავეცი შენი გულის ციხესიმაგრესთან,
ჩემს თვალეში შენი მზერა ბოლო სხივად შეკრთა.
მედიდურად გადმომხედე დედოფალო ლექსთა,
სევდის ზარის გუგუნს ჰგავდა ჩემი გულის ფეთქვა.
ვკვდებოდი და ის დღე მაინც იყო ნაზი ფრესკა...
მე დავეცი შენი გულის ციხესიმაგრესთან.

* * *

დიდი სევდის და დიდი იმედის პატარა ბუდევ,
გულო, შენ უწყი, თუ სამშობლო რარიგად მიყვარს,
და როგორც ძალმიძს, ამ სიყვარულს ღამეებს ვუთევ,
თვალი თამამად რომ გავუსწორო მის ყოველ ცისკარს...

სკამკადა



წიგნიდან:

"სკამკაცა"

* * *

ოჰ, გამარჯობა, ბატონო სკამო!
(შენ შრიალებდი ოდესღაც ტყეში...)
სამწუხაროა, მაგრამ შენს გამო
დარდისგან ბევრი ოხრავს და ხვნეშის.

ოჰ, უკაცრავად, სკამო ბატონო,
ხისგან გათლილო და “გაუთლელი”...
ამქვეყნად კვალი შენც რომ დატოვო,
საქმეებს ღამე უნდა უთენო.

მაგრამ ეშმაკმა, რომ მოგცა ფული,
სამაგიეროდ გული გაგტაცა.
მანც მოძმე ხარ... ვარ დაზაფრული,
კაცი კი არა, რომ ხარ სკამკაცა!...

მწარე ღიმილით თქმული

კეთილო კაცო, დღეს გიჟადაც გთვლის იქნება ვინმე,
მაგრამ გზა ხსნისა შენს გულზე გადის
და მისთვის ითმენ...

ამბის მოტანა რად მინდა შენი?
ეს ნამდვილ ვაჟკაცს არასდროს შვენის!
ჩემზე ავის მთქმელს შეები იქვე
და თუ ღირსი ვარ, ასე მიხსენი.

სიმარლისათვის ვიღაც სხვის თვალში
მცირდება ოდეს,
ვამართლოთ? გვძულდეს?
თუ მხოლოდ უნდა გვებრალებოდეს?

ჩვენი გზა ხშირად კლდის პირად გადის
და უკვე ისიც გვგონია მადლი,
თუ ვინმე შეგვხვდა, დრო არ იხელთა
და უფსკრულში კი არ გადაგვჩეხა,
არამედ ისე “სალმით” შეგვხედა...

კარგია, როცა მიველტვით მთვარეს,
მაგრამ ჯერ საქმე აქ, მიწაზეც ვერ მოვაგვარეთ.

* * *

შური, გესლი ქართველის სულს ჭილყვაფივით შესევია _
მადლი ჰქენ და ქვაზე დადე... მერე იმ ქვას შენ გესვრიან...
თუ მაღლა ხარ, ყველა გხედავს,
მათ ჩრდილავ, თუ გინდაც ჰფარავ.
ჯერ დაგცემენ, რომ წუხილით მოგიგონ მერე მარად...

გამოცდა

გამოსაცდელად მოძღვარ ყვავს
ერთხელ ბულბულიც მიჰგვარეს.
გააგდო, არ მოეწონა,
ხმა არა აქვსო იმგვარი...
ატირდა ჩვენი ბულბული,
ცრემლით აევსო თოლები,
_ რა საბრალო ვარ, რად შევრცხვი,
რას იფიქრებენ სწორები?

_ დამშვიდდი, ჩვენო მგოსანო,
საქმე აწონე გონებით,
საბრალო მაშინ იქნები,
თუკი ყვავს მოეწონები.

ზურგი

ეჰ, ვინ იცის, როდის რა და...
ჯერ ცა თავზე გვექცევა.
დიახ, ერთიც შენ რად შეგრჩეს,
მაგრამ სხვას, რომ შერჩება?
თუ დავძლიეთ შიში ერთი _
ყველა რამეს ეცდება,
მაგარ ზურგის მოიმედეს
ზურგი კუზად ექცევა!..

სამართალი

არ იძინებს სიავე და შური,
ჩვენს ფიქრებში ეშმა ლხენით ბუქნავს,
სამართალმა ერთხელ ჭამა პური
და მაშინაც არ შეარგეს ლუკმა!

ვხვდებით, მაგრამ მხოლოდ ოხვრით დავძენთ,
რომ მავანი გზას ჩვენს გამო ასცდა _
სად ქვეყანას ჩალა ჰხურავს თავზე,
ჩალის ფასი აქვს იქ ყველა კაცსა!..

სიმახინჯე

1

ქვეყნად ცოტაა მკურნალი,
ბევრია გასაკურნი,
ვერამ გიშველოს იქნება,
თუ ეჭვის ჭია გხრავს.
რა დიდი სიმახინჯეა
გქონდეს თვალნიც და ყურნიც
და სამწუხაროდ, ამავე დროს

იყო ყრუცა და ბრმაც...

2

ზოჯერ სითბოც კი შეიძლება ზედმეტი იყოს:
გამოგიტყუოს და მერე უცებ სუსხმა გაგყინოს.

* * *

როგორ გგონია, მარტო ოხვრა და ცრემლი
შენი კმარა?
ხედავ, ფუტკართან ბუზიც რომ მრავლად
ირევა ამ მდელოზე?
რა ჰქვია სამოთხეს, მასში ერთი
ეშმაც თუ შეიპარა,
რა ჰქვია ჯოჯოხეთს, მასში თუ შეაგდეს
ერთი ანგელოზიც?

* * *

კაი კაცობას, ხედავთ, მაინც რა ძალა ახლავს?
გშურთ, გძულთ და მაინც...
თან კაი კაცის ნიღბებით დახვალთ...

* * *

სულ სხვისა კვალში სიარულით კვალს ვერ დატოვებ,
(კარგი მიბამვაც როდი არის თუმცა სირცხვილი),
მე სულ სხვა ვარო _ და ისეთ გზაზე ნუ შეაბოტებ,
რომ თუნდ გადარჩე, შენ სიცოცხლეს ერქვას სიკვდილი.

ფრთხილად

ფრთხილად, ბალღებო!
თუმცა ფოცხვერი ვეფხვი ვერ არი,
ის არც კატაა,
თქვენ, რომ ფიქრობთ უფროა ვერაგი...
ფრთხილად, ლომებო!
თუმცა ერთი ლუკმაა ზღარბი,
არ ღირს, გამწარდე მისთვის და თან
გიწოდონ ხარბიც...

* * *

ხომ ჰგონია ქურდს სხვაც ქურდი,
კახპას _ კახპა, ლენჩს კი _ ლენჩი.
_ არ ჰგონია, მხოლოდ აწყობს,
რომ სხვაც იყოს მისებრ ბნელში.
_ ჭკვიანს რატომ არ ჰგონია
სხვაც ჭკვიანი, მისი სწორი?
_ თუკი ნაღდად ჭკვიანია,
მისგან შური არის შორი.
ბრძენი სხვა ბრძენს ნუგეშად თვლის,
აბა, ისე რა ბრძენია?
ვისაც სირცხვილის გრძნობა აქვს,
ისე ცხოვრობს, არ რცხვენია!...

წაუკითხეთ ბავშვებს



წაუკითხეთ

ბავშვებს

დელი-დელა

დელი-დელა, დელი-დელა,
მამულს გულად უცემს ყველა:
ნატა, ნიკა, თეა, გელა,
გიო, სანდრო, თაკო, ლელა.

იმდენია კუდრაჭები
ვერ ჩამოვთვლი, ალბათ, ვერა!
ბევრი მათი შემხედვარე
ნატრობს: ვიყო თქვენოდენა!

თქვენ ხართ ჩვენი გადარჩენა,
გულში მტრედთა შემოფრენა,
თვალეებში გაქვთ გაზაფხული,
ღიმილში კი – ცისარტყელა.

მეც ბავშვური გატაცებით
ქვეყნად ბავშვი მიყვარს ყველა,
დელი-დელა, დელი-დელა
თქვენ გეკუთვნით ეს სიმღერა!

* * *

მოდინარ ქვეყნის იმედად,
ფიქრით კი ზღაპარს შემორჩი,
შენ ერთი გაიღიმე და
გათენდა საქართველოში.

გზას მოგიხატავ სხივფერად,
ეს გზა მეც გამომივლია,
შენი ყოველი სიმღერა
ჩვენი სამშობლოს ჰიმნია!

და ეს სამყარო მარადი
ხომ შენს მოსვლასაც ელოდა?!
გაიზარდე და გალალდი
მშობლების სასახელოდა!

* * *

ხან _ ასე და ხან _ ისე
გული გაიხალისე,
იყოს ცეკვა, თამაში,
ცუდი რაა ამაში?

ზომიერი გართობა
და დარდების დათმობა,
მაგრამ შვენის ბავშვობას
სწავლა, გარჯა და შრომა.

მეგობრობა, სიკეთე
ყველასთვის გაიმეტე,
სულ მშვიდობა გქონოდეს,
გზა გაკვალე ბოლომდე!

ჩვენი გადარჩენა და
თვით სიცოცხლე შენა ხარ,
შენ ხარ დღე ხვალინდელი,
საქართველოს იმედი!

* * *

ნისლებში ღამის მთეველი,
მთები _ იგივე დევები,
ქარი რომ შემომეყრება,
თითქოს ჯადოქარს შევები.

ცა ჯადოსნური სარკეა,
მზე _ ქალი მზეთუნახავი,
ნატვრისთვალავით მიმართლებს
დღე რომ იწყება ახალი.

ცივი წყალი რომ გადმოსჩქეფს,
წყაროა უკვდავებისა.
ბევრის მძებნელმა რა ნახა,

უკეთეს სხვას რას ეღირსა?

სხვაგან ნუ ეძებთ, აქ არის:
ცხრა მთა, ცხრა ზღვა და ცხრა წყარო.
სწორედ აქედან იწყება
ჩემთვის მთლიანი სამყარო!

აბა, შეხედეთ მიდამოს
არც თავი უჩანს, არც _ ბოლო,
მიხვდით? ზღაპარიც ესაა _
ჩვენი ლამაზი სამშობლო!!!

* * *

საქართველო პატარაა,
მაგრამ დიდი გული აქვს,
მთავარია, რომ ის ჩვენი
დიდი სიყვარულია.

ჩემი გულიც პატარაა,
მაგრამ იტევს დიდ სურვილს.
არ მენახოს ქართული ცა,
ნეტავ, გადანიღვლი!

მშვიდობა და სამართალი
ველარავინ შელახოს
და ამ ქვეყნად ყველა ბავშვი
ბედნიერი მენახოს!

მოგვეფერეთ სულით, გულით
და მზრუნველი ხელებით,
ხოლო, როცა გავიზრდებით,
თვითონ მოგვეფერებით.

* * *

განა შარით, განა შურით
ანდა სიზარმაცით,
ხოლო დიდი სიყვარულით
დაფასდება კაცი.

ჯიბრი, ქიშპი სხვა რამეა,
ჟინი კიდევ სხვა რამ,
დიდი მიზნის მიღწევისთვის
სიყვარულიც კმარა!

ყრმობიდანვე თუ ცდილობ,
რომ იყო საქებარი,
შურს და მტრობას არ გაუღო
შენი გულის კარი.

* * *

სიხარულის დარებია,
სიყვარულის დარებია,
ყმაწვილებო თქვენი მზერა
ცისკარს შემიდარებია...

უდარდელი ეგ ღიმილი
ცისარტყელის ღვარებია,
თქვენი თვალით დანახული
სამყარო მეც მყვარებია!

მერე რა, თუ ხან თოვლია,
ხან წვიმა და ქარებია,
გაიღიმებთ თუ არა და
გაზაფხულის დარებია!

* * *

გმადლობთ ასეთი კარგები რომ ხართ,
ასე რომ გშვენით ბავშვის სიწრფელე.
თქვენ გაზაფხულის სინათლე გმოსავთ
და საქართველოს ასლერსს იფერებთ.

თქვენს ყოველ ნაბიჯს და ყოველ სიტყვას
ჰქვია მომავლის გასხივოსნება,
თქვენი უსაზღვრო იმედი მიყვარს
და მიყვარს თქვენი სუფთა ოცნება.

თქვენს ნუკრის თვალებს, სიმღერებს, ღიმილს
მე შევავედრებ კრძალვით უფალ ღმერთს
და ვიტყვი: ჩვენი სამყარო თბილი
ნეტავ, თქვენსავით ყველას უყვარდეს! . . .

პატარავ, შენ სანთელი ხარ,
სკოლა ცოდნის ტაძარია,
ჭეშმარიტი პედაგოგი
მართლაც, მშობლის სადარია!

ხოლო მშობლის დარიგება
იყოს შენთვის გასაგები!
სწავლა არის ყველა კარის
ჯადოსნური გასაღები.

მინდა, ვგავდე სახელოვან წინაპრებს,
სხვას, უკეთესს, სამშობლო რას ინატრებს?
მსურს, ვუვლიდე ამ კოპწია სამყაროს,
მშობლიურ ცას, ქუჩას, ვენახს და წყაროს.
ნორჩი გული უხალისოდ ვერ გაძლებს,
დე, სთქვან ჩემზე: "ვენაცვალე შენს გამზრდელს!"

პატარა ხარ, მაგრამ დიდი
იმედი ხარ ჩვენი,
დიდი უმანკოება და
სიყვარული გშვენის.

მართლაც მზე ხარ და ამიტომ
შენზე ფიქრით ვთბებით,
მომავალი პატრონი ხარ
ამ ცისა და მთების!

მომავალი პატრონი ხარ
ქუჩის, ბაღის, მინდვრის,

შენ რომ ხატავ, ეს ცხოვრება
მანც იმ გზით მიდის.

პატარა ხარ, მაგრამ დიდი
ოცნება ხარ ჩვენი
და გწამდეს, რომ წინ მოგელის
წლები აღმაფრენის!

* * *

იქით ალავერდია,
აქეთ კიდევ _ სამება,
ჩემი გულის ფეთქვა და
თვალის დახამხამება.

აქეთ არის სიონი,
იქით კიდევ _ გელათი,
იმდენი გვაქვს სიწმინდე,
რომ თითებზე ვერა ვთვლი.

სანამ ნახავ სხვა მხარეს,
ჯერ შენს მხარეს იცნობდე,
შენი საგალობელი
ჩვენს ტაძარში ისმოდეს!

ერთი, ორი...

ერთი, ორი, ერთი, ორი
ენა ვიცი მე ჩიორის,
სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი _
და ვისწავლე კარგი ლექსი.

ხუთი, ექვსი, შვიდი და რვა
ჩემს თითებზე ვითვლი კარგად,
ექვსი, შვიდი, რვა, ცხრა, ათი _
ნაბიჯებსაც კარგად დავთვლი.

ორი ჯუჯა, სამი გოჭი
ხედავ, ვიცი თვლა რამდენი?!

ხუთკუნჭულა, ასფურცელა
და კიდევ ცხრა ბაყბაყდევი.
სულ თითებზე დამითვლია
ცისარტყელას შვიდი ფერი.
კანფეტებსაც კარგად ვითვლი
არ მეშლება არაფერი.

ერთი, ორი და სამი,
მოდი, დათვლას გასწავლი!
ცხრათვალა მზე იღვრება
ესეც ჩემი სიმღერა!

დო, რე, მი...

ოდელია, ოდელია, დელა,
სიმღერებში გავიწაფე ენა,
დო, რე, მი, ფა _ არ ვჩერდები უქმად,
კლავიშების დახმარებით ვუკრავ.

სოლ, ლა, სი, დო _ ვათამაშებ თითებს.
უსიმღეროდ წუთიც ველარ ვითმენ.
დო, რე, მი, ფა, სოლ _
სიმღერა მიყვარსო!

სოლ, ლა, სი, დო, რე, მი _
ვისწავლე ნოტები!

* * *

ყველა ბავშვობიდან ვიწყებით,
არც დიდებს გვემატება ის წლები...
მერე შეუმჩნევლად ვიზრდებით
ჩვენი ოცნებებით და მიზნებით.
ჰოდა, გავიზარდოთ, ვახაროთ
ჩვენთვის მოამაგე სამყარო
და ამ სამყაროს რომ ეშველოს,
მუდამ წრფელი გულით გვემღეროს!

ვნატრობ, რომ ცხოვრების ბოლომდე,

სულაც ბავშვის გული გვეკონოდეს!

* * *

იტირებ და იწვიმებს,
გაიცინებ _ იდარებს,
ამიტომ სულ იცინე,
გვახარე და იხარე!

მზემ თვალებში გაკოცა,
დილამ შემოგვცინაო,
სიყვარულით დაგლოცავ,
ჩემო პაწაწინაო!

ია ხარ და ვარდი ხარ,
გრთავს ვარსკვლავთა ბრწყინვაო,
გაზაფხულად დადიხარ,
ჩემო პაწაწინაო!

ჩვენს წილს გითმობ სხივს უმაღ,
შენ გაბწყინდი ოღონდაც,
ჩვენო ვარსკვლავ-ბიჭუნა,
ჩვენო ვარსკვლავ-გოგონა!

სარჩევი

პოეტის ახალი წიგნი;

წყაროსთან ნათქვამი სიზმრები

ჩურჩულით თქმული მამულს;

ღმერთი, სამშობლო, დედა;

*** ჩემო მამულო, აღსარებისთვის დიდი ბოდიში;

*** ნეტავ, არ გატყდეს გული, ფიცი და სახელი;

გაზაფხულთან;

დაბრუნდა დარი;

ამქვეყნად;

ქარის კვალდაკვალ;

*** უხსოვარ ჟამთა გამონათების;

*** ბევრჯერ გათენდი ამ უჩვეულო მდუმარებაში;

ზამთრისპირი;

ნაწყვეტი ლექსიდან: “ერთი ფიქრის ელექტრონული ვერსია”;

*** ბედისწერა სიბნელისკენ მიმაფრენს და;

*** მწუხარების ნისლად ვწევარ, მთიდან უკვე დავეშვი..... ;

შორეულ ახლობელს;

*** თითქოს ღია დარჩენილა სიზმარეთის კარი;

*** დამემგვანა ბედისწერა მოლოდინის იმ ქარებით;

*** დადგა მარტი აუჩქროლა სისხლი ერთხელაც;

კვლავ;

სიმართლე;

*** პოლიტიკით თამაშობთ და ერთობით?;

*** ოღონდ კვერი არ დაუკრან შინაურის სიმართლეს;

*** მხრებზე _ თავი, თავზე _ ქუდი;

მაინც სად ცოცხლობს სიყვარული?;

*** როგორც ქუჩაში ნაბიჯებს თბილი;

ერთი მხატვრის ფერწერულ ტილოსთან;

ღიმილი;

ექო;

ოთარ რამიშვილს;

*** წინდაუხედავს ნუ დაარქმევ და ნურც სუსტ მცურავს;

*** შენ, ჩემო რწმენავ, ამაღლდი ცათამდი;

*** ბევრი რამ მახსოვს სიყრმიდანვე, ერთიც ეს მახსოვს;

ქება ვაზისა;

*** ცვალებადიაო ქალი მარტივით;

*** არ დაღონდე, მხოლოდ თვალი გაუსწორე ლამაზ სევდას;

*** ექსპრომტი იმერელ ქალს;

*** ჩემი სულის მოფრენის ხმა წვიმის ხმაში აგერიათ;

*** ნაწყვეტი პოემიდან “ხორამზე”;

*** ჩარჩოდან მიმზერს პეიზაჟი ნაზად და თბილად;

*** სიყვარულით თუ არ კვდები, ისე ვერ დაიბადები;

*** ახლოვდება ცა, როგორც იის ძველი ვნებანი;

ფუძის ანგელოზი;

დალოცვა;

შეხვედრები უფალთან

*** ვარ უსასრულო მუსიკა;

*** ცისკართან იებს სანთლებად ვანთებ;

*** იყო ჭიქები და გულები პირამდე სავსე;

ეს მონატრება;

ოთხი ჩანახატი;

*** ბედო, სად აღარ დამათარეშებ;

*** აგვიანდება თუ შენებრ სხვასაც;

*** კაცმა მთის წვერს თუ არ მიაღწია;

*** ეს აღსარება არის უსრული;

*** გული თუ ზღვაა, ნიავიც აშლის;

მოლოდინი;

შემოდგომის ხატი;

თოვდა;

*** მიმწუხრის მთვარე _ ნაავდრალი ფოთოლი ვერცხლის;

ერთი დილის სამჯერ გათენება;

*** ბებერი ჭადრის ნატიფ ხატში ვხედავ ბერიკაცს;

*** ნაცნობ ბაღს უმზერს სევდიანად ნაცნობი ქალი;

სინანულის დღე;

*** დიდთოვლობა დარდების;

მინდა;

ჩვენი ცხოვრება;

*** არის მანდ ვინმე? _ ჩასძახის ხეობას ერთი ყორანი;

ცხოვრება საცალფეხო ბილიკზე;

ადამიანო;

ხილვის განმეორება;

*** დუმილი ბოლავს ნახანძრალი დღე აღარ მიმელის;

*** ალავერდიდან გელათისკენ გადამახილი;

*** ვაჟკაცობა თუ ღონეა მხოლოდ;

*** საგანგაშო კოცონად აბრიალდნენ ატმები;

*** დუმულის ქსელში გაბმულია დაცემის ჩქამი;

*** მწყურვალი სანაპირო არ ჰგავს ზღაპრის ბოლოს;

მირაჟის განმეორება;

ციკლიდან: “სიზმრის სტრიქონები”;

სიშორის აღსარება;

ბუხრისპირული;

წყაროსთან თქმული სიტყვები;

*** ხან გზა შეყრის ერთად ურჩს და მორჩილს;

სკამი;

*** თქვენსავე ღირსებას ფეხქვეშ ნუ გაიგებთ;

ენის გასატეხი;

მე სიკვდილისთვის არა მცალია!;

დალოცვა;
საქართველო;
9 აპრილი;
საქართველოს;
ვარდობისთვის;
ანანურთან;
საქართველოს;
ხოტბა თბილისს;
*** მადარდებს, როცა ერთგულება დაგმობილია;
ცისკრის ლოცვა;
*** შთამაგონე, გამაგონე ე მაგ მთების ყიჟინი;
პოეტი;
სიმღერა ფიროსმანზე;
მეორედ შეხვედრა ლექსთან;
გიორგი ლეონიძის გარდაცვალება;
მედეა კახიძეს;
*** მომაკვდავ დღეებს თითებზე ვითვლი;
მზერით საუბარი ნისლთან;
ფრთხილად!
არა უბრალოდ მოლხენა;
მოხუცი შვილი;
დედა;
წეროები;
თუ;
ნაკვესებით;
ვერ მიწერილი ბარათები;
*** თუ დამიჯერებთ, სულ ვნატრობდი და ვნატრობ ახლაც;
ყაჩაღის ეპიტაფია;
სამი სადღეგრძელო;
*** ერთს საკუთარი აჩრდილი აკრთობს;
*** ბრმა მათხოვარი დგას ხიდის ყურში;
*** ბაზართან ახლოს უთოს ჰყიდის მოხუცი სათნო;
*** მოდით, ძმებო, შესვით ღვინო;
*** ვიღაც ვერ გავაცილეთ და;
*** ლომის ქანდაკის პედესტალზე ჩიტები სხედან;
*** ქედი _ ოფლიანი და უხეში;
ჭორი;
*** უეცრად მარტო დარჩენილ ღმერთკაცს;
ორი ნახატი;
დარიგება;
ახალგაზრდობა;
ჩემს დემეტრეს და მის თაობას;
*** მე ალავერდი მივედი ღმერთთან;
სატრფიალო;
მზის აპოლოგია;
*** არდავიწყების თეთრი აჩრდილი;

შემოდგომა;

*** შენ ამ ქუჩაზე შემომხვდი ადრეც;

მარიამობის თვეში;

*** ვარსკვლავებს ვკრეფდი წუხელ;

თავდავიწყება;

ზმანება;

შიში;

*** ღრუბლის რუხი ბელტები..;

რა არის ჩვენი სიცოცხლე;

*** მე ამ ერთხელაც მიგამსგავსებ უხსოვარ ტკივილს;

*** სკამი და ფული არ მინატრია;

ლომის წილი;

სადამდე?;

წამის ხილვები;

*** არცერთი კაცი არ წააგავს მეორეს სრულად;

*** როდი მოიცლი, რომ იფიქრო დაფნის გვირგვინზე?..... ;

*** უცხოს მიაართვით საუცხოო სუყველაფერი;

შეცდომები;

საქართველოს;

*** სიმართლეს რყვნიან;

*** ადამიანო;

*** დღეს შენ ნავარდობ იქაც და აქაც;

*** დარდის დოლაბებს ჩამოუფქვავთ მოგონებები;

*** შენ თუ დგახარ და გვერდში მდგომი უკან წავიდა;

*** ტიკი ტიკტიკებს ჭიქებთან;

*** აღარ გაოცებს ეშხი მოუხელთებელ ლექსის;

გალაკტიონის გახსენება;

ბროწეულის უბანი;

ბეწვის ხიდი;

საცისკარო;

*** ქართველს დაცემის უფლება არ აქვს;

გაზაფხული;

*** ემთხვევიან ქარაფები ცის უწმინდეს კალთას;

მე ისე წავალ;

სიტყვა;

ბეწვის ხიდი:

*** შორით გიცქერი ვარსკვლავით მოციმციმე დარდს ;

*** დუმილის ბაღში, ტამართან ახლოს;

*** გაზაფხული _ ჩემი ფიქრი გამხელილი;

ზამთრის სამი ხილვა;

*** მთარღვევს ფაფუკ დუმილს;

*** ქალის ლოცვას შეუძლია;

*** ჩადგა ქარი კაპასი;

*** ნაწვიმარ სერზე ცა იწვა მკრთალი;

ჩემი მკათათვე;

გორაკზე ისევ ირწეოდა სხივთა ჯეჯილი;

ციკლიდან: “გაზაფხული”;

*** ვერცხლის ხილვა;

*** მზე _ ღვთის სიზმარი ნაწამები და ცრემლნარევი;

ტამარი;

შესდექ!

*** ტყისპირს მოედო ნისლის ხანძარი;

*** დარეკეთ ზარი მზის;

იცოცხლე დიდხანს;

სამშობლო;

გარეჯი;

ეს გაუმარჯოს!;

ქართველო, დადექ ქართველთან!;

შავლეგო;

*** ჩემი გულით გზომე ვითომ;

ლექსი;

ის დღე;

ხან;

სიმართლე;

*** მეტი ხმაურით მეტად ფასდები?;

*** თითქოს და ბედმა ამ მაგიდაზე შეჰყარა ორნი;

*** სხვა გებრალვის? მაშინ ლაჩრებს მიგათვლიან;

სამი ქარაგმა;

კაი კაცი;

ღალადი;

მონადირე;

მასწავლებელი;

*** მე იასამნის სურნელს შევპირდი;

ზღაპარი;

*** შენს თავს მივანდობ ქედებს;

*** მოგონებების ლურჯი უფსკრულით;

მართალი სიტყვა;

გალაკტიონი;

გული;

დედას;

გზა;

რწმენა;

*** ლეგა ღრუბელი მარტოობის ზღურბლთან ისვენებს;

*** გკარგავ, რომ გიპოვო ახლიდან;

*** ცად მიხმეს, თუ შენ გნახე;

*** ცივი თოვლის არტახებს რო აიწყვეტს სიო;

*** მე დავეცი შენი გულის ციხესიმაგრესთან;

*** დიდი სევდის და დიდი იმედის პატარა ბუდევ;

სკამკაცა:

*** ოჰ, გამარჯობა, ბატონო სკამო!;

მწარე ღიმილით თქმული;

*** შური, გესლი ქართველის სულს;

გამოცდა;

ზურგი;

სამართალი;

სიმახინჯე;

*** როგორ გგონია, მარტო ოხვრა და ცრემლი;

*** კაი კაცობას, ხედავთ, მაინც რა ძალა ახლავს?;

*** სულ სხვისა კვალში სიარულით;

ფრთხილად;

*** ხომ ჰგონია ქურდს სხვაც ქურდი;

წაუკითხეთ ბავშვებს:

დელი-დელა;

*** მოდიხარ ქვეყნის იმედად;

*** ხან _ ასე და ხან _ ისე;

*** ნისლებში ღამის მთეველი;

*** საქართველო პატარაა;

*** განა შარით, განა შურით;

*** სიხარულის დარებია;

*** გმადლობთ ასეთი კარგები რომ ხართ;

*** პატარავ, შენ სანთელი ხარ;

*** მინდა, ვგავდე სახელოვან წინაპრებს;

*** პატარა ხარ;

*** იქით ალავერდია;

ერთი, ორი;

დო, რე, მი;

*** ყველა ბავშვობიდან ვიწყებით;

*** იტირებ და იწვიმებს.

მთ. რედაქტორი: ბადათერ არაბული

რედაქტორი: რუსუდან კენჭოშვილი

მხატვარი: ლენა ონაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა:

გიორგი ნავროზაშვილი

ყდის დიზაინი:

ნატა მელაშვილი